

Вход. № 4216. Получ. 21 Июня 1908 года.

Копія съ копій

(14)

14

М.Ю.

Старшій Предсѣдатель
Одесской

Судебной Палаты

Июня 20 дня 1908 года

№ 16027.


г. Одесса.


Г. Прокурору Одесской Судебной Палаты

Имѣю честь увѣдомить Ваше Превосходительство, что вмѣстѣ съ сими мною сдѣлано распоряженіе черезъ Тифлисское Городское Полицейское Управление о переводѣ изъ Тифлискаго Метехскаго замка въ Одесскую тюрьму обвиняемыхъ по дѣлу о Чхиквишвили и др. | Гурійская республика |, переданному изъ Тифлисской Судебной Палаты въ Одесскую указавшемъ Правительствующаго Сената: 1 | Веніамина Чхиквишвили, 2 | Нестора Ермаковича, 3 | Семена Глonti, 4 | Сергія Сургуладзе, 5 | Моисея Тугуши, 6 | Пармена Тотибадзе, 7 | Александра Имедашвили, 8 | Рождена Хомерики, 9 | Георгія Мамулайшвили и 10 | Кирилла Ломадзе съ такимъ расчетомъ, чтобы они не позже 28 сентября сего года были уже въ Одесской тюрьмѣ и имѣли бы возможность, согласно 570-572 ст. уст. угол. суд. ознакомиться съ дѣломъ въ недельный срокъ до дня слушанія его | 6 октября сего года |.

При этомъ мною сообщено Полицейскому Управленію что, если по какимъ либо соображеніемъ мѣстной администрации представится возможнымъ перевести вышеозначенныхъ подсудимыхъ въ Одесскую тюрьму ранѣе указанного срока, то такой заблаговременный переводъ арестантовъ будетъ только способствовать болѣе успешному ходу дѣла. Старшій Предсѣдатель Опанинъ И. д. Помощ. Секретаря Куницынъ. Вѣрно Секретарь (подпись)

Съ копією вѣрно Секретаря ⁴⁴ при Прокурорѣ Тифлисской Судебной Палаты





გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასსცსა, ფონდი ი-1, ანან. 1, საქმე 347, ფ. 1: საქმე 412, ფ. 1-8; საქმე 13 ფ. 65; საქმე 303 ფ. 39.
3. ასსცსა, ფონდი-432, ანან. 1, საქმე 399, ფ. 9;
3. შალვა რადიანი, „გარდასულ დროთა მატიაზე“, თბ. 2015;
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1973 .

Nino Javelidze
Merab Megrelishvili

Anti Russian movement in Guria and Ajara
(end of XIX – beginning of XX centuries)

SUMMARY

Archival materials presented in the article, vividly show the point of political, economic, military, cultural-informational expansion by Russia in Guria and Adjara in the end of XIX – beginning of XX centuries, which was not obeyed by local people and they used to fight against the authority for liberation.

ადრეშუასაუკუნეების ბათუმის ისტორიიდან

2500 წლოვანი ბათუმის ისტორიის ხანგრძლივ და შეუსწავლელ პერიოდს წარმოადგენს შუასაუკუნეები. როგორც ცნობილი მწერალი და ღირსეული ბათუმელი ნუგზარ ჯაფარიძე წერდა: „საუკუნოვან შრეებშია დაჩუმებული ბათუმის წარსული“. საკვლევი პერიოდის შესწავლას აფერხებს წყარო-მასალის დიდი სიმცირე (ამ ვაკუმის შევსების მცდელობას წარმოადგენს ქალაქ ბათუმის წარსული ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის შესწავლის პროექტი „ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა)“. პროექტის ავტორია ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი მალხაზ სიორიძე. პრობლემატიკას გარკვეულად ეხება გამოქვეყნებული შრომები: Кальфоглы И., 2006; ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989; შ.მამულაძე, რ.უზუნაძე, 2009; ნ.ინაიშვილი, 2009; ი.სიხარულიძე, 1958; რ.უზუნაძე, 2009; რ.უზუნაძე, 2013; რ.უზუნაძე, რ.სურმანიძე, ნ.ზოსიძე, 2013; რ.უზუნაძე, მ.უზუნაძე, 2017; ლ.ურუშაძე, 1989).

დროდადრო მარგალიტივით გამოვლინდება ქართულ თუ უცხოურ წერილობით ძეგლებში დაუნჯებული ძვირფასი ცნობები. რაც გვაძლევს შესაძლებლობას შევისწავლოთ ბათუმის წარსულის ეს თუ ის ასპექტი. ამ მხრივ საინტერესოა X საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწისა და სწავლულ კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობები.

კონსტანტინე პორფიროგენტი 912-959 წლებში იყო ბიზანტიის კეისარი. იგი არის ავტორი თხზულების: „იმპერიის მართველობის შესახებ“. მასში მიმოხილულია X ს-ის 50-იან წლებამდე იბერიის ანუ „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური მდგომარეობა. საკვლევი პრობლემატიკასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „აშოტ პატრიკოსს (აშოტ პატრიკოსი, იგივე აშოტ კუხი, ერისთავთერისთავი (908-918 წწ), გურგენ I კურაპალატის შვილი), რომელიც იყო ქ. ადრანუჯის (არტანუჯი) მფლობელი, სიძემ გურგენ მაგისტროსმა (გურგენ დიდი მაგისტროსი მართავდა იბერიას ანუ „ქართველთა სამეფოს“ 918-941 წლებში. იყო აშოტ დიდი კურაპალატის ჩამომავალი. მან შემოიმტკიცა და გააძლიერა „ქართველთა სამეფო“. ის-

ტორიაში ცნობილია „დიდი გურგენის“, „დიდი ერისთავთერისთავის ეპითეტით (ა.ბოგვერაძე, 2012:211; საქართველოს ისტორიული ატლასი (სია), 2016:VIII). ქართული საისტორიო წყაროს დახასიათებით, -გურგენ ერისთავთერისთავი „დიდი ხელმწიფე, ფრიადთა ნათესავთა“ (გიორგი მერჩულე, 1978:163), რომელმაც სიმამრისგან ხელისუფლება მიიღო, ძალით წაართვა თავის სიმამრს აშოტს ადრანუჯი (არტანუჯი) და ამის საბალოდ (სანაცვლოდ ა.ნეიმანი, 1978:546) მისცა მას ტაროკასტრონი (ისტორიული ყველის ციხე. მდებარეობდა შავშეთის, აჭარისა და ჯავახეთის საზღვარზე, აჭარისწყლის სათავეებთან) და აჭარისწყლის გასწრივი ქვეყნა“ (კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952:276), დადგენილია რომ აჭარისწყლის გასწრივი ქვეყანა იყო აჭარა (დ.მუსხელიშვილი, 1980:144; მისივე, 2007:92; შ.ვარშანიძე, 1990:55-56). იმავე ცნობებით იბერიის „ქართველთა სამეფო“ აჭარის ზღვისპირეთში მოიცავდა მდ. ყოროლისწყალის შესართავიდან ქობულეთის დაბლობის ჩათვლით ტერიტორიას (დ.მუსხელიშვილი, 2007: 92; ბ.დიასამიძე, 2009:73). მითითებულ მასალასთან დაკავშირებით აკად. დ. მუსხელიშვილი მიუთითებს: კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობა ბევრად ძველია (დ.მუსხელიშვილი, 1980:143). კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით, -აჭარის ზღვისპირეთში იბერიის („ქართველთა სამეფოს“) სასაზღვრო პუნქტი რომანიასთან (ბიზანტია) ყოფილა **კოლორი** (კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952:276). იგი წარმოადგენდა დაბას (გეორგიკა, 1952:371).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს პუნქტი **„კოლორი“**. რომლის ისტორია დაკავშირებულია ანტიკური და შუასაუკუნეების ხანის ბათუმთან. გამოკვლეულია, რომ ადგილის სახელწოდება **„კოლორი“** არის ქართული „ყოროლის“ სახენაცვალი ფორმა (დ.მუსხელიშვილი, 1990:55). (აკად. ს.ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: არცთუ იშვიათია ბერძნულში ქართულ გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებების დამახინჯებული სახით მითითება (გეორგიკა, 1952:294). ქართულ სინამდვილეში **„ყოროლისაგან“** წარმომდგარია ტოპონიმები: ყოროლის ხევი, (ხევი, სადაც მოედინება მდ. ყოროლისწყალი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ყოროლისთავი (სოფელი ხეობაში), ყოროლისწყალი (ჰიდრონიმი). ისინი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრებიან ბათუმის გორა ნასახლარს. ბათუმის (თამარის) გორა მდებარეობს მდ. ყოროლისწყალის შესართავთან, მარცხენა სა-

ნაპირო მონაკვეთში, „კოლორი“/„ყოროლი“ ასრულებდა ბათუმის საქალაქო დასახლების საოფლო უბნის ფუნქციას (სხვა ზღვისპირა პუნქტებისაგან განსხვავებით, ბათუმი დანიშნულებული იყო“ (ვ.ჯაოშვილი, ი.სიხარულიძე, 1997:329).

ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე X საუკუნის პირველი ნახევრის იბერიასა და ბიზანტიას შორის ზღვისპირეთში საზღვარი გადიოდა მდ. ყოროლისწყალზე (დ.მუსხელიშვილი, 2007:92). ყოროლისწყალის მარცხენა სანაპიროდან ტერიტორიები შედიოდა რომანიის (ბიზანტიის) საზღვრებში (კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952:276; დ.მუსხელიშვილი, 2007:92).

შესასწავლ პრობლემატიკასთან მიმართებაში პირველყოვლისა უნდა ავლენიშნოთ, რომ არის მოსაზრება ყოროლის ბათუმთან იგივეობის შესახებ (დ.მუსხელიშვილი, 1980 (მისი წარსულიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული **კოლორი** (**ყოროლი**) წარმოადგენდა სახელოსნო და სავაჭრო უბანს), სეა, 2012:452; სია. 2016:11-13). როგორც საკითხის შემდგომმა შესწავლამ გვიჩვენა, საკვლევი პერიოდისათვის, ურთიერთკავშირში არსებობდა ბათუმის საქალაქო დასახლება და დაბა „ყოროლი“ (სასოფლო უბანი). თემასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდგომი გარემოებები: ჯერ ერთი, – როგორც ზემოთ მივუთითეთ, კ. პორფიროგენტის ცნობით „აჭარის ზღვისპირეთში იბერიის სასაზღვრო პუნქტი რომანიასთან (ბიზანტია) ყოფილა **„კოლორი“** (ყოროლი). მეორე, – მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროდან იწყებოდა ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცეული ქართული ტერიტორიები (დ.მუსხელიშვილი, 1980:144). მესამე, – განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბათუმის სიახლოვეს „კოროლის“/„ყოროლის“ სახელწოდებით, მოგვიანო პერიოდისათვის დასტურდება დასახლებული პუნქტი. ობიექტი მითითებულია XVIII საუკუნის 10-იანი წლების ოსმალურ წყაროში (ქ.ჩხატარაშვილი, 1976:271).

რაც შეეხება ბათუმს, – საქალაქო დასახლება გაშენებული იყო მდ. ყოროლისწყალის შესართავთან, მაცხენა სანაპიროს მონაკვეთში, ბათუმის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადრეშუასაუკუნეების ხანაში იგი ინარჩუნებდა საქართველოს ზღვისპირეთში წამყვან საზღვაო ქალაქის ფუნქციას (ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფ. შ. მესხია X – XII საუკუნეების ბათუმის შესახებ მიუთითებდა: „მნიშვნელოვანი ნავსადგური და ქალაქი ბათუმი“ (შ.მესხია, 1983:92). აკად.

ვ. ჯაოშვილის, პროფ. ი. სიხარულიძის შეფასებით „ადრეულ ფეოდალურ ხანაში, სხვა ზღვისპირა პუნქტებისაგან განსხვავებით, ბათუმი დანიშნურებული იყო“ (ვ.ჯაოშვილი, ი.სიხარულიძე, 1997:329; დ.ხახუტაიშვილი, 1989:58; ა.კახიძე, 2009:150; ა.კახიძე, ნ.სურმანიძე, 2013:90-91; თ.ბერაძე, 2009:122-123; რ.ხალვაში, 2012:298-299; ან.ჯაფარიძე, 2014:20,49,65,75-79; სია, 2016:7,9,20,22).

დაბა **ყოროლის** არსებობის დადგენის შემდეგ საჭიროა განვსაზღვროთ მისი ადგილმდებარეობა. ანტიკური და შუასაუკუნეების ხანის აჭარის ისტორიის მკვლევარი შ. ვარშანიძე შეეცადა მის ლოკალიზაციას. მიუთითებდა, რომ ყოროლი მდებარეობდა მდ. ყოროლისწყლის ქვემო ნელის არეალში (შ.ვარშანიძე, 1990:55,183). ლვანლმოსილი მეცნიერი, აკად. დ. მუსხელიშვილი ლოკალიზაციას ახდენდა მდ. ყოროლისწყალის მარცხენა სანაპიროზე, ბათუმთან იგივეობის სახით (დ.მუსხელიშვილი, 1980. დანართი – IX-X სს-ის საქართველოს რუკა).

ჩვენს ხელთ ასრებული მასალის ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ დაბა კოლორი/ყოროლი მდებარეობდა ბათუმის ციხის ჩრდილოეთით, მდ. ყოროლისწყალის შესართავის ზღვისპირა ვაკე ადგილზე. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოებები: როგორც ცნობლია ძველი ბათუმის საქალაქო დასახლებას სამხრეთიდან ჩაუდის მდინარეები სკურკუბა და ბარცხანა. სკურკუბას (ჭვავის წყალი) არეალში გაშენებული იყო ჭვავის ყანები (რ.უზუნაძე, 2013:190). ბათუმს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სალიბასძეთა (სალიბაური) სასოფლო უბანი (რ. უზუნაძე, 2013:40). მარჯვენა სანაპიროს ჩრდილო – აღმოსავლეთით მდებარეობდა სასოფლო უბანი შავლელე (რ. უზუნაძე, 2013:41). რჩება „ასათვისებელი“ მონაკვეთი, მდ. ყოროლისწყალის მარჯვენა სანაპიროზე, შესართავის ვრცელი ვაკე ადგილი. სწორედ, ამ ადგილას უნდა ყოფილიყო გაშენებული დაბა კოლორი/ყოროლი (გასულ საუკუნეში შედიოდა სოფ. განთიადში,- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ეხლა შედის ქალაქის საზღვრებში). მიეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს დასახლებას (ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989:3; ა.კახიძე, 2007:249). ამ არეალში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ანტიკური ხანის დასახლების ნაშთები (ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989:3). ასრულებდა ბათუმის სასოფლო უბნის ფუნქციას (ა.კახიძე, 2007:249). ყოროლის ლოკალიზაციაში გვეხმარება 1712 წლის ოსმალური წყარო-მასალა. მასში

საუბარია ოსმალობის მიერ ბათუმსა და ახლომდებარე სოფლებზე შეწერილ გადასახადზე. შესაბამისად, მითითებულია რომელ დასახლებულ პუნქტს რა ოდენობის გადასახადი უნდა გადაეხადა: ბათუმს 10 ათასი ახჩა (ახჩა – ოსმალური თეთრი, ვერცხლის ფული (XVI-XVIII სს-ის ისმალურიდოკუმენტურიწყაროები, თბილისი, 1987:258), სოფ. კაპრეშუმს – 3 ათასი ახჩა, მახინჯაურს – 3 ათასი ახჩა, ყოროლის (Королис – დოკუმენტი თურქულიდან ქართულად თარგმნა ჰაიდარ აბაშიძემ. ხოლო ქართულიდან რუსულად თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი ბაქრაძეს) სამებას და მათთან ერთად სამ პუნქტს – 3 ათასი ახჩა (ქ.ჩხატარაშვილი, 1976:271). აღნიშნული დოკუმენტით პირველყოვლისა დგინდება, რომ არსებობდა ბათუმთან დასახლებული პუნქტი **ყოროლი**. დოკუმენტში ასევე მითითებულია სოფელი ყოროლისთავი. მასზე შეწერილი გადასახადი შეადგენდა 3 ათას ახჩას (ქ. ჩხატარაშვილი, 1976:271). ასე რომ ნამდვილად არსებობდა კონსტანტინე პორფიროგენტის მიერ მითითებული დაბა კოლორი/ყოროლი. რომელსაც საუკუნეების მანძილზე არ შეუცვლია სახელი. როგორც ადრეულ ხანაში, XVIII -ს-ის დამდეგისათვის იგი ყოფილა პატარაა დასახლება. რაზეც მეტყველებს შეწერილი გადასახადის ოდენობა – 500-600 ახჩა. ასევე, იგი მოხსენიებულია ბათუმის არეალში მდებარე პუტქტებთან ერთად. ასე რომ ლოკალიზდება მდ. ყოროლისწყლის შესართავთან მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთში მდებარე ვრცელ ვაკე ადგილზე.

კოლორის/ყოროლის ლოკალიზაციისათვის არაპირდაპირ, მაგრამ საინტერესო მასალას წარმოადგენს ბერძენი მემატიანის მიქელ პანარეტოსის ცნობა 1372 წელს ტრაპიზონის კეისარ ალექსი მესამის ბათუმში სტუმრობის შესახებ. ბერძენი მემატიანე თავის „ტრაპიზონის ქრონიკებში“ მოგვითხრობს: „1372 წლის 6 აგვისტოს წავედით ლაზიკაში (ბაგრატ მეფის კეისართან შეხვედრის ადგილი უნდა ყოფილიყო ზღისპირა პუნქტი მაკრიალი, გასათვალისწინებელია რომ ბაგრატ V ჰქონდა წესად ტრაპიზონის კეისარის მიღება მაკრიალში (1367 წ, 1377 წ, საქორწინო მიღებები). უნდა ვიფიქროთ, რომ 1372 წ. საქართველოს მეფემ სტუმრები მიიღო მაკრიალში: წყაროს ცნობით მაკრიალს ზღვის სანაპიროსთან ჰქონდა დიდი მინდორი „მაკრიალის ველი“ (ი.სიხარულიძე, 1977:46). რაც აუცილებელი იყო მრავალრიცხოვან სტუმართა კარების დასადგმელად) და თვის ბოლოს შეხვდით ბაგრატ მეფეს (საუბარია ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ V -ზე (1360-1393 წწ)

ქართული, ბერძნული წყაროები მას მოიხსენიებენ „დიდის“, „გამოჩენილი სარდალის“ ეპითეტებით. მისი ხელისუფლება მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა (ივ.ჯავახიშვილი, 1982:180; ვ.გუჩუა, 1997:317).

მას შემდეგ ნავედით ბათუმს. კარვები გარეთ, ცის ქვეშ დავდგით. გვყავდა 2 კატარლა და 40 ნავი. შევხდით გურიელს. რომელიც მეფის პატივისცემისთვის მოვიდა“ (შენიშვნა: აქვე უნდა შევეხოთ დღემდე პოლემიკად ქცეულ ერთ საკითხს: მოყვარეთა მეფის და კეისრის მაკრიალში შეხვედრის შემდეგ ბაგრატ V გაბრუნებულია ქუთაისში. საპატიო სტუმრისადმი პატივსაცემად ბათუმში მასპინძლობა მეფეს დაუვალებია გურიის ერისთავად გამწესებულ (გურიელი) ვარდანისძესათვის. ურჩობის გამო ბაგრატ მეფემ მას ჩამოართვა სვანეთის ერისთაობა (ლ.სანიკიძე, 1993:500). XV ს-ის ევროპული წყაროების მიხედვით გურია წარმოადგენდა საერისთავოს. მოქცეული იყო სუფსიდან ჩოლოქამდე საზღვრებში (Гогия. Б, 2005:107; თ.გვანცელაძე, 1997; რ.უზუნაძე, რ.სურმანიძე, 2013:23). მ.პანარეტოსის ზემოთ მოტანილი ცნობით სტუმარ-სტუმარმასპინძელი ერთმანეთს ებაასენ. ამდენად გურიის ერისთავის ფუნქცია იყო საქართველოს მეფის საპატიო სტუმრისათვის გაენია შესაფერისი მასპინძლობა. ვფიქრობთ გადაჭარბებულია ქართული ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, – თითქოს გურიელმა კეისარს უმასპინძლა ბათუმში როგორც თავის სამფლობელოში მოქცეული ტერტორიის ბატონმა თუ პატრონმა (ი.სიხარულიძე, 1959:83). ჯერ ერთი, „ბაგრატ V სრულიად საქართველოს მეფე იყო“ (ნ.ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, 1948:277). როგორც ზემოთ ავლნიშნეთ იმ დროისთვის გურია აღწევდა მდ. ჩოლოქამდე. აგრეთვე ისტორიულ რეალობას მოკლებულია მოსაზრება ვითომც საქართველოს მეფესთან სტუმრად მოსულ კეისარს მოლაპარაკება უნარმოებია შერისხულ და გურიის ერისთავად გამწესებულ ვარდანისძესთან. ტექსტის მიხედვით მათ შორის არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა. „ტრაპიზონის ქრონიკების“ მკლევარი ალ. გამყრელიძე მიუთითებს : გურიელი ეახლა თავისი სიუზერენის, ბაგრატ V სიმამრს სტუმართმოყვარეობის გამო (მიქელ პანარეტოსი, 1960:82). ცნობილი ბიზანტიოლოგები მიუთითებენ: ბაგრატ V -ის მიერ 1367 წ. კეისარ ალექსი III – ის ასულის ცოლად შერთვით „არა მარტო ქორწინებითი არამედ სამხედრო კავშირიც დამყარდა. ეს გამყარდა 1372 წ. იმპერატორის ახალი ვი-

ზიტით (Карпов С., 2007:407). რაც შეეხება „მოლაპარაკებას“ სტუმარ-მასპინძელს შორის ყოფილა ბაასი. იგი წარმოადგენდა სტუმარ-მასპინძელს შორის ურთიერთპატივისცემის ეტიკეტს. პროფ. თ.ბერაძე გამოიციხავდა ალექსანდრე III და გურიის ერისთავს (გურიელი) შორის ფარულ გარიგებებს (თ.ბერაძე, 2009:19-20). დავრჩით ექვს დღეს” (აღსანიშნავია, რომ საქართველოში სტუმრობისას კეისარს წესად ჰქონია ხანგრძლივი დროით გაჩერება. 1377 წ. ლაზიკაში გაჩერებულა სამი თვე (მიქელ პანარეტოსი, 1960:40). ამ ცნობაში საინტერესოა რამდენიმე მომენტი: პირველი რიგში გასარკვევია, ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე საპატიო სტუმარი თავისი ამალით სად, რა ადგილას შეიძლებოდა დაბანაკებულიყო? რომლებიც მოვიდნენ 2 კატარლითა და 40 საზღვაო ნავით. სანაოსნო საშუალებების მგზავრთა ტრანსპორტირების შესაძლებლობებიდან გამომდინარე ამაღლა, ეკიპაჟის ჩათვლით, უნდა ყოფილიყო რამდენიმე ასეული კაცი („ტრაპიზონის ქრონიკის“ მიხედვით კეისარ ალექსი III ცოდნია მოგზაურობა მრავალრიცხოვანი ექსკორტიით).

როგორც ითქვა, მათ კარვები ქალაქის გარეთ, ცის ქვეშ დაუდგამთ. მრავალრიცხოვანი სტუმრის კომფაქტურად და უსაფრთხოდ დასაბინავებლად საჭირო იყო მოხერხებული ადგილი. ამისათვის არ ივარგებდა ქალაქის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი. სადაც ერთი მხრივ ესაზღვრებოდა ზღვა, მეორეს მხრით მდინარეები სკურქუბა (ჭვავის წყალი) და ბარცხანა. ამ მხრივ ერთადერთ მოხერხებულ ადგილს წარმოადგენდა ქალაქის გარეთ „ზღვისპირა დაბლობი“ (დ.მუსხელიშვილი, 2007:100) ანუ დაბა „ყოროლი“. შესართავთან მდინარის ვრცელი ვაკე ადგილი იძლეოდა შესაძლებლობას დაედგათ სტუმართა მრავალი კარავი. იყო ბათუმის მიმდებარე ტერიტორია. ასევე, შესართავთან მდ. ყოროლისწყალის ღრმა და ფართო კალაპოტი, რაც გრძელდებოდა საკმაოდ დიდ მანძილზე (რ.უზუნაძე, რ.სურმანიძე, ნ.სოხოსიძე, 2013:20), იძლეოდა შესაძლებლობას სტუმრებს უსაფრთხოდ დაეყენებინათ სანაოსნო საშუალებები.

საგულისხმოა, რომ შუასაუკუნეების საქართველოში წესად ყოფილა დიდი ამალით მოსული განსაკუთრებული სტუმრის დაბინავება ქალაქის მიმდებარე მინდორ ადგილზე დადგმულ კარვებში. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული „ვეფხისტყაოსანში“. დიდი ამალით და ჯარით ხვარაზმელი უფლისწულის ინდოეთს

სტუმრობასთან დაკავშირებით მეფე ფარსადანს უბრძანებია: „მოკაზმეთ კარვითა მოედანია“ (შოთა რუსთაველი, 1992:551,1). ხვარაზმელი სტუმრებისათვის მინდორზე („მოედანზე“) კარვები რომ დაუდგამთ ადასტურებს პოემის მთავარი გმირის ტარიელის სიტყვები: „მოედანს დავდგი კარვები“ (შოთა რუსთაველი, 1992: 552,1). კარვების დასადგმელი მინდორი („მოედანი“) წარმოადგენდა მეფის (მართველის) საჯდომი ქალაქის მიმდებარე ტერიტორიას. ტარიელის თქმით : „შეიქმნა შიგა (ქალაქში მყოფნი) გასვლა ხვარაზმელი სტუმრების სანახავად“ (შოთა რუსთაველი, 1992 552:3). ხვარაზმელთა კარვები გარეთ რომ იყო გაშლილი ამაზე ასვე მეტყველებს ტარიელის სიტყვები: ხვარაზმელი უფლისწულის მოსაკლავად წასულს, თანხმლზე პირებთან ერთად, შეუმჩნევლად გაუვლიათ ქალაქი. „გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით“ (შოთა რუსთაველი, 1992:557,2). ასეთ ადგილს შუა საუკუნეებისათვის ბათუმის შემთხვევაში წარმოადგენდა დაბა ყოროლი.

ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების და გეოგრაფიული მდებარეობა-მდგომარეობის გათვალისწინებით კონსტანტინე პორფიროგენტის დღემდე დაკარგული „კოლორი“ ანუ „ყოროლი“ გაშენებული უნდა ყოფილიყო ყოროლისწყალის შესართავთან, ბათუმის მიმდებარედ, მარჯვენა სანაპიროზე.

საკითხთან დაკავშირებით განვიხილოთ „ყოროლის“ ეტიმოლოგია. ადრეული ხანის ბათუმის ისტორიის ცნობილ მკვლევარ ა. ინაიშვილის გამოკვლევით სიტყვა „ყორონ→ყოროლ“ ზანური წარმოშობისაა და ნიშნავს „ქვას“, „ქვიანს“ (ა.ინაიშვილი, 1976:82) (გავრცელებულია მისგან წარმომდგარი ადგილთა სახელწოდებები: ქვაციხე (სოფელი ჭიათურაში), ქვაყუდე (სოფელი სამტრედიაში), ქვები (სოფელი ხარაგაულში)...(ჯ.კეკელიძე, 2004:135).

ტოპონიმი „ყორონ“ (ყოროლი) წარმოშობილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ზანურენოვანი ტომების განსახლების დროს, დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში (გ.თოფურია, 1985:117-149; დ.ხახუტაიშვილი, 2007:84-86). შესაბამისად აღნიშნული სახელწოდებით სამოსახლო გაჩენილი ჩანს ანტიკურ ხანაში. რაზეც მიგვანიშნებს ყოროლისწყალის ქვემოწევის მარჯვენა არეალში აღმოჩენილი მასალები (ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989:3; ა.კახიძე, 2007:249). მოგვიანებით იგი დამკვიდრებულა „ყოროლის“ სახელწოდებით. რომელიც ბერძნულმა წყა-

რომ შემოგვინახა „კოლორის“ ფორმით. შესაბამისად, როგორც ავლნიშნეთ, „ყოროლისაგან“ არის წარმომდგარი ამ არეალის ტოპონიმები „ყოროლის ხეობა“, „ყოროლისთავი“ (სოფელი), ჰიდრონიმი „ყოროლისწყალი“.

და ბოლოს, რა ბედი ეწია დღეისათვის არარსებულ დაბა „ყოროლს“. XVIII ს-ის პირველი ნახევრის შემდგომ ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება. გადმოცემით ბარში გაჩენილა ხოლერა (ქოლერა). მოსახლეობის ნაწილი აყრილა და დასახლებულა ყოროლის ხეობის მაღლობებზე (ცნობა მოგვანოდა 81 წლის ყოროლისთავის მკვიდრმა ომერ შაქირის-ძე ბრუნჯაძემ. 1994 წ.). ახალ დასახლებას ეწოდა ყოროლისთავი. აგრეთვე, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბათუმის საქალაქო დასახლების დამცრობამ (რ.უზუნაძე, მ.უზუნაძე, 2017:89) გამოიწვია ისედაც მცირერიცხოვანი ყოროლის მოსახლეობის აყრა და უსაფრთხო ადგილებში დასახლება.

ამრიგად, დაბა „ყოროლის“ შესახებ ცნობა შემოგვინახა X საუკუნის ბერძნულმა წყარომ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952: პორფიროგენტი კონსტანტინე., „იმპერიის მმართველობის შესახებ“. გეორგიკა (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა), IV, თბილისი.
2. მიქელ პანარეტოსი, 1966: პანარეტოსი მექელ, „ტრაპიზონის ქრონიკები“, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით და შენიშვნებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 33, თბილისი.
3. გიორგი მერჩულე, 1978: მერჩულე გიორგი, შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისა, არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა. - ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი.
4. თ. ბერაძე, 2009: ბერაძე თ., VIII – XV საუკუნეების ბათუმის საეკითხი ევროპულ ისტორიოგრაფიაში. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი
5. თ.ბერაძე, 2009: ბერაძე თ., საქართველოს ურთიერთობა შავი ზღვით ბიზანტიასთან V – XV საუკუნეებში. ბიზანტიოლოგია

საქართველოში 2, თბილისი

6. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, 1948: ბერძენიშვილი ნ, ჯავახიშვილი ივ, ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, I, თბილისი.
7. ი. ბეკირიშვილი, 2001: ბეკირიშვილი ი., აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათუმი.
8. ა. ბოგვერაძე, 2012: ბოგვერაძე ა., გურგენ IV. – საქართველო (ენციკლოპედია), II, თბილისი.
9. ი. ღუმბაძე, 2018: ღუმბაძე ი., ადრეშუასაუკუნეების ქვევრები თამარის დასახლებიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, ბათუმი.
10. თ. გვანცელაძე, 1997: გვანცელაძე თ., 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზეთის ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია. ჟურნ. „არტანუჯი“, +6, თბილისი.
11. ბ. დიასამიძე, 2009: დიასამიძე ბ., ქრისტიანობა აჭარაში, სდსინ (აჭარა), ბათუმი.
12. შ. ვარშანიძე, 1990: ვარშანიძე შ., აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი.
13. გ. თოფურია, 1985: თოფურია გ., ლინგვისტური გეოგრაფია და ენის ისტორია. – ხელეური, თბილისი.
14. ა. ინაიშვილი, 1976: ინაიშვილი ა., ბათუმის ეტიმოლოგიისათვის. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონი, I, თბილისი.
15. ნ. ინაიშვილი, 2009: ინაიშვილი ნ., ბათუმი ბიზანტიურ ხანაში. ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი.
16. ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989: კახიძე ა, ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ძეგლები (სდსდ), XVIII, თბილისი
17. ა. კახიძე, 2007: კახიძე ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. – სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), I, თბილისი.
18. ა. კახიძე, 2009: კახიძე ა., ბათუმი და მისი შემოგარენი ძვ.წ. I ათასწლეულში (ბათუმის ციხე). – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი.
19. ა. კახიძე, ნ. სურმანიძე, თ. შალიკაძე, 2013: – კახიძე ა, სურმა-

- ნიძე. ნ. შალიკაძე თ., ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის ციხეზე. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), IV, ბათუმი
20. Кальфоглу И., 1906. Калфоглу И, Древнейшие история о Батуме. – икоирто, т. XVIII, + 1, Тифлис.
 21. Карпов С., 2007: Карпов С., История Трапезундского империи с. – II б.
 22. ჯ. კეკელია, 2004: კეკელია ჯ., ცხაკაია თ., საქართველოს ტერიტორია და დასახლებული პუნქტები, თბილისი
 23. შ. მამულაძე, რ. უზუნაძე, 2009: მამულაძე შ, უზუნაძე რ., ბათუმი შუა საუკუნეებში. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი.
 24. შ. მესხია, 1983: მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბილისი.
 25. დ. მუსხელიშვილი, 1980: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი.
 26. დ. მუსხელიშვილი, 2007: მუსხელიშვილი დ., აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. სდსინ (აჭარა), I, თბილისი.
 27. ა. ნეიმანი, 1978: ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.
 28. სეა, 2012: საქართველოს ეროვნული ატლასი (რედ. რ. გობეჯიშვილი), თბილისი.
 29. სია, 2016: საქართველოს ისტორიული ატლასი (რედ. დ. მუსხელიშვილი), თბილისი, 2016.
 30. შოთა რუსთაველი, 1992: რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბილისი.
 31. ი. სიხარულიძე, 1959: სიხარულიძე ი., სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, ბათუმი
 32. ი. სიხარულიძე, 1956: სიხარულიძე ი., ბათუმის წარსულიდან. ბათუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი.
 33. ი. სიხარულიძე, 1977: სიხარულიძე ი., ჭანეთი (ლაზეთი), I, ბათუმი.
 34. რ. უზუნაძე, 2009: უზუნაძე რ., ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება: სდსინ (აჭარა), II, ბათუმი.
 35. რ. უზუნაძე, რ. სურმანიძე, ნ. ზოსიძე, 2013: უზუნაძე რ, სურმანიძე რ, ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი.

36. რ. უზუნაძე, 2013: უზუნაძე რ., ცნობები ძველი ბათუმის შესახებ. ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი.
37. რ. უზუნაძე, მ. უზუნაძე, 2017: უზუნაძე რ, უზუნაძე მ., ბათუმის წარსულის ქრონიკები (XVII-XVIII სს), ქოროხი, +6, ბათუმი.
38. აკ. შანიძე, 1985: – შანიძე აკ., ვეფხისტყაოსანის ლექსიკონი. თბზ. ტ. V, თბილისი.
39. ქ. ჩხატარიშვილი, 1976: ჩხატარიშვილი ქ., საყურადღებო დოკუმენტი საქართველო – თურქეთის ისტორიისათვის. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბილისი.
40. რ. ხალვაში, 2012: ხალვაში რ., ბათუმი ანდრია მოციქულის მისონერულ მარშუტში. ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), II, ბათუმი.
41. ივ. ჯავახიშვილი, 1982: – ჯავახიშვილი ივ. ტ. 3, თბილისი
42. ან. ჯაფარიძე, 2014: ჯაფარიძე ან., საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან X საუკუნის ჩათვლით), I, თბილისი.
43. ვ. ჯაოშვილი, ი. სიხარულიძე, 1997: ჯაოშვილი ვ., სიხარულიძე ი., ბათუმი. საქართველო (ენციკლოპედია), I, თბილისი.

Revaz Uzunadze

Merab Uzunadze

From the History of Early Medieval Period Batumi Summary

The 10th c. Greek sources preserved interesting information about the existence of small town "Kolori" or "Khoroli". It was located at the confluence of river Korolistskali, on the right bank of the river. It was an old Batumi rural district. Its existence is also confirmed by Ottoman documents of 1712. Since the beginning of the 18th century we have no information about the village of Korol. The settlement has ceased to exist as a result of historical turmoil.

**ქართული პრობლემები ქართულ ემიგრანტთა
ნააზრევში**

„მართალია, დაყოფა პოლიტიკურ პარტიებად ყველგან არის, მხოლოდ თავისუფალ ერში ხდება თავისუფლად, ერის საკეთილდღეოდ, ჩვენი კი მტრის გავლენით და მის სასარგებლოდ“... – შენიშნავს არ. არჩვადე 1937 წელს პარიზში გამოცემულ „ეროვნული გაერთიანებ“-ის მასალებში – და შემდეგ იქვე განაგრძობს, – „ჩვენმა უფროსმა თაობამ, რომელმაც სიცოცხლე შეაღია ქართულ საქმეს, იბრძოლა გულწრფელად, საქართველოს საკეთილდღეოდ, ვერ მიაღწია მიზანს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ შეეძლო ძალების გაერთიანება“...[ეროვნული გაერთ... 1937: 13].

ამ თავისთავად მართებული განსჯის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ამაზე მარტო ლაპარაკი არ კმარა. ამისათვის მომავალი თაობები უნდა აღიზარდოს ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ქრთამზე დამოკიდებული, არ შემდგარ პედაგოგთა კადრები. ჩვენი მთავარი პრობლემა აღზრდის არაჯანსაღ სისტემაშია, სადაც, სამწუხაროდ, გულ ანთებული მამულიშვილები კი არ ყალიბდებიან, არამედ, ძირითადად, საკუთარ თავსა და კარიერის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ნარცისები, რომლებსაც თავში ძნელად მოუვათ სამშობლოს საკეთილდღეოდ ბრძოლა და თავგანწირვა... და როგორი ყალბიცაა მათი ცხოვრების არსი თუ სულიერი შიგთავსი, ისეთივე ყალბია და ილუზორულ ამბიციებზეა ორიენტირებული მათ მიერ აღზრდილი საზოგადოებაც; ანუ აქ საქმე გვაქვს არა საზოგადოებასთან, არამედ პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გადაგებულ ხამოკრატიასთან. ამიტომაც, ერის რეალურ განთავისუფლებაზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ მასში ამ თავისუფლების შეგნების აღზრდით და მომავალი თაობის ცხოვრების მოთხოვნილებად ვაქციოთ თავისუფალი ცხოვრების წესისა და იდეალების რეალიზება საკუთარ თავში.

მონა, სულიერი მაზოხისტი, ვერასდროს იქნება თავისუფალი!

იმავე „ეროვნული გაერთიანებ“-ის მასალებში, ცნობილი ქართველი ემიგრანტი ი. მანწკავა ამბობს: „არცერთი ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ ყოფილა არასდროს ბოძებული გა-

რედან ვინმეს მიერ იდეური და სარწმუნოებრივი ერთობის ნიადაგზე. მხოლოდ ინტერესებით, საკუთარი ეროვნული მისწრაფებით და ბრძოლით იპოვებენ მას“ [იქვე: 4].

„მე-19 საუკუნის დამდეგს, – აგრძელებს ი. მანწკავა, – საქართველო დაამარცხა გადაბერე-ბულმა ფეოდალიზმმა, ხოლო მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში კოსმოპოლიტური იდეებით გადამეტებულმა გატაცებამ“... [იქვე].

ქართველი ხალხი, მისი მოწინავე პირები, დროზე რომ შედგომოდნენ იმ სამზადისს, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში წინასწარი პირობაა მის გასამარჯვებლად, ვინ იცის, ჩვენს ხალხს ბრძოლა 1921 წელს თბილისის კარებთან არ წაეგო“ [იქვე: 6] – ამბობს იგი.

საკითხის ასე დაყენებას, ჩვენ დღეს შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ეს სამზადისი ილიას მეთაურობით ქართველ ერში შეუპოვრად მომდინარეობდა, მაგრამ ილიას მოკვლით და საქართველოში კოსმოპოლიტიზმის გამარჯვებით, ეს ბრძოლა 1907 წელს წავაგეთ, სწორედ რუსულ ნიადაგზე ამოზრდილი ანტიქართული ძალისხმევის შედეგად. ამიტომაც, აქ დამნაშავეა ის შავზნელი, რუსული სულისკვეთება, რომელიც მის მიერ ცუდად გადამუშავებული ევროპეიზმის სუროგა-ტით კვებავდა ქართულ გონს. სწორედ ამან წარმოშვა შემდეგში ის გარემოებანი, რომლის შესახებაც იგივე ავტორი აქვე ამბობს: „საბჭოთა კავშირში...სრულიად სხვა მდგომარეობაა. აქ მოკლულია ყოველივე პიროვნული და საზოგადოებრივი შემოქმედება, სოციალური თანასწორობა მმართველი წოდების მდაბალი ინსტიქტით და ინტერესებითაა შეზღუდული, ხოლო მთელ ამ ოტენტური მმართველობის ფორმაში გაბატონებულია ერთი, რუსი ერი და პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არა რუსი ერების ეროვნული ინტერესები მის სამსახურშია და მასზეა დაქვემდებარებული“ [იქვე: 9].

დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ „არა რუსი ერების კავშირი რუსეთის წინააღმდეგ უნდა გადაიქცეს იმ მუდმივ ისტორიულ ჯებირად, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გადანყვეტაში გახდება მყარ ბაზად, რომელიც ხელს შეუკრავს რუსულ იმპერიალიზმს და რუსეთის ერს ჩააგდებს თავის ისტორიულ კალაპოტში“... რისთვისაც დღესაც მიმდინარეობს მუშაობა და იგი, ჩვენი აზრით, გადამწყვეტ ფაზაშია შესული. ამასთან, ეს სრული-ადაც არ არის რუსეთის სამომავლო დემოკრა-

ტიული განვითარების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი, არამედ მიზნად ისახავს, ყველა თვალსაზრისით ეს მსოფლიო მნიშვნელობის რესურსების მქონე ქვეყანა, ჩააყენოს შეუქცევადი სიკეთის სამსახურში და მის არსებობას შესძინოს უკეთილშობილესი მისია, – იყოს მსოფლიოს საუკეთესო მისწრაფებათა კატალიზატორი და ნამდვილი მეგობარი.

ი. მანწკავა იქვე განაგრძობს: „ქართველი ხალხის... იდეალია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა. ამაში მას ახდელად არავინ ედავება, გარდა რუსეთისა და ჯუღაშვილის ყურმოჭრილი მონებისა, რომელთა ინტერესების, ფანატიზმისა და პირადი ამბიციების მსხვერპლი გახდა ჩვენი ერი“ [იქვე].

აქ, როგორც ვხედავთ, არაფრის შეცვლა არ არის საჭირო, გარდა იმისა, რომ ჯუღაშვილი პუტინით ჩავანაცვლოთ. და ყველაფერი ეს დაწერილია 1937 წელს... ნუთუ დღევანდელი რუსეთის მესვეურნი დღეს მაინც არ უნდა დაფიქრდნენ, თუ რა მოუტანა ჩვენს ქვეყნებს, 1783 წელს დაღებული გიორგიევსკის ტრაქტატის ჩათვლით, რუსეთის მიერ საქართველოსთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ფეხქვეშ გათელვამ? ნუთუ რუსეთში არავის არ აფიქრებს ჩვენი პა-ტარა ქვეყნის მიმართ აუარებელ უსამართლობათა ჩამდენი რომანოვების სამეფო დინასტიის ბედი?! ან კიდევ, თანამედროვე რუსეთის მომავალი?! ნუთუ, ქართველმა ხალხმა ცოტა მსხვერპლი გაიღო იმისთვის, რომ მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ელემენტარული პატივისცემით მოეპყროს ჩვენს კარზე მუდამ შიშველი ხმლით მდგარი მოძალადე?! და ბოლოს, სადამდე უნდა იყოს „სუსტის“ დაჩაგვრა, თავად რუსი ხალხისათვის, რუსეთის სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი გამართლება?!...

მაგრამ, მოდი საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედოთ და ვნახოთ, თუ როგორ ესმოდა ევროპე-იზმის რუსული სუროგატით დაკვალიანებულ, სამშობლოდან სწორედ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გაძევებულ, თავად ქართულ ემიგრაციას, კერძოდ, მის ელიტას, საქართველოს თავს დამტყ-დარი უბედურების გამომწვევი მიზეზები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

თავის 1948 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული საკითხი“ ნოე ჟორდანიას წერს: „საქარ-თველომ გადაწყვიტა გამოსულიყო მუსლიმანური გარემოცვიდან და დადგომოდა დასავლეთის ორი-

ენტაციას, რომლისკენაც მიმავალი ერთადერთი გზა, მოსაზღვრე რუსეთზე გადიოდა... ამი-ტომაც საქართველომ პირი იბრუნა რუსეთისაკენ“... [N. Jordania, 1948: 5]. ნ. ჟორდანიას აღნიშნული თეზა, რომ საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იძულებული იყო ორიენტაცია აეღო რუსეთზე, როგორც ერთმორწმუნე სახელმწიფოზე, საკმაოდ ძველი, ყავლ-გასულია და წარმოადგენს საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლის მორიგ მონაჩმასს, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით დაუთმო რუსეთს ყველა თავისი სუვერენული უფლებები და საკუთარი ხელით დაიდგა საუკუნო მონობის უღელი. ამ ხელოვნურად შექმნილი თეზის სანინალმდეგო აუარებელი უტყუარი ფაქტი და არგუმენტი უკვე გამოქვეყნებული, როგორც ქართულ ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა კვლავ მივყევთ ნ. ჟორდანიას მსჯელობას და გავარკვიოთ ნაშრომში განხილულ საკითხთა მისეული ხედვის სიღრმე და ვითარებასთან შესაბამისობა.

„საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არ მიუღია არავითარი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, პირიქით, წლების განმავლობაში იგი იბრძოდა სამხედრო დაჯგუფებებისა და ანტანტის წინააღმდეგ. მაშინ, როცა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები იღებდნენ რუსეთის საბჭოთა რეს-პუბლიკისაგან **პოლიტიკურ და ერთგვარ სამხედრო დახმარებას...** სწორედ ამაში მდგომარეობს ფუნდამენტური განსხვავების არსი (ლენინი)“- ლენინის სიტყვებით გვმოდღვრავს ნ. ჟორდანია.

როგორც ვხედავთ, 1948 წელსაც კი ვითარების შესაფასებლად ნ. ჟორდანიას მოჰყავს ვ. ი. ლენინის მოსაზრებანი და მასზე დაყრდნობით აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება რუსეთში არის ეროვნული ფენომენი, მაშინ როდესაც კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ის წარმოადგენს უცხო მოვლენას, შემოტანილს რუსეთიდან შეიარაღებული ძალადობით“... ნ. ჟორდანია აქვე ამბობს: „ლენინი აგრძელებს – კავკასიის რეს-პუბლიკები უფრო აგრარულია, ვიდრე რუსეთი. ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი იყო და დღესაც რჩება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან საგრძნობლად მონყვეტილი. კავკასიას კი უფრო სწრაფად და ადვილად შეუძლია აღადგინოს კეთილმეზობლური ეკონომიკური და სავაჭრო კავ-შირები კაპიტალისტურ ქვეყნებთან... უფრო მეტი ლიბერალიზმი, მეტი წინდახე-

დუღება და მე-ტი დათმობა წვრილ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, გლეხებს“... ისევ ლენინის აზრებს აფეტიშებს ნ. ჟორდანიას და შემდეგ გულმოკლული დასძენს: „კომუნისტმა მმართველებმა (კავკასიის რეს-პუბლიკებში და, კერძოდ საქართველოში – უ. ო.) არ შეასრულეს არცერთი ამ რჩევათაგანი (აი, თურმე რის იმედად ყოფილა, ბატონი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – უ. ო.) და ქვეყანა გადააქციეს სოციალურად და პოლიტიკურად რუსეთის პროვინციად“... [იქვე: 9]. ჩვენ აქ, თავს უფლებას მივცემთ, ვიკითხოთ: კი მაგრამ რა, – რომ შეესრულებინათ ლენინის ეს რჩევები ბოლ-შევიკებს, საქართველო რუსეთისაგან დაპყრობილი აღარ იქნებოდა და ეს რაიმეს შეცვლიდა მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობაში?! ან კიდევ, 1948 წელსაც რომ ლენინისა და მისი რჩევების იმედად არის ნ. ჟორდანია, რას ნიშნავს ეს?! ნუთუ ამ ხნის განმავლობაში (1921-დან 1948 წლამდე) მან ვერ მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობაში რუსეთისა და ლენინის როლის სათანადოდ გააზრება?! ამ თვალსაზრისით რომ ნ. ჟორდანიას ქმედებანი და აზრები ბევრ კითხვას ბადებს; ამას ჩვენ ნაშრომში კიდევ დავუბრუნდებით.

ნ. ჟორდანიას ამავე ნაშრომში მოყავს საბჭოა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. ჩიჩე-რინის 1920 წლის 3 დეკემბრის პასუხი ლორდ კერზონის კითხვაზე ბათუმის შესახებ, სადაც იგი ამბობს: „რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ ეს არ გააკეთა. მთელი რუსეთის პოლიტიკა ემყარება პატარა ერების თვითგამორკვევის დაცვას და საქართველოსთვის არავითარი მოთხოვნა არ წაგვიყენებია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ ყოფილიყო დაკავებული მტრული ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ განუხორციელებია და არც განახორციელებს მტრულ აქციას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის დაკავებით თუ სხვაგვარად“...[იქვე: 11].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკების მიერ წინ წამოწეული პატარა ერების თვითგამორკვევის დაცვის ფარისეველური პოლიტიკა, გულზე ლახვრად ესობოდათ, უპირველეს ყოვლისა, მსოფ-ლიო რანგის დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და პირველ რიგში, სწორედ მსოფლიო ომში სულ ახლახან გამარჯვებულ ანტანტის ქვეყნებს, რადგანაც ამ პოლიტიკის გატარების შემთხვე-ვაში, მათი მტაცებლური მადა საკმაოდ უნდა შეზღუდულიყო. ამიტომაც, ბოლშევიკური რუსეთის ეს ფარისეველური, მათ წინააღმდეგ მი-

მართული, მზაკვრული მანევრი რამენაირად უნდა გა-ენეიტრალე-ბინათ და საბჭოთა რუსეთის ნამდვილი, ვერაგული ჩანაფიქრი და სახე წარმოეჩინათ. ამისთვის კი, მის მტაცებლურ ინსტიტუტებს, როგორც ჩანს, მიზანმიმართულად აღვივებდნენ და ცდილობდნენ მათსავე მოედანზე, მათივე წესებით სათამაშოდ შეეტყუებინათ, რაშიც, მათაც კარ-გად იცოდნენ, ბოლშევიკებს დიდ ნახალისება არც სჭირდებოდათ. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, ე. წ. დასავლეთი თუ ევროპა, ძალიან ადვილად იტყუებს თავს. მითუმეტეს, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი საბჭოთა რუსეთს უკვე დაპყრობილი აქვს და მისი აგრესიული პოლიტიკა რეგიონში არავითარ ეჭვს არ იწვევს. სწორედ ამ მომენტში, საბჭოთა რუსეთი თავზე ადგას „ჩა-ცუცქულ ევროპას“ და „საქმეს ურჩევს“, თან მაკონტროლებელ ზონდირებას უკეთებს აღნიშნულ საკითხში ... და საბოლოოდ დარ-წმუნდა რა, თუ რასთან და ვისთან ჰქონდა საქმე, ორი კვირის შემ-დეგ თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო იგი... ამ დროს ევრო-პის სახელმწიფოთა მწყობრი დუმილი გვაფიქრებინებს, ყველაფე-რი ეს უნდა ყოფილიყო საერთო ევროპული საიდუმლო გარიგების შე-დეგი და ლორდ კერზონის შეკითხვა შეიძლება იმაზე მინიშნე-ბასაც შეიცავდა – რატომ აგვიანებთ მოქმედებას?! მითუმეტეს, არსად არ ჩანს, რომ ლორდ კერზონის ამ „ენერგიულ შეკითხვაზე“, რუსეთის ენერგიული პასუხის შემდეგ, მის მიერ ჩადენილ აგრესი-ას „ დიდი სახელმწიფოები“ აქ-ტიურად დაპირისპირებოდნენ და თუნდაც ამ აგრესიის დროს საქართველოს, ელემენტარულად, გა-მოსარჩლებოდნენ.

ამასთან რუსეთმა მიიღო თურქეთის სამხედრო დახმარება“ – აცხადებს ნ. ჟორდანიას [იქვე: 18], – და შეგნებულად ტყუის, რადგა-ნაც დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქები, საბჭო-თა რუსეთთან დაპირისპირების იმედით, თვითონ მოიწვია; მათ კი უღალატეს და საკუთა-რი მიზნების განხორციელებას მიყვეს ხე-ლი. ამასთან, საკმაო კითხვებს წარმოშობს აღნიშნულ სტატიაში დაფიქსირებული შემდეგი მოსაზრებანიც: „მან (საბჭოთა კავშირმა – უ. ო.) ხელი მოაწერა რეზოლუციას, რომელსაც კენჭი ეყარა იალტის კონფერენციაზე: „ ყოველი ერის უფლებაა აირჩიოს მმარ-თველობის ის ფორმა, რომელშიც სურთ ცხოვრება“. ავტორი აქვე აკეთებს მეტად „გულუბრყვილო“ დასკვნას, რომ „ამგვარად მო-კავშირე ქვეყნებმა სავსებით უარყვეს ძველი იმპე-რიალისტური იდეოლოგია – მცირე ერების დაპყრობა დიდი ქვეყნების მიერ და

იგი შესცვალეს ახალი დოქტრინით: ერთა თავისუფლება, მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება და ერთიან ხალხთა ოჯახის დაარსება“. და ფიქრობს, რომ ამით გადაწყდა საქართველოს ბედიც – „სამართლი-ანობა ყველა დიდი და მცირე ერებისათვის“ [იქვე].

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნ. ჟორდანიას, ან მარ-თლაც ასეთი გულუბრყვილო იყო, ან დიდი ფარისეველ-თვალთმაქცი, რომელიც, ბევრ სხვასა-ვით, საბჭოთა კავშირისა და სტალინის ხიბლში იყო ჩავარდნილი და ასეთი განცხადებებით მათ საქმეს ემსახურებოდა. აღნიშნული განცხადებით იგი, ფაქტობრივად გამორიცხავს სხვათა ჩარევის შანსსაც კი საბჭოთა კავშირ-საქართველოს ურთიერთობაში. მიუთმეტეს, ნ. ჟორდანიას ეს მოსაზრებები გამოთქმულია მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ 1933 წლის 27 იანვრის „სამახსოვრო“-ში (Aide-Memoire, 1933), გაკრიტიკებულია რა რუსეთის, ევროპული სახელმწიფოებისა თუ ერთა ლიგის დამოკიდებულება საქართველოსადმი, აქვე მოყვანილია კანადის დელეგატის მაკდონალდის შეფასება რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო: „თითქმის უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო ისტორიაში, – რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ სცნო საქართველო, დაიპყრო იგი ხელშეკრულების დარღვევით“ (1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება იგულისხმება – უ. ო.). იქვე მითითებულია, რომ „თუ ამას დავუმატებთ სსრ კავშირის კონსტიტუციის იმ პარაგრაფს, რომელშიც იგი ყველა ხალხს უტოვებს გამოყოფის უფლებას, რო-დესაც ეს მოესურვება, ადვილად მისახვედრია, როგორ დასცინის საბჭოები ყველა იმ პრინციპებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ცივილიზებული სამყარო“... [იქვე: 7].

ძალზე სამწუხაროა, რომ ამ დაცინვას ვერ გრძნობს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ის წარმომადგენელი, რომელსაც მისი ღირსების დაცვა ყველაზე მეტად ევალებოდა. რაშია საქმე?

ვცადოთ, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განვითარებულ მოვლენათა არსს ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

გიორგი გვაზავას 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში – „ქართული საკითხი და საერთაშორისო მდგომარეობა“, ვკითხულობთ: „საქართველოს პირველი გამოფხიზლება იყო საჩივრის წარდგენა ერთა ლიგაში, რომელიც იმ ხანად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში. მაგ-რამ ერთა ლიგა აღმოჩნდა მეტად

ფრთხილი და გაუბედავი. მისი პოზიცია გახდა საკუთარი პრინციპების სისტემატიური უგულებელყოფა“ [G. Gvazava, 1938: 4-9].

აქვე აღნიშნულია, რომ გარკვეული დროის შემდეგ „რუსეთი თავად წარსდგა ერთა ლიგაში. იგი მიღებული იქნა საზეიმოდ; ეს არის აპოგეა. აგრესორის მიღებით ერთა ლიგა სანქციას აძლევს აგრესიას. ამრიგად, მისი როლი რადიკალურად შეიცვალა. ერთა ლიგა, რომელიც უნდა ყოფილიყო ხალხთა უფლებებისა და თავისუფლების დამცველი, გადაიქცა რუსეთის მპყრობელობის მცველად. რას ნიშნავს ეს?...“ [იქვე, გვ. 4] – სვამს კითხვას ავტორი. და დღეს მაინც უნდა გაეცეს ამ კითხვას ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით გათვალსაზრისწოდებული უტყუარი პასუხი:

- ერთა ლიგისა თუ დღეს მოქმედი სხვა, მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის ნამდვილი არსი და მიზანია, ხალხთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ყალბი ლოზუნგების ქვეშ, უზრუნველყონ „დასავლურ“ ძალთა გაერთიანება, რუსეთის შიშით აჯაგრული, საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად და ამასთან, ყველაფერ ამას მისცენ ხალხთა უფლებებსა და თავისუფლებებზე ზრუნვის გარეგნული სახე, გაფორმება. ამ სიყალბეს ყველა კარგად ხედავს, მაგრამ ე. წ. ზესახელმწიფოთა ამ ყალბი იმიჯის გამომზეურებას (გარკვეულ მიზეზთა გამო) ყველა თავს არიდებს; თავადაც ამ სიყალბის ხიზლში ჩათრეულნი ინარჩუნებენ იმის იმედს, რაც ყოველ-გვარ იმედს საფუძველშივე კლავს – ფარისევლურ თანაარსებობას, რომლის მდგრადობასა და „სი-მტკიცეს“ მათი ფარისევლური წესდებებითა და პაქტებით ქმედება-მანიპულირება განსაზღვრავს... და ამგვარად, ყველა თავს იტყუებს საკაცობრიო უსამართლობის წინაშე, რაც სატანური ძალების მსახურებაა და საბოლოოდ, მხოლოდ ახალი მსოფლიო „არმაგედონის“ შემზადებას ემსახურება.

ზემოთ განხილულ ამბავთა შესახებ კი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი შ. ოდიშარია თავის სტატიაში – „საქართველო ევროპისა და მოსკოვის პირისპირ“-მოგვითხრობს: „მან (ქართველმა ერმა -უ. ო.) ძლიერ განიცადა ბოლშევიკური ექსპანსიისადმი ევროპის გულგრილობა. რუსეთში დამკვიდრებული ბარბაროსული რეჟიმი ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური წრეების მიერ მიჩნეული იქნა „მხოლოდ რუსი ხალხის შინაურ საქმედ“... მეორე მხრივ, კი კომუნისტური ხელი-

სუფლების მმართველები თავად არასდროს არ თვლიდნენ ბოლშევიზმს, როგორც „მხოლოდ რუსეთის საშინაო საქმეს“, პირიქით, მათი უმთავრესი მიზანი იყო და დარჩა...კომუნისტური რევოლუციის გაჩაღება მთელს მსოფლიოში „... ხოლო, გრძნობდა რა, ყოველივე ამას, – „ევროპის მიზანი იყო, რომ მოეხდინა კომუნისტური საფრთხის ლოკალიზაცია და მიზნის მიღწევას შეეცადა ამ საფრთხის წინაშე თავლის დახუჭვით...

დროებით მოკავშირეები რომ შეეძინათ, კომუნისტებმა ნაცად ხერხს მიმართეს, – აღნიშნავს შ. ოდიშარია – მათ შექმნეს „პატრიოტიზმის“ კომუნისტური პაროდია, მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი მეთოდებით“ [Sh. Odicharia, 1938: 13-14].

ყველაფერი ეს იმდენად „ეფექტური“ აღმოჩნდა, რომ იგი ევროპას კინალამ საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა, როცა მის აღმოსავლეთ ნაწილზე კომუნისტური დიქტატურა ძალადობით დამკვიდრდა. მას ჰქონდა პირდაპირი საშუალება, ეხილა რუსული ბოლშევიზმის ნამდვილი, მხეცური სახე. ბატონი შ. ოდიშარია მართებულად აღნიშნავს, რომ „რუსეთის მიერ დამონებული სხვადასხვა სახელმწიფოები დიდი ხანია ამზადებდნენ მოძრაობას, რომლის მიზანი იყო საკუთარი დამოუკიდებლობის აღდგენა...ბოლშევიზმის ბელადები „ხსნას ეძებენ პან-რუსულ და პან-რუსისტული პატრიოტიზმის გაღვივებაში, რომელიც ემთხვევა თავად ბოლშევიზმს“ – განმარტავს ავტორი.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყველა ქართველ პატრიოტს ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული რუსიზმისა და ბოლშევიზმის ერთგვაროვნება და მისი, როგორც რუსული ფენომენის გააზრება დღევანდელი დღის გადასახედიდანაც, თითქმის იდენტური და უალტერნატივოა. რადგან აქ თავაშვებული ტირანიის ერთი ფორმა საბჭოთა პერიოდიდან, მხოლოდ მეორეთი შეიცვალა და „როზანოვული პატრიოტიზმი“, სტალინურმა ჩაანაცვლა თავისი მუჟიკური ხეპრეობის („ზა სტალინა, ზა როდინუ“) პრიორიტეტით, რომელიც შეერწყა რუსულ სულში ჯერ კიდევ ფარულად შემორჩენილ ბოიარულ-როზანოვულ „მკერდზე დრაგუნებმა გადამიარეს“... მისი ასეთი სიცოცხლის უნარიანობა რუსეთსა და რუსეთის მიერ პეროზილ ხალხებში გამონეული იყო მათში, სწორედ, რუსული როზგის სკოლაში აღზრდილი, წმინდა რუსული სულისკვეთებით და მათ გადაშენებას, თითქმის, აღარაფერი აკლდა.

ავტორი იქვე შენიშნავს: „იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ სსრ კავშირის უსაზღვროდ დიდ ტერიტორიაზე, მის შიგნით მიმდინარე ეროვნულ პროცესებში, ჩვენ ვფიქრობთ, მაგალითი-სათვის კარგი იქნება თუ ავიღებდით საქართველოს საკითხს და კარგად შევისწავლიდით მას, რადგანაც ჩვენ ეჭვი გვეპარება იმაში, რომ უცხოელებს ეს საკითხი ესმით“ [იქვე, გვ. 16].

ამ შემთხვევაში, ჩვენ გამოცდილება გვკარნახობს და აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ „უცხოელებს“ ეს საკითხი შეიძლება სათანადოდაც ესმოდეთ კიდევ, მაგრამ მათ კიდევ უფრო კარ-გად ესმით საკუთარი პრობლემები და პრაგმატული ინტერესებიც, რომელიც რუსეთის დაშოშმინების სტრატეგიაში გამოიხატება. ამიტომაც, ისინი არასდროს გულწრფელნი არ არიან და ვერც იქნებიან საქართველოს ინტერესების დაცვის საქმეში, რადგან მათი ფარული ქვეამოცანაა რუსეთის მიერ ჩვენი „მიბეგვის“ ხარჯზე თავი გადაირჩინონ მისი „მრისხანებისაგან“ (ანუ, ხშირად ვჭირდებით, როგორც „Malcik dlia bitie“). და ბევრ შემთხვევაშიც ასეც ხდება. დასავლეთის სახელ-მწიფოები საკუთარი თავის გადარჩენის ინსტიქტის გამო, სწორედ ბოლშევიკურ რუსეთთან აღ-მოჩნდა ალიანსში მეორე მსოფლიო ომის დროსაც და მას მიყიდა ის თოკი, რომლითაც კინალამ თავად იქნა ჩამოხრჩობილი. ეს, კიდევ ერთხელ, იმის დასტურია, რომ ამ ე. წ. დასავლეთისათვის ყოველთვის პრიორიტეტულია საკუთარი პრაგმატული ინტერესები და იგი არასდროს არ იყო, არ არის და არც იქნება მზად იმისათვის, ჰუმანიზმის იმ იდეალებს შეენიროს, რომელსაც თავად ქა-დაგებს. ამას ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადასტურებს, როგორც „ერთა ლიგის“, ისე „გაეროს“ არ-სებობისა და მოღვაწეობის ისტორია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ „ბებერ მეძავს“ ზურგი ვაქციოთ, – პირიქით, – მისი ასეთი ზნეობრივი ფიზიონომია ჩვენც სრულ თავისუფლებას გვაძლევს, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მჭიდროდ შევეუკავშირდეთ მას და ჩვენთვის სასარგებლოდ კარგად გამოვიყენოთ მისთვის დამახასიათებელი „სიკეთის გაცემის“ უშრეტო ენ-ერგია. ამასთან, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ოღონდაც ძალადობით არ გააუპატიურონ და ამისათვის ყვე-ლაფერზე მზად არის. ამიტომაც, ვეცადოთ უხეშ ძალას მაქსიმალურად შევუზღუდოთ მასზე ძა-ლადობის შანსი (ამას ადრევე მიხვდა აშშ და მას საკუთარი თავის უშიშროების უზრუნველსა-ყოფად „ნატო“ შეუქმნა). ამას კი მხოლოდ ნატოსთან ალიანსში შეეძლებო. ასეთ შემ-

თხვევაში უნდა ველოდეთ, რომ მისგან მივიღებთ ყველა იმ სარგებელსა და სიკეთეს, რასაც „მდიდარი მატრო-ნასაგან“ ყოველთვის გამოელიან, თვით „სიფილისის“ ჩათვლით. მაგრამ ხომ გვაქვს ამის წინა-აღმდეგ საიმედო „კონტრაცეპტივები“, საკუთარი ტრადიციული ცხოვრების წესის დასაცავად.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ „შეხვედრებს, დებატებს და პრო-ტესტს შედეგი არ მოჰყოლია. არავის სურდა უთანხმოება შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა ქვეყნის გამო საბჭოთა რუსეთთან. 1921 წელს მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავისებულ-გააზრებული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპი და ის კონცეფცია, რომლის თანახმადაც თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და საფრთხის შემთხვევაში იგი ერთად დასაცავია“ – ვკითხულობთ აშშ წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესის საგანგებო კომიტეტის სოციალ-ურ ანგარიშში – კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია [Communist takeover ... 1955: 25]. ევროპის თუ მაშინდელი დასავლეთის ზემოთ დაფიქსირებული პოზიცია და მისი გამო-მწვევი მიზეზები არ შეიძლება უცნობი და მიუწვდომელი ყოფილიყო ნ. ჟორდანიასთვისაც; ამი-ტომაც, აქედან გამომდინარე არაფერი დაუჯერებელი არ არის დამოუკიდებელი საქართველოს გენერალ გიორგი კვინიტაძის ამ მოგონებებშიც, რომ „თვითონ ნ. ჟორდანიას უნდოდა დასაწყისში თბილისის დატოვება უზრძოლველად“ [კვინიტაძე, 1990: 18] და არც იმაში, რომ „ჟორდანიას სანდო პირადი ინფორმაციური თურმე ყოფილა გენერალი ლებედინსკი (საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა ჯარის ერთ-ერთი სარდალი – უ. ო.), რომელიც ჩანს იყო ურთიერთობაში ბოლშევიკურ მისიასთან, რადგანაც მოაწყო საიდუმლო შეხვედრა თავის ბინაზე ნ. ჟორდანიასი ამ მისიის სამხედრო წარმომადგენელთან, რასაკვირველია, ბოლშევიკების მისიის ნებართვით“ [იქვე, 19].

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ცნობილ ქართველი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან ურუშაძე თავის ნაშრომში „ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“, ამბობს: „კრებულში – *Dokumenti i materiali po vneshnei politiki Zakavkazia i Gruzia*“, – რომელიც საქართველოში მენშევიკების მმართველობისას გამოიცა – „ერთ სიტყვაც არ არის ნათქვამი რაიმე ეროვნულზე და ქართულ თვითშეგნებაზე (მხედველობაში მაქვს მასალები საქართველოს დამოუკიდებლობის გა-

მოცხადებამდე); სამაგიეროდ აქ უხვადაა მგზნებარე ფრაზები რუსეთზე, რუსულ დემოკრატიაზე, დიად რევოლუციურ მონაპოვარზე... რუსეთის დროებითი მთავრობისა და მენშევიკური ცაკის დაშლამდე (ნაწილობრივ შემდეგაც), ქართველ მენშევიკთა მთელი იმედები „დიადი რუსეთისაკენ იყო მიმართული“ [ურუშაძე, 1991: გვ.31]. „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა და სეიმის შექმნაც იძულებით, დროებით მოვლენად მიაჩნდათ ესდეკებს, აქაოდა რუსეთის დემოკრატიული დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ უნდა შეედგინა დროებითი ხელისუფლება, რომლის საფუძველიც იქნებოდა:

ა) ნაყვანა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადანყვეტის მიმართულებით;

ბ) ავტონომიურად გადანყვეტა მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა;

გ) მიყვანა მხარისა იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება, ან როცა გაიხსნება საერთო რუსეთის სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრება“ [იქვე; ამონერილია 1917 წლის 11 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებიდან; ნოზაძე ვ., ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი, ჟურნ. „ორნატი“, # 3, პარიზი, 1934, გვ. 21].

ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანიამ, მენშევიკურ-ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის მსოფლიო მოქალაქეობის თავისებურმა ნაზავმა, ამ სახით ხომ არ განა-ხორციელა ზემოთ მოყვანილი პროგრამა, რადგან ბოლშევიკები რუსეთში მიიჩნია სწორედ ამ, ყველასაგან აღიარებულ რევოლუციურ ხელისუფლებად?! ამასთან, როგორც ლ. ურუშაძე აქვე ამბობს: „ლენინმა და ერის გამყიდველმა ქართველმა ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ მერყევი და ეროვნულ ცნობიერებას მოკლებული ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) სუსტი მხარეები, აკი, ისარგებლეს კიდეც ამით! სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ ბოლშევიკთა ესოდენ თავხედობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი“... ქართველი პატრიოტი იქვე განაგრძობს, რომ „ქართველ სოციალ-დემოკრატთა რუსოფილური მიდრეკილება სავსებით გამომჟღავნდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრირებიდან კარგა ხნის შემდეგაც, კერძოდ კი ვისბადე-ნის და შემდეგ

მიუნხენის მოლაპარაკებებზე, რომელთაც აწარმოებდნენ რუსული პოლიტიკური დაჯგუფებანი. საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული იქნა მიუნხენში 1953 წლის 16 ოქტომბერს წერილობითი დადგენილების სახით [იქვე, გვ. 37].

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ლ. ურუშაძე იმავე ნაშრომში მოტანილ მასალებში აღნიშნავს: „ჯერ კიდევ ვისბადენში რუსეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერებმა დაადასტურეს, რომ რუსებსა და ნაცუმცირესობათა მიერ უნდა შექმნილიყო რუსეთის ყოფილი დროებითი საბჭოს (აღნიშნული საბჭო დათხოვნილი იქნა 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ) სტრუქტურების მქონე ორგანო, რომელიც მიიღებდა ემიგრანტული „პრედპარლამენტის“ სახეს, რა თქმა უნდა, რუსული ძალების აშკარა ჰეგემონიით და წამყვანი როლით. ამ საბჭოში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნაცუმცირესობათა საბჭოები. „ქართული ეროვნული საბჭოს“ სახელით პირველი ამგვარი ორგანო შეიქმნა ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ (რითაც მოახდინეს საქართველოში 1917-1919 წლებში მოქმედი „ეროვნული საბჭოს“ რესტავრაცია). ყველასათვის ცხადი იყო, რომ ამგვარ პოლიტიკურ სარბიელზე გადასვლა, ამგვარ აშკარად რუსულ ბლოკში მოღვაწეობა, ნიშნავდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროშის ქვეშ გაერთიანებას და ველიკორუსული განუყოფლობის კვლავ აღიარებას“ [ასათიანი, 1953: 12-13].

ეს ტენდენცია საბოლოოდ დადასტურდა მიუნხენის შეთანხმებით, რომელიც აღიარებდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროინდელ მმართველობის სტრუქტურებს და უარყოფდა ყოველგვარი სხვა სახის რესტავრაციას.

ქართველი სოციალ-დემოკრატები „მოწოდების სიმალლეზე“ აღმოჩნდნენ (როგორც თანა-მედროვე „რესპუბლიკელები“ – უ. ო.). „ქართულმა ეროვნულმა საბჭომ“, სოციალ-დემოკრატთა მეთაურობით, თანხმობა განაცხადა მიუნხენში დაარსებულ „საკოორდინაციო ცენტრის შემადგენლობაში შესვლაზე და მისმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საბოლოო დოკუმენტს [იქვე, გვ. 15-21]. ამგვარი ქმედება მიუღებელი იყო არა მარტო ქართული ემიგრაციისათვის, არამედ მთელი ქართველი ერისთვის“ [ურუშაძე, იქვე: 39] რადგანაც „სრული მოულოდნელობა იყო ქართველი სოციალისტების აქტიური მონაწილეობა ისეთ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს

დამოუკიდებლობის აქტსა და მის კონსტიტუციას, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მისი მთავრობის ყოველგვარ ნამოქმედარს; 1917-1922 და 1924 წლების აჯანყებათა წმინდა მიზანსა და დროშას... ასეთი მოქმედება მძიმედ აზიანებს არა მარტო ქართული ემიგრაციის სახელსა და მორალს, არამედ მთელი ერის ზნეობრივ სახეს“ [იქვე]. რასაც ჩვენ აქ სრულიად უნდა დავეთანხმოთ და აღვნიშნოთ, რომ ამ ქმედებით მათ, მართლაც, ხაზი გადაუსვეს ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის 3 წლიან ისტორიას და ამ პერიოდში, მთელ მის შემოქმედებასაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და სხვა უტყუარი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანიას, რომელიც, სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად, უდიდესი მწუხარებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამით რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ერთიანობის დარღვევას, – აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო: რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, საქართველოშიც მათი დამკვიდრება, სავარაუდოა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ერთობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად ჩათვალიდა; ამიტომაც, ყველანაირად ეცადა, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით, ამასთან ისე, რომ მისთვის და მისი მომხრე-ებისათვის აშკარა ღალატის ბრალდება ვერ წაეყენებინათ, გასცლოდა მისგან უკვე ბოლშევიკების ასპარეზად მიჩნეულ რეგიონს. ამით კი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ფარული ერთობაც საბოლოოდ აღედგინა და ამასთან, ბოლშევიკებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიისადმი ერთგულების დამამტკიცებელი საპირწონე სამსახურიც გაენია. ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მან შეგნებულად **„მიიყვანა მხარე იმ მომენტამდე, სანამ შეიქმნებოდა ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება“** და ამით ბოლომდე დარჩა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთგულ ჯარისკაცად.

თუკი, ჩვენს მიერ წამოყენებული აღნიშნული თეზა საბოლოოდ დამტკიცდება, კიდევ ერთი მყარი არგუმენტი გვექნება, თუ რატომ არ უნდა მივუშვათ არაეროვნული ძალები ეროვნული სახელმწიფოებრიობის საჭესთან.

სტატიაში გამოყენებული ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა წერილებისა თუ სხვა ნაშრომების განხილვა, მათი ისტორიული ანალიზი, საშუალებას გვაძლევს ახლებურად გადავია-ზროთ საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდი, დავადგინოთ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები თუ წარმმართველი იმპულსები და ყველა ასპექტის გათვალისწინებით შევქმნათ ეპოქის შედარებით უფრო სრულყოფილი სურათი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ეროვნული გაერთიანება (მასალები), პარიზი, 1937;
2. 1917 წლის 11 ნოემბრის, რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილების, ამონაწერი;
3. ნოზაძე ვ., ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი, ჟურნ. „ორნატი“, # 3, პარიზი, 1934;
4. ურუშაძე ლ., ბოლშევიზმ-მენშევიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი, გამომც. „მეცნიერება, 1991;
5. ასათიანი ა., ამერიკა და რუსეთი, ჟურნ. „ივერია“, # 5-6, პარიზი, 1953;
6. N. Jordania, la probleme Georgian, Paris, 1948;
7. G. Gvazava, La problem Georgien et la situation internationale, La Georgia #1, Paris, 1938, p. 4-9;
8. Ch. OdiCharia., La Georgia en face de l'Europe et de Moscou, La Georgia #1, paris, 1938, p. 13-14;
9. Aide- Memoire, Paris, 27 Ianvier, 1933;
10. Communist takeover and occupation of Georgia, Special report #6 of the select committee communist agresion house of representatives eighty thind congress second session, United States. Government Printing office, WaShington, 1955, p.25;
11. Dokumenti i materiali po vneShei politiki Zakavkazia i Gruzii, Tfilisi, 1919;

ბათუმის გამწვანების სათავეებთან

ქალაქ ბათუმის ნორმალური გამწვანებისათვის ყველაზე ეფექტური საშუალება იყო მწვანე ნარგავთა ისეთი შერჩევა, რომლებიც ქალაქის კლიმატს უშუალოდ შეესაბამებოდა.

თავის დროზე ტროპიკული ფლორის დიდი მოღვაწე, პროფესორი ანდრია კრასნოვი წერდა: „ბათუმს შეუძლია მთლიანად ჩაიძიროს მცენარეთა საფარში, იყოს მიმობნეული ყვავილებით ზამთარში, გახდეს საუკეთესო ხმელთაშუა ზღვის კუთხეთა სხვა სახელგანთქმულ კურორტებს შორის.“ (კრასნოვი, 1911:35)

ანდრია კრასნოვი იძლეოდა სწორ და ზუსტ შეფასებას — შესანიშნავი ბუნებითა და კლიმატური პირობებით დღეს ბათუმი განუმეორებელი სუბტროპიკული იერის მქონე ქალაქია.

1902 წელს ივანე ანდრონიკაშვილმა ქალაქის მთავარ მეზაღედ დანიშნა თბილისის საბაღოსნო სკოლის კურსდამთავრებული, თავადი ი. ლიონიძე, რომელსაც დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შექმნის საქმეში. ირკვევა, რომ ი. ლიონიძე ქალაქის მერიას უყოყმანოდ აურჩევია საზოგადოების მეხილეობის სექციის თავმჯდომარედ.

ი.ლიონიძის დანიშვნის წინააღმდეგი იყო ბათუმის ოლქის მაშინდელი გენერალ-გუბერნატორი ფონ-პარკაუ, რომელსაც მიაჩნდა, რომ ეს თანამდებობა ეკუთვნის რუსს ან სხვა ეროვნების ადამიანს და რომ ქალაქისათვის ნაციონალისტებთან არის შეკრული და ცდილობს ქალაქის მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშნოს მასთან დაახლოებული ნაციონალისტები. ამასთან დაკავშირებით, ი. ანდრონიკაშვილმა გუბერნატორს უთხრა, რომ ის ხალხი, რომელიც დანიშნა მის მიერ თანამდებობებზე არის კომპეტენტური და საქმის მცოდნენი. აქ იმის შიში, რომ ეს ხალხი ნაციონალისტებია, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ამ ხალხმა ყველას დაანახა საქმისადმი სიყვარული და ცოდნა და სხვა აზრი, ვფიქრობ მცდარია. ი. ლიონიძის პიროვნებამ ეს ნათლად დაადასტურა. (ასს ც ს ა, ფ. 1, აღწ.1, საქ. 202, ფურც. 18)

მართლაც, ი. ლიონიძემ გაამართლა იმედები და უდიდესი წვლილი შეიტანა ქალაქის გამწვანებისა და განამეინანების საქმეში. მისი ძალისხმევით, მდინარე მეჯინისწყლის ზღვასთან მიერთების მიმდებარედ, 4 ჰექტარ ფართობზე, ქალაქის გამწვანების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიქმნა საყვავილე მეურნეობა (სანერგე). ქალაქის მუშახელის ხელფასისათვის ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1200 მანეთი წლიურად. ამ ფულის ნაწილი ხმარდებოდა ასევე სანერგის სამუშაო იარაღებისა და ყვავილთა თეს-

ლების შეძენას, დანარჩენი ხარჯები კი იფარებოდა სანერგეში გამოყვანილი ნერგებისა და ყვავილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით. გარდა ამისა, სანერგეს ყოველწლიურად ქალაქის ბიუჯეტში შეჭქონდა 3000 მანეთი. ი. ლიონიძეს თავის სანერგეში გამოჰყავდა მხოლოდ სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი დეკორატიული მცენარეები, რომლებიც ირგვებოდა ბულვარში, ქალაქის ბაღებში და სკვერებში. სანერგეში დიდი რაოდენობით გამოჰყავდათ ვარდი, ია, მიხაკი, ციტრუსოვანთა ნერგები და სხვა. (ასს ც ს ა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 202, ფურც. 32)

ი. ლიონიძის ძალისხმევით, იმდროისათვის არსებულ ყველა ქუჩის სავალ ნაწილში დაირგო მწვანე დეკორატიული ნარგავი.

1911 წელს ბათუმში დიდი თოვლი მოვიდა და ძლიერი ყინვებიც დაიჭირა. იმ წელიწადს ყინვამ -10 გრადუსს მიაღწია, რის გამოც ბათუმში მრავალი მწვანე ნარგავი განადგურდა. ბათუმისათვის ასეთი უჩვეულო ყინვის მიუხედავად, ი. ლიონიძეს სანერგეში, რომელიც ოთხ ჰექტარზე გახლდათ გადაჭიმული, შემორჩა შემდეგი სახეობის დეკორატიული მცენარეები: 1. ფინიკის პალმა – 4059 ნერგი, 2. საბავდორა – 71 ნერგი, 3. ლატანია – 1251 ნერგი, 4. რაპისი – 78 ნერგი, 5. კენტია ფროტერიანა – 256 ნერგი, 6. ასპარაგუსი – 1827 ნერგი, 7. ფრუქსი – 150, 8. ევკალიპტი – 315, 9. აკაცია – 87 ნერგი და სხვები. ეს ჩამონათვალი იმ დიდი პასუხისმგებლობის დასტურია, რომლითაც ეკიდებოდნენ იმხანად ბათუმში გამწვანების საქმეს. (ასს ც ს ა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 202, ფურც. 36)

1903 წელს ივანე ანდრონიკაშვილმა ი. ლიონიძის თანაშემწედ მოიწვია თბილისის საბაღოსნო სკოლის კურსდამთავრებული იასონ გორდეზიანი, რომლის ძალისხმევითაც ქალაქის გამწვანების სანერგეებში დაირგო მრავალი სახეობის დეკორატიული მცენარე. ციხისძირში, ერთ-ერთ მამულში, მან შეაგროვა ძვირფასი პალმის ნერგები და გაამრავლა ისინი, რითაც დიდად შეუწყო ხელი ციტრუსოვანთა კულტურების გავრცელებას საქართველოში.

1908 წელს იასონ გორდეზიანი თავს ანებებს დაკავებულ თანამდებობას. იგი ჩაირიცხა საფრანგეთის ფერსადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1911 წელს.

1913 წელს იასონ გორდეზიანი უშუალოდ ივანე ანდრონიკაშვილისა და ანდრია კრასნოვის გადაწყვეტილებით მუშაობას იწყებს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში უფროსი მეზალის თანამდებობაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით გაშენდა ბოტანიკური ბაღის იაპონური, ჩინური, მექსიკური, ავსტრალიური, ჩილეს, ახალი ზელანდიის, ამერიკული და ევროპული განყოფილებები. ამის პარალელურად, იასონ გორდეზიანი დიდ მუშაობას ეწეოდა ქალაქ ბათუმის გამწვანების საქმეში. მის მიერ გატარებული

ლონისძიებები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, რამაც ბათუმისა და მისი შემოგარენის გამწვანებას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. უშუალოდ ი. გორდეზიანის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გადახალისდა ზღვისპირა ბულვარისა და ახალგაზრდობის პარკის მცენარეული საფარი, გაფართოვდა ძველი და შეიქმნა ახალი სანერგეები სათანადო სათბურებითა და ორანჟერეებით, სადაც გამოჰყავდათ ათასობით ძირი დეკორატიული და სუბტროპიკული მცენარე. (ასს ც ს ა , ფ.1, აღწ.1, საქ.202, ფურც. 44-45)

გამწვანების დარგის სპეციალისტების მონდომებამ და მალალმა პროფესიონალიზმმა შედეგიც სათანადოდ მისცა ქალაქს. მათი ძალისხმევით ორჯერ გაიზარდა ზღვისპირა პარკის ტერიტორია, შეივსო ახალი ნარგავებით ახალგაზრდობის პარკი, მოწესრიგდა ქუჩების გამწვანება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ა. კრასნოვი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და მისი მნიშვნელობა კავკასიისა და რუსეთისათვის, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1911;
2. აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით ასსცსა), ფ.1, აღწ.1, საქ.202.

Otar Gogolishvili

At sources of gardening of the city of Batumi

Summary

By the initiative of the mayor of the city of Batumi Ivan Andronikashvili I. Lionize was appointed as an main gardener of the city of Batumi, and I. Gordesiani as his assistant. I. Lionize and I.Gordeziani increased the territory of the seaside park twice, the park of the youth was filled up by new plants, the streets of the city were planted by a lot of new plants.

**შავი ზღვის სრუტეების ზოგიერთი
პოლიტიკურ-სამართლებრივი ვითარების
გააზრებისათვის**

აბსტრაქტი – შავი ზღვის სრუტეების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმების დარღვევა ამ ბასეინში მყოფი ქვეყნების მიერ საშინაო შიშროებას უქმნის შავი ზღვის შემდგომ მილიტარიზაციას. ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ის ხარვეზები რომლებიც დღემდე არის მოძველებულ საერთაშორისო საზღვაო კონვენციებში.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, სრუტე, ქერჩის ყურე, უკრაინა.

ამჟამად შავ ზღვაზე, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის რესპუბლიკას შორის, შავი ზღვის და ქერჩის ყურის გამოყენებისა და ლიმიტაციასთან დაკავშირებით, ერთობ რთული სამართლებრივ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. რის გამოც 2018 წლის 25 ნოემბერს ადგილი ჰქონდა სერიოზულ ინციდენტს.

შავი ზღვის სტატუსს და სამართლებრივი რეჟიმის დადგენას მრავალი წლების ისტორია გააჩნია; საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო გეოპოლიტიკაში ორპოლუსიანი სისტემის რღვევას მოჰყვა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს ძალთა ახალი გადანაწილება. ამ პროცესში გამოიყო მრავალთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფაქტორია საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფის ტენდენცია, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში გახშირდა გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მიღებას ემსახურება. ასე მაგალითად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე თუ გავიხსენებთ ზოგიერთ მოვლენებს: საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კოსოვოს, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის აღიარება საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულვებელყოფით განხორციელდა. ანალოგიურად შეიძლება განხილული იქნას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის საომარი მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით მედვედევ-სარკოზის საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც რუსეთის ფედერაცია დღემდე არ ასრულებს. ასევე 1982 წელს თურქეთის რესპუბლიკამ შავი ზღვის საერთაშორისო სრუტეების საერთაშორისო კონვენცია „მონტრე“-ს მოთხოვნების უგულვებელყოფით ცალმხრივად შეიტანა ე.წ. სტამბულის პორტის რეგლამენტად წოდებული რეგულაცია, რომლითაც ის შავი

ზღვის საზღვაო სივრცეებზე ავრცელებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნის შიდა სამართლის ნორმებით (სალოცმანო გაყვანის აუცილებლობა ბოსფორის და დარდანელის სრუტეებში გემების გასვლის რიგითობა და ა.შ.) რითაც ზღუდავს საერთაშორისო ნაოსნობას, უგულვებელყოფს კონვენციის მოთხოვნებს და ა.შ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

ცნობილია მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის მიერ, საზღვაო სივრცეების გამოყენებასთან დაკავშირებით, გაეროს 1982 წლის კონვენციის საზღვაო სამართლის შესახებ (UNCLOS-80) რომელსაც ზოგჯერ ექსპერტები “ზღვების კონსტიტუციას” უწოდებენ – ცნობილია ფუძემდებლური პრინციპი კერძოდ, მუხლი 136 აღიარებს, „საზღვაო სივრცეების მისი შეღწევის და განსაკუთრებული ეკონომიკის ზონა კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, საერთაშორისო ნორმების საერთაშორისო საზღვაო სამართლის “მონტრეს” კონვენციური მოთხოვნების დარღვევის ფაქტებისადმი, უხეშად რომ ვთქვათ, წაყრუებამ, შექმნა “დაუსჯელობის სინდრომი”, რასთანაც ჩვენ დღეს საქმე გვაქვს ქერჩის ყურეში არსებულ ვითარებასთან.

შავ ზღვას, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოლიტიკურ-ეკონომიკური ადგილი. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ეს საზღვაო სივრცე იყო და რჩება საერთაშორისო დავების და კონფლიქტების საგანი.

საერთაშორისო კონვენცია “მონტრე”, რომელიც მიიღეს 1936 წ. და მისი მოქმედების ვადა 20 წლით იყო განსაზღვრული, შემდეგი წინაპირობა იყო დაფიქსირებული: “2 წლით ადრე მანამ შესრულდება 20-წლიანი მოქმედების ვადა, მისი ხელმომწერი ქვეყნებიდან თუ არცერთი არ დასვამს კონვენციის დენონსაციის საკითხს, კონვენციის მოთხოვნები დარჩება ძალაში. კონვენციის ხელშემკვრელ ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება აიღოს ინიციატივა და შეიტანოს განსახილველად რაიმე სახის ცვლილება.” აღსანიშნავია ისიც, რომ დღემდე არცერთ ხელმომწერ ქვეყანას რაიმე ცვლილებები ან კონვენციის დენონსაცია არ დაუფიქსირებია.

“მონტრეს” კონვენციის გადასინჯვის მცდელობა იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც, როდესაც ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთანავე, თურქეთმა საბჭოთა სამხედრო გემებს შავი ზღვის სრუტეებში გავლის რეჟიმი დაუხურა, მაშინ როცა ფაშისტური სამხედრო და სავაჭრო გემები ამავე სრუტეებით სარგებლობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს საბჭოთა კავშირმა დააყენა საკითხი, რომ შავი

ზღვის სრუტეებით სარგებლობისას დაცული ყოფილიყო შავი ზღვის ქვეყნების ინტერესები. კერძოდ, საბჭოთა კავშირი ითხოვდა ბოსფორის სრუტეში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჰქონოდა თავისი სამხედრო ბაზა. სსრკ-ს ეს წინადადება უარყო აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ასევე თვით თურქეთის რესპუბლიკა. ამ უკანასკნელმა შეშფოთება გამოთქვა, საბჭოთა კავშირის ბაზის შესაძლო არსებობაზე. საბჭოთა კავშირმა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კვლავ წამოაყენა საერთაშორისო დონეზე ეს საკითხი განსახილველად; ამასთან იგი თურქეთს ტერიტორიულ პრეტენზიებს უცხადებდა სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების თაობაზე).

1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მამინდელმა მინისტრმა ვ. მოლოტოვმა, საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით, თურქეთის ელჩს, გადასცა შემდეგი სენსაციური მინაარსის ნოტა: “როგორც ცნობილია საბჭოთა კავშირის და თურქეთის 1925 წლის ხელშეკრულებას ორი ქვეყნის ურთიერთობის დარეგულირების შესახებ, ვადა გაუვიდა. ორმხრივი შეხვედრებისას ადრე დაისვა საკითხები ტერიტორიული პრეტენზიების და შავი ზღვის ყურის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით. შემდგომი ორ ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შემდგომი შენარჩუნებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის, სასომხეთის და საქართველოს რესპუბლიკებმა ჩათვალეს შესაძლებლად უარი ეთქვათ თავის ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის რესპუბლიკის მიმართ. რაც შეეხება შავი ზღვის სრუტეების რეჟიმების საკითხს, ის გადაწყდება შემდგომი მოლაპარაკებისას ორი ქვეყნისათვის ურთიერთმისაღებ სამართლებრივ ჭრილში.”

მიუხედავად ამგვარი ოდიოზური განცხადებისა, სადაც სახელმწიფოს, თავისი ორი მოკავშირე რესპუბლიკის სახელით, აღარ აცხადებს პრეტენზიებს მათ ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიებზე, შავი ზღვის სრუტეების სარგებლობისა თავისი სტრატეგიული ამბიციების დაკმაყოფილების სანაცვლოდ, რაიმე სამართლებრივი გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ არ მოყოლია. პირიქით, ამგვარად საკითხის დასმამ, დააჩქარა თურქეთის “ნატოს სამხედრო ბლოკში მიღება და შავი ზღვის საერთაშორისო სრუტე გახდა ნატოს და მის ბლოკში შემავალი ქვეყნების სამხედრო ინტერესის ობიექტი. მაშინაც მოსკოვის, დღემდე რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი დამაზიანებელ და გადაუჭრელ პრობლემად იქცა.

საერთაშორისო საზღვაო სამართალში, მნიშვნელოვანი ადგილი

ეთმოზა შავი ზღვის სივრცეების სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებას და ამ სივრცეების სტატუსს.

შავი ზღვის სამართლებრივი რეჟიმების ჩამოყალიბება იწყება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია 1958 წელს სამართლის შესახებ პირველ სარეთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა საზღვაო ოთხი საერთაშორისო კონვენცია: – 1. ტერიტორიული წყლების და მიმდებარე ზონის შესახებ, 2. კონტინენტური შელფის (ზღვის ფსკერის) ღია ზღვის, 3. თევზჭერის და 4. ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ. ამ კონვენციების საფუძველზე, შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა მიიღეს შიდა სახელმწიფოებრივი აქტების თავისი კონტინენტური შელფის საზღვრების დასაფიქსირებლად.

გაეროს 1982 წლის კონვენციით “საზღვაო სამართლის შესახებ” 1958 წლის ზემოთ აღნიშნული კონვენციების მოთხოვნები დატოვებული იქნა ძალაში და დაემატა ახალი საზღვაო სივრცეების ნება როგორიცაა, 200 მილი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და 12-მილიანი ტერიტორიული წყლების ზონა (ტერიტორიული წყლები, ჩაითვალა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიებად, მისი გარე ნაწილი კი – სახელმწიფოს საზღვრად. კონტინენტური შელფის სიგანე (კონვენციური მოთხოვნით დასაშვებია) შეადგენს 350 საზღვაო მილს, მაშინ როცა შავ ზღვაზე ყველაზე ვიწრო ადგილის სიგანე 144 საზღვაო მილია. შავი ზღვის აუზის გეოგრაფიულმა ამგვარი კონფიგურაციის გამო, აქ არსებული ქვეყნები იძულებული გახდნენ დაედოთ ერთმანეთთან ორმხრივი ხელშეკრულებები, ერთმანეთის კონტინენტური შელფის და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების აღიარების თაობაზე.

ამგვარად, თუ 1960 წლისათვის შავი ზღვის საზღვაო სივრცეებზე ვრცელდებოდა ქვეყნის შიდა სამართლებრივი და ღია ზღვაზე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, 1986 წლის ბოლოს შავ ზღვაზე ქვეყნების მიერ განხორციელებული ლიმიტაციით, აღარ არსებობს საზღვაო სივრცის ისეთი კატეგორია (ღია ზღვა), რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო რეჟიმი. ყველა საზღვაო სივრცეებზე ვრცელდება ნაციონალური სუვერენიტეტი, სუვერენული უფლებებით საზღვაო რეპერსიებზე ან იურისდიქცია გარკვეულ სამუშაოებზე.

ასევე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ანალიტიკოსების ინფორმაციით, დაუფარავი ინტერესი გამოიჩინეს შავი და აზოვის ზღვის რეგიონის ქვეყნებისადმი არა შავი ზღვისპირა სახელმწიფოებმა. 90-იან წლებში გაიზარდა ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ხომალდების შემოსვლა ე.წ. “მეგობრული ვიზიტით.”

რეგიონალური სისტემის უსაფრთხოების ზომების განსამტკიცებლად 2001 წელს სტამბულში ექვსმა შავიზღვისპირა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას შავ ზღვაზე სამხედრო თანამშრომლობის შესახებ (BLACKSEAFOR).

ამგვარად, როგორც მოვლენებმა ცხადყო, რუსეთის ფედერაციამ იმ საბაბით, რომ უკრაინა აპირებს აშშ-ს ასწლიანი ვადის არენდით ყირიმი გადასცეს სამხედრო ბაზად, მოახდინა ყირიმის ანექსია, შემდგომ კი ქერჩის ყურეში ხიდიც ააგო.

შავ ზღვაზე შემდგომი სამხედრო ესკალაციის შესაძლო განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ შემთხვევა, როდესაც 2018 წლის 25 ნოემბერს უკრაინის სამხედრო გემები: “ბერდიანსკი” და “იან-კაპუ” როგორც აცხადებს რუსეთის ფედერაცია, შევიდნენ ე.წ. დროებით დახურულ რუსეთის ტერიტორიული წყლების აკვატორიაში, დაარღვიეს რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და გეზი აიღეს შავი ზღვიდან ქერჩის ყურის მიმართულებით. უკრაინის გემები არ დაემორჩილენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო გემების მოთხოვნებს და აპირებდნენ ცურვის გაგრძელებას, რის გამოც რუსეთის მხარემ დააკავა აღნიშნული გემები და 24 მეზღვაურზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

რომ გავერკვეთ აღნიშნული ინციდენტის სამართლებრივ ასპექტებში, გავეცნოთ რუსეთ-უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საზღვაო საზღვრებთან დაკავშირებით.

1994 წელს რუსეთსა და უკრაინას შორის, დაიდო ხელშეკრულება თანამშრომლობისა და სასაზღვრო საკითხებში ურთიერთობების შესახებ. რომელიც გამომდინარეობდა 1992 წლის ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის პროტოკოლიდან, შავი და აზოვის ზღვებში და ქერჩის სრუტეში მხარეები შეთანხმდნენ რომ აზოვის ზღვა ცნობილ იქნეს რუსეთის და უკრაინის შიდა წყლებად.

უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლიდან 2019 წლის ჩათვლით დღემდე, მხარეებს შორის ჩატარდა მოლაპარაკებების ორმოცი რაუნდი, მაგრამ მხარეები დღემდე ვერ შეთანხმდნენ ისეთ მნიშვნელოვან დელიმიტაციის საკითხზე, როგორიცაა აღიარება (ან არაღიარება) სასაზღვრო საბჭოთა ხაზის, რომელიც ადრე იყო ადმინისტრაციული საზღვარი რუსეთის ფედერაციის და უკრაინას შორის.

ზემოაღნიშნული ვითარება სამართლებრივ ქრილში კიდევ მეტ ბუნდოვანებას ქმნის იმ მიმართულებით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის და დსთ (CHI) ჩამოყალიბების შემდეგ, 1991 წელს, საერთაშორისო საზღვაო სამართლის 123 მუხლის თანახმად, აზოვის ზღვამ შეიძინა “დახურული ან ნახევრად დახურული” ზღვის სტა-

ტუსი.

“სრუტე, ბასეინი, ზღვა, რომელსაც გარს აკრავს ორი ან მეტი სახელმწიფო და ერთმანეთს უკავშირდებიან ვინრო გასასვლელით, ან ტერიტორიული წყლებით, ეკონომიკური ზონით“, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონვენცია არ აკონკრეტებს, როგორ უნდა განხორციელდეს ამგვარი სტატუსის ზღვებში სახელმწიფოს უფლებები და მოვალეობები; ასევე, არ იძლევა რეკომენდაციებს ერთმანეთთან სამართლებრივი საკითხების დარეგულირების თაობაზე.

უკრაინის მხარე არ ცნობს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის მიერთების კანონიერებას და აქედან გამომდინარე, არც რუსეთის იურისდიქციას ქერჩის სრუტეზე. შესაბამისად, უკრაინას მიაჩნია რუსეთის მხარის მიერ მათი სამხედრო გემების და ეკიპაჟის წევრების დაპატიმრება არაკანონიერია და ამიტომაც, 2019 წლის 26 მაისს სარჩელით მიმართა საერთაშორისო ტრიბუნალს საზღვაო სამართლის საკითხებში.

ტრიბუნალის განჩინებით: “რუსეთის მხარემ გაანთავისუფლა დაპატიმრებული უკრაინის ეკიპაჟის წევრები.”

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დღეისათვის შავი ზღვის სამართლებრივი საკითხების გადანყვეტაში, დომინირებს პოლიტიკური ფაქტორები, თვით კონვენცია “მონტრე”-ში მითითებული ნორმები დღევანდელ რეალობას არ ასახავს, ადგილი აქვს საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების უგულვებელყოფას და ხშირ შემთხვევაში, გაუგებარი, ახალი სამართლებრივი ნორმების შემოღება. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოები ცდილობენ ისინი ჩაანაცვლონ შიდასახელმწიფოებრივი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებითა და ნორმებით.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ შემდგომში პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტის დაურეგულირებლობამ შავი ზღვის ქვეყნებს შორის, უპირველესად რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის, შეიძლება ფართო მასშტაბის სამხედრო დაპირისპირების პრეცედენტი შექმნას. ჩვენი მოსაზრებით, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ IMO უნდა დასვას საკითხი, “მონტრეს” კონვენციაში, ახალი რეალიებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანაზე, რათა განმუხტოს ვითარება შავ ზღვაზე, სადაც სახეზეა არა მარტო რუსეთის, არამედ შავი ზღვის აუზების სხვა ქვეყნებში მილიტარზაციის მცდელობა.

ეკატერინე მაისურაძე

ქართული ენა, როგორც ბათუმის ოლქის ქართველი მუსლიმების იდენტობის შენარჩუნების მთავარი პარკერი

XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიტაცება დიდი ტრაგედია იყო სრულიად საქართველოსთვის. სამშობლოს მონყდა მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის ერთი მესამედი. ისინი ეროვნული კულტურის შემდგომ განვითარებაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდნენ. დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ხალხში მშობლიური ქართული ენა, ქრისტიანული რელიგია, ზნე-ჩვეულებანი. ქართველების გათურქების განსახორციელებლად ოსმალები ყოველგვარ საშუალებებს იყენებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის მოსახლეობა ადვილად არ თმობდა თავის მრავალსაუკუნოვან მაღალ კულტურას, ზნე-ჩვეულებებსა და სარწმუნოებას. ისინი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, რის გამოც ოსმალთა დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ მათი წინააღმდეგობის გატეხვას.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა შეძლეს ისლამის გავრცელება აჭარაში, თავის მიზანს ბოლომდე მაინც ვერ მიაღწიეს. მოსახლეობა ვერ გაათურქეს; ვერ წაართვეს მათ ენა და საერთო ეთნიკური ცნობიერება.

ჩემს მოხსენებაში შევეცდები განვიხილო თუ როგორ შეძლეს ბათუმის ოლქის ქართველმა მუსლიმებმა იდენტობის მთავარი მარკერის მშობლიური ენის შენარჩუნება ოსმალთაგან დიდი ზეწოლისა და იძულებითი საშუალებების გამოყენების მიუხედავად. ასევე მსურს, შევაფასო თავად აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი როლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

ეთნიკური ჯგუფი კულტურული ერთობლიობის ის სახეობაა, რომელიც ხაზს უსვამს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც ერთი ან მეტი კულტურული განმასხვავებელი ნიშნით ამოიცნობა. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს რელიგია, ნეს-ჩვეულებები, ენა ან ინსტიტუციები. ასეთი კოლექტივები ორმაგად „ისტორიულნი“ არიან. ისტორიული მეხსიერება მათი არსებობის გაგრძელების მთავარი პირობაა (სმიტი, 1990:26).

ენას, რელიგიას, წეს-ჩვეულებებს ძალიან ხშირად ვიშველიებთ ობიექტური „კულტურული მარკერის“ დახასიათებისას. ეს ისეთი განმასხვავებელი ნიშნებია, რომლებიც ინდივიდთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და თითქოს კიდეც ბოჭავს მათ (სმიტი, 1990:29).

კოლექტიური კულტურული იდენტობა გულისხმობს არა თაობიდან თაობამდე ელემენტების ერთფეროვნებას, არამედ მოცემული პოპულაციის კულტურული ერთობის შიგნით თაობათა შორის მემკვიდრეობითობის განცდას. ცვლილება კულტურულ იდენტობაში ასახავს იმას, თუ როგორ ცვლის მაგნიტ გარემოებანი კულტურის იმ ელემენტების ძირეულ მოდელებს, რომლებიც ერთობის ცნობიერების შემადგენელი ნაწილებია; ესენია ზიარი მეხსიერება და საერთო ბედის გაცნობიერება მოცემული პოპულაციის კულტურულ ერთობაში (სმიტი, 1990:32).

ხშირად არცთუ მთლად სასიკეთო გარეგანი ფაქტორებისა და მდიდარ „ეთნო“-ისტორიის კომბინაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ეთნიკური იდენტობების კრისტალიზაციას და მათ შენარჩუნებას. ეთნიკალიზება არა ფიზიკური ჩამოშლადობის, არამედ განგრძობადობითობის შეგნების, საერთო მეხსიერებისა და საერთო ბედის, ანუ კულტურული ნათესაობის წყალობით. ეთნისა და დამწერლობის, გარკვეული ღირებულებების, კონკრეტული გარემოსა და მისი მონატრების, ხანგრძლივი სოციალური ურთიერთობების, რელიგიური და კულტურული განმასხვავებელი ნიშნებისა თუ თვით განსაკუთრებულობის თვალსაზრისით, მოხერხდა ქართული იდენტობისა და ეთნიკურობის საერთო განცდის შენარჩუნება მიუხედავად იმ მრავალი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებისა, რომელიც თავს იჩენდა აჭარის რეგიონში ოსმალთა ბატონობის პერიოდისა.

აღსანიშნავია, რომ საერთო ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულმა ენამ. სწორედ მშობლიური ენა იქცა ქართული იდენტობის მთავარ მარკერად ოსმალთა აჭარაში. თუმცა აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში უდიდესი როლი თავად აჭარის მოსახლეობამ ითამაშა ოსმალთა ბატონობის დასაწყისიდან მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების პერიოდის ჩათვლით. აჭარის სახელოვანი მამულიშვილები ყოველ ღონეს ხმარობდნენ შენარჩუნებისათვის ენა, რათა გათურქების საფრთხე თავიდან აეცილებინათ.

დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ხალხში მშობლიური ქართული ენა, ქრისტიანული

რელიგია,ზნე-ჩვეულებანი და ა.შ. ქართველების გადაგვარების, გათურქების განხორციელებისათვის ოსმალები ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ: ნვავენენ და არბევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, ანადგურებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს, შორეულ მხარეებში ასახლებდნენ და ფიზიკურად ანადგურებდნენ ხალხს.ოსმალეთის მთავრობა უფლებას აძლევდა თავის ჯარს ემოქმედა ისე,როგორც ამას ყურანი და საკუთარი ზნე-ჩვეულება ქადაგებდა.თვით ოსმალეთისადმი სიმპათიურად განწყობილი გლადსტონი ასე ახასიათებს მათ:„სადაც თურქები შეიჭრებოდნენ,სისხლიანი კვალი ჩნდებოდა და ყველგან, სადაც მათი ბატონობა მყარდებოდა, ქრებოდა ცივილიზაცია“ (Гладстон,1976:10).

თუმცა უნდა ითქვას,რომ ოსმალებმა ვერ შეძლეს მტკიცე ხელისუფლების დამყარება აჭარაში.მას ადგილობრივი ბეგები განაგებდნენ,რომელთა მიმართ სულთანი გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. „ამით აიხსნება ის ფაქტი,რომ აჭარაში უამრავი სანჯაყები იყვნენ: ხიმშიაშვილები,აბაშიძეები,თავდგირიძეები,მაშინ,როდესაც ტერიტორიულად აჭარა ერთი სანჯაყის მოცულობას თუ გაუტოლდებოდა“ (ავალიანი:60-61).

აჭარაში ქრისტიანი ყოველგვარ უფლებებს იყო მოკლებული. ისლამის მიღებით კი ისინი დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოს ღებულობდნენ. ქრისტიანს სიკვდილით დასჯა ელოდა უბრალო დანაშაულისთვის, ხოლო ეპატიებოდა სასჯელი თუ იგი გამაჰმადიანდებოდა. მაგრამ ყველაზე აუტანელი აჭარის მოსახლეობისთვის მიწათმფლობელობის ოსმალური წესის გავრცელება იყო.„კანონის თანახმად მიწას ის ფლობდა,ვინც სამხედრო სამსახურს ეწეოდა.უკანასკნელი კი შეიძლებოდა მხოლოდ მაჰმადიანი ყოფილიყო,ე.ი. გლეხს ან მიწა უნდა დაეკარგა, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეეძლო, ან მაჰმადიანური რჯული მიეღო, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო,აჭარის მოსახლეობა იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო“ (მეგრელიძე,1969:8).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მართალია აჭარლებმა მიიღეს ისლამი, მაგრამ შეინარჩუნეს ენა და ქართული ზნე-ჩვეულებანი.როგორც უკვე აღვნიშნე,ისლამის გავრცელებას ხელს უწყობდა გარკვეული უპირატესობანი,რომლებიც ოსმალებმა მუსლიმთათვის გაატარეს აჭარის დაპყრობის შემდეგ. მაგალითად,ბატონყმობის ფორმალური გაუქმება,მუსლიმთათვის გადასახადების შემცირება,ხოლო ქრისტიანების მაქსიმალურად დაბეგვრა და სხვა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება,თურქეთში აჭარიდან გადასახლებულმა ქართველებმა დაივიწყეს თავისი მშობლიური ქართული ენა, ხოლო მკვიდრმა მცხოვრებმა აჭარლებმა კი არა,მიუხედავად იმისა,რომ თურქები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ,რათა მათთვის ქართული ენა დაევიწყებინათ. „ისინი აჭარლებს ცოლად ართვევინებდნენ ქურთ და თურქ ქალებს,უცვლიდნენ გვარებს,ხოლო ვინც ქართულად ლაპარაკობდა,მას აჯარიმებდნენ,სახელმწიფო ენად თურქული ენა იყო შემოღებული და სხვა,მაგრამ ენის დავიწყების საქმეში მათ მაინც ვერაფერი გააწყვეს“ (ახვლედიანი,1944:104).

თურქეთის ბატონობის დროს ქართული ენა დიდხანს იყო შენახული სხვადასხვა ფორმებში.ხშირად ქართული ასოებით თურქულად წერდნენ.„ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი საბუთი,რომელიც ადასტურებს,რომ აჭარაში თურქულ-არაბული წერა-კითხვა არ იცოდნენ,ხოლო სალაპარაკო ენა სცოდნიათ თურქული და სწერდნენ კი ქართული ასოებით.ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერის ასლი დაცულია საქართველოს მუზეუმში“ (ახვლედიანი,1944:104).

თ.სახოკიას ხულოს რაიონში მოგზაურობის დროს,ვინმე ბეჟანიძის სახლში უნახავს ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი ეგრეთწოდებული „ანბანთეხა“,რომელიც დაწერილი ყოფილა თვით ბეჟანიძის დედის მიერ (სახოკია, „მოამბე“ N12,1901).

ვინც რჯულის გამოცვლაზე უარს განაცხადებდა, მათ წინააღმდეგ იძულებით ღონისძიებებს ატარებდნენ სხვადასხვა დამსჯელი ზომების გამოყენებით. როგორც სხვა კუთხეებში, ისე აჭარაშიც ყოფილა სახრჩობელები. ზ.ჭიჭინაძეს თავის წიგნში: „მუსულმანი საქართველო და მათი სოფლები საქართველოში“ მოხსენიებული აქვს ქობულეთის რაიონში ჭახათის სოფლის საბჭოს ახლოს მდებარე სოფელი სოდომური,სადაც ტყეში ყოფილა ოთხსვეტიანი თლილი ქვის სახრჩობელა.

მიუხედავად იმისა,რომ აჭარლებმა თავისი ძველი სარწმუნოება დაკარგეს,მათ მაინც შერჩათ ეროვნული კულტურის ძირითადი თვისებები,რაც მათ საუკუნეების განმავლობაში უცვლელად შეინახეს.

ისლამის გავრცელებას აჭარაში ოსმალთა მხრიდან ფართო სააგიტაციო საქმიანობაც უწყობდა ხელს.აგიტატორებად კი უმთავრესად ხოჯა-მოლები ითვლებოდნენ.თავდაპირველად ისინი თურქეთიდან იყვნენ.ბუნებრივია,რომ ხოჯები ემსახურებოდნენ გაბატო-

ნებული კლასის ინტერესებს. ისინი იყვნენ არა მარტო ისლამის აგიტატორ-პროპაგანდისტები, არამედ ამავე დროს ოსმალეთის დახელოვნებული აგენტები. შემდეგ უკვე თვით აჭარელთაგან დაიწყო მოლა-ხოჯების აღზრდა-გამოშვება. ამ ადგილობრივი ხოჯებიდან ზოგნი უნებლიედ იჩენდნენ პატრიოტულ განწყობილებას თავისი ქვეყნისადმი, ცდილობდნენ ელაპარაკათ ქართულად. ასეთებს ოსმალთა მოკავშირე ხოჯები მაშინვე სტამბულში აბეზლებდნენ სულთანთან. ერთი ასეთი შემთხვევაა ცნობილი: ქედის მუფთი ხოჯა ახმედ-ეფენდი ხალიფაშვილი მედრესეში თალიბებს (მოსწავლეებს) ქართულად ასწავლიდა. მას ეს გაუგეს და დაპატიმრება დაუპირეს. მან კი თავი ასე იმართლა: „ჩვენ ქართველები ვართ, მეც ამ ენით ვქადაგებ, რომ ისლამი უკეთ გავაცნო-შევასწავლო“ (ახვლედიანი, 1944:109).

უფრო მეტიც, ქედაში ყოფილა ერთი ხოჯა ისმაილ ეფენდი ხალიფაშვილი, მას სულთანთან გაუკეთებია საქმე იმის შესახებ, რომ ქართულ ენაზე შეედგინა ყურანის სახელმძღვანელოები იმ მოტივით, რომ ქართულ ენაზე უკეთ შევასწავლი ისლამსო. სულთანი მაზე დათანხმებულა და ხალიფაშვილი ასეთი სახელმძღვანელოთი ასწავლიდა ხოჯებსა და მოსწავლეებს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, შემდეგ ოსმალებს შეშინებითა და აუკრძალავთ: თქვენ ქართველები ხართ და ვერ გენდობითო.

არ არის გამორიცხული ოსმალებმა ეს „დათმობის მანევრი აჭარლებისადმი პირველ ხანებში მათზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენეს, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ კვლავ აუკრძალავთ იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარელ ქალებს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი წარსული კულტურის შენახვა-შენარჩუნების საქმეში. ქართული ენის, ზნე-ჩვეულებების დაცვა უმთავრესად ქალებს ხვდათ წილად. ამ მდგომარეობას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქალები სახელმწიფო-საზოგადოებრივ საქმეში არ იყვნენ ჩაბმული. ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აჭარაში ქართული ენისა და ზნე-ჩვეულებების შენარჩუნების საქმეში. როგორც ამბობენ, „ზოგი ქირი მარგებელიაო“-და აი, აჭარელი ქალის საზოგადოებრივი უუფლებობა დადებით როლს თამაშობს საერთო ეროვნულ საქმეში.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებით აღტაცებულმა ქართველმა საზოგადოებამ მუსლიმან ქართველების პატივსაცემად დიდი ბანკეტი გამართა, 1878 წლის ნოემბერში აჭარის დელეგაცია მიი-

პატიჟეს თბილისში. ქართველი საზოგადო მოღვაწეები სიხარულითა და სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ წინაპართა ანდერძი აღსრულდა. ანდერძი, რომლის მთავარი მიზანი დედა ენა და ეროვნულობა იყო. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და კიდევ სხვანი ქართველ მუსლიმებთან კავშირის საუკეთესო საშუალებად და ფორმად მიიჩნევდნენ სწავლის, ცოდნისა და მეცნიერების შეტანას მაჰმადიან ქართველებში. ილია ამბობდა, რომ ორი ძმის სულიერი შეკავშირებისათვის ყველაზე უფრო ძლიერი იარაღია მშობლიური ენა, ქართული სიტყვაო. მართლაც ი. ჭავჭავაძის ინიციატივით 1881 წელს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, სადაც ცოდნას ეზიარნენ ქართველ მაჰმადიანთა შვილები. „ამ სკოლამ აჭარელ ახალგაზრდობას მისცა მეცნიერული ცოდნის საფუძვლები და თან სამშობლოს სიყვარული გაუძლიერა (ხ. ახვლედიანი, 1972:45).

ქართული ენის შემდგომი განმტკიცების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი თავად აჭარელ მუსლიმებს მიუძღვით. მინდა რამდენიმე მათგანის ღვაწლზე ვისაუბროშევაფასო მათი მოღვაწეობა. აჭარის დიდი პატრიოტი გულო კაიკაციშვილი გაზეთ „ივერიისა“ და „დროების“ კორესპონდენტი იყო და სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს აჭარის ცხოვრებაზე. იგი 1878 წელს „დროების“ რედაქტორისადმი გაგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მის წინაპრებს სცოდნიათ ქართული ენა, სათუთად უფროთხილდებოდნენ და ზრუნავდნენ შთამომავლობისათვისაც ესწავლებინათ. „თქვენი გაზეთის ძველმა მკითხველმა ბებიაჩემის ნასწავლი ანბანით წავიკითხე თქვენ გაზეთში ამბავი ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ“ (ახვლედიანი, 1972:53).

აკაკის საფლავზე წარმოთქმულმა მისმა გამოსათხოვარმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. იგი აქაც აღნიშნავდა, რომ სამასი წლის განმავლობაში შეინახა აჭარამ მშობლიური დედა ენა. გულო კაიკაციშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნას და ამისთვის არ იშურებდა საკუთარ ქონებას. ქართული სკოლის გახსნა, ქართული მნიგნობრობის გავრცელება, ქართული თეატრის დაარსება, ქართული წიგნსაცაბის შექმნა-მას სწორედ ეს მიაჩნდა აჭარის კულტურული აღორძინების მთავარ საშუალებად.

ხალხური მთქმელი მემედ ჭყონია უმღეროდა სამშობლოს, საქართველოს ერთიანობას. მისთვის დედას, იმ დროისთვის ქართული ენის კარგად მცოდნეს, შეუხსნავლებია წერა-კითხვა და ჩაუნერგია

სიყვარული მშობლიური ენისადმი.მემედი კარგად იცნობდა ქართველ მწერალთა და პოეტთა შემოქმედებას.სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული ლაიტმოტივად გასდევს მის შემოქმედებას.

„სამშობლო, ჩემი სამშობლო
დედის უბეზე თბილია,
არვის დაუთმობ ამ უბეს,
ვარ მისი გამოზრდილია.
მის სიყვარულით მარადის
თვალი მაქვს ანახილია,
სამშობლოსაგან ალერსი
დედის ალერსზე ტკბილია“.

(აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N417)

ქართული ენის შემდგომი აღორძინების საქმეში გამორჩეული წვლილი მიუძღვის მემედ აბაშიძეს. მან განათლება მიიღო ბათუმის მაჰმადიან ქართველთა პირველ სკოლაში,რომელიც ი.ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით 1881 წელს გაიხსნა.აქედან დაიწყო მისი გათვითცნობიერება. პირველ შთაბეჭდილებებს„ქართველობის შესახებ მემედი ასე გადმოგვცემს:„მიღებული იყო წესად,როცა შეეკითხებოდი ქართველ მაჰმადიანებს ვინა ხარ შენ?იგი უთუოდ გიპასუხებდა:ვარ თათარი. ეს საკითხი მანვალებდა;ენა ქართული,გვარი ქართული,წეს-ჩვეულება ქართული,ეროვნება თათარი? მამას ვკითხე: ვინ ვართ ჩვენ? მართალია,რომ თათრები ვართ?-არა შვილო,-მიპასუხა,ჩვენ მუსლიმანები ვართ,ხოლო ეროვნებით ქართველებიო.მე ამ საკითხით დაინტერესებული ვიყავი. სკოლაში მასწავლებელმა მკითხა „ვინ ხარ შენო“? ვუპასუხე: მე ეროვნებით ქართველი ვარ. ამის გაგონებაზე თანაკლასელებმა მე შემხედეს, როგორც რკჯულის გამყიდველს და ქრისტიანს. აი, აქედან იწყებს მემედი თავის მოღვაწეობას ქართველი მაჰმადიანების გათვითცნობიერების დიდი საქმის განსახორციელებლად (ახვლედიანი,1972:68).

თედო სახოკია მემედ აბაშიძეს გასცნობია ახალგაზრდობაში,როცა იგი 16-20 წლის ყოფილა.თედო სიამოვნებით იგონებს მემედთან საუბარს: „წმინდა ქართულად ლაპარაკობდა,თურქულს ქართულში არ ურევდაო; რომ უფრო ვესიამოვნებინეთ,მოგვიყვა აკაკის,გ.ჭალადიდელის,მ.გურიელის ლექსები,თანაც იმღერა „სამშობლო ხევსურისა“,რომლის როგორც კილო,ისე სიტყვები მეტად მოსწონდა.ბოლოს ნაღვლიანად დასძინა:უფრო მეტი მეცოდინებო-

და, მაგრამ სულ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაში“ (სახოკია:244).

მემედ აბაშიძე დიდად ყოფილა დაინტერესებული აჭარაში სწავლა-განათლების დანერგვით, მოითხოვდა ბეჭდური სიტყვის გავრცელებას, ლექციებისა და რეფერატების კითხვას საჭირობო-საკითხებზე, სკოლების, ბიბლიოთეკების გახსნას და სხვა. ამ საქმეში მთავარ ძალად მას ქრისტიანი ქართველები მიაჩნდა და ყველანაირად ცდილობდა მათთან აჭარის მოსახლეობის დაახლოებას. სწორედ მემედ აბაშიძე იყო ის პიროვნება, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ რეგიონის ქართული მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. „ერთი ვინმე მამულიშვილი თუ იამაყებს თავისი ქართველობით, დამერწმუნეთ, მეც ვამაყობ ჩემის ქართველობით“ (კომახიძე, 1993:53)...

მის პუბლიცისტურ შემოქმედებას ძირითად ლაიტმოტივად გასდევს ქართული ენისადმი ზრუნვა და დაფასება. „მნამს, ქართული ენა ჩქარა დაიჭერს თავის ბუნებრივ ადგილს ჩვენს მხარეში, მაშინ ყოველგვარ გაიგებრობას ბოლო მოეღება, ვინაიდან ქართული ენა ბევრ რამეს გადასცემს ხალხს თავის წარსულისას, გააცნობს ძველი თაობის ჭკუა-გონებას, ვინაობას, თავისებურს სამშობლოს სიყვარულსა და აგრძნობინებს წინაპართა პატივისცემას. მაშინ მუსლიმანი ქართველები შეიქმნებიან ჭეშმარიტი შვილნი დედა სახელმწიფოსი“ (გაზეთი „სახალხო საქმე“ N898:1920). იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ენა მათი მშობლიური ენა იყო და მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდებოდა. „სიტყვა ქართული წარმტაცია, საამური, სურათოვანი და შინაარსიანი; მას მოვლა-პატრონობა, განახლება და განვითარება სჭირდება“ (აბაშიძე, 1998:1).

სამუსლიმანო საქართველოში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის პავლე ინგოროყვა. იგი ქართული ენის გავრცელების შესახებ აღნიშნავს, რომ XIX საუკუნეშიც კი, მიუხედავად თურქთა ბატონობისა, დედა ენა ქართული იყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ბათუმის ოლქი გამორჩეული იყო. „ბათუმის მხარეში ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა... ბათუმის ოლქის მთელი მუსულმანი ქართველობა ლაპარაკობს უწმინდეს ქართულ ენას“ (ინგოროყვა, 1990:23).

პ. ინგოროყვამ შეადგინა ამ მხარის მოსახლეობის შესახებ ცნობა, რომელიც 1918 წელს ივლისის კონსტანტინეპოლოს კონფერენციისათვის მოამზადა. ის ადასტურებს, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა, რომელთა შორის

დიდი უმრავლესობა სარწმუნოებით მუსლიმია, ნაწილი კი ქრისტიანი. „ქართველ მუსულმანებში წმინდად არის დაცული ქართული რასა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედა ენა, და მთელი ხალხი დღემდე თავის თავს გურჯს (ე.ი. ქართველს) ეძახის: (ინგოროყვა, 1990:21)

„ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურითა და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები...

ჩვენი მხარე ყოველთვის დედა სამშობლოს, საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა“. - ვკითხოლობთ 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმთა ყრილობის დადგენილებაში (სილაგაძე, გურული, 1996:33).

უდიდესი როლი ითამაშა ამ კუთხით „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ და მის მიერ დაარსებულმა გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველო“, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავდა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს. გაზეთში რეგულარულად იბეჭდებოდა წერილები მათი ქართული ეთნიკური იდენტობისა და საერთო წარსულის შესახებ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ხედვა, რომელიც ამ რეგიონის სწავლა-განათლების საკითხთან დაკავშირებით არსებობდა ახლად შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, იმ რაიონებში, რომლებშიც ქართველი მუსლიმების სასაუბრო ენას ქართული წარმოადგენდა, საგნების სწავლება სკოლებში ქართულად უნდა წარმართულიყო, ხოლო თურქული სავალდებულო საგნად. იქ, სადაც ქართული არ იცოდნენ, სწავლება უნდა ყოფილიყო თურქულ ენაზე, ქართული კი სავალდებულო საგნად დარჩენილიყო. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან იგი გამორიცხავდა ყველანაირი იძულების ფორმას. იმ დროს შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დროული და შესაბამისი იყო. ის ყველა შემთხვევაში ქართული ენის პოპულარიზაცია-განმტკიცებას ემსახურებოდა.

და ბოლოს, მინდა დასკვნის სახით აღვნიშნო, რომ მშობლიურმა ქართულმა ენამ უდიდესი როლი შეასრულა აჭარის რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში. ქართული ენა ნამდვილად იქცა ყველა ქართველის დამაკავშირებ-

ლი რგოლი.არ შეიძლება დადებითად არ შევაფასო თავად აჭარის მოსახლეობის, მისი სახელოვანი მამულიშვილების ღვაწლი ამ ფრიად მნიშვნელოვან, საშვილიშვილო საქმეში. მათმა საქმიანობამ ხომ ხელი შეუწყო ქართული ენის შემდგომ განმტკიცება-განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე მ., ფიქრები საქართველოზე, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 1998
2. ავალიანი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960
3. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N417
4. ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (XVI-XIX სს), აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1944
5. ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1972
6. ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბილისი, 1990
7. კომახიძე თ., მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993
8. მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს სსრ
9. მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი, 1963
10. სახოკია თ., „მოამბე“ N12, 1901
11. სახოკია თ., მოგზაურობანი,
12. სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვეთი I, „სამშობლო“, თბილისი, 1996
13. სმიტი ე., ნაციონალური იდენტობა, თბილისი, 1990
14. Гладстон В., болгарские ужасы и восточный вопрос, 1876

ნათელა ფოფხაძე

**ცნობები სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს
ერთ-ერთი ნაწილის შესახებ ლურსმულ
ნარილობით დოკუმენტებში (ადგილის
სახელწოდება // ტოპონიმი კულხითი/კოლხითი ანუ
კოლხეთი 2000 წელს ლურსმული დამწერლობით
შესრულებულ ტექსტებში 1940-იან წლებში
ალმონილ არქივში)**

საკვანძო სიტყვები: აია – ქვეყანა და დედაქალაქი; კოლხეთი, აია-კოლხეთი, მეფე ზიმრილიმის არქივი მესოპოტამიაში; ქარდუნია; საქართუ-ელო, მოსე ჯანაშვილი.

ჩვენი მრავალათასწლოვანი სახელმწიფო ოთხი ათასი წლის წინათ წერილობით იხსენიებოდა არა დღევანდელი სახელწოდებით – საქართველო, არამედ, იხსენიებოდა სხვა სახელწოდებებით, რომელთაგან, ჩვენთვის ყველაზე საპატიოა სახელწოდებები აია და კოლხეთი. უმთავრესად ამ სახელებით იცნობდა ჩვენს ძველთაძველ სახელმწიფოს ძველი სამყარო. აიას შესახებ პროფესორი მოსე ჯანაშვილი წერდა, რომ აია იყო ჩვენი სახელმწიფოს სახელი, თუმცა, იმავე დროს, ჩვენი სახელმწიფო აია-ს დედაქალაქსაც ეწოდებოდა აია. ასე ძველ დროშიც ხდებოდა ზოგიერთ სახელმწიფოში და ამჟამინდელ ზოგ სახელმწიფოშიც ხდება. ვოცნებობ ჩვენი სახელმწიფოს სახელწოდებად აიაკოლხეთის აღდგენაზე, რადგან ეს სახელწოდება უფრო ძველია, ვიდრე ამჟამინდელი სახელწოდებები: საქართველო, გეორგია, გურჯისტან, გრუზია, რომელნიც ძველთაძველ ტექსტებში და რუკებზე არ აისახა, რაც საერთაშორისო საზოგადოებების თანამშრომლებს ხელს უშლის ჩვენი ეთნოსისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სწორი დადგენილებების ჩამოყალიბებაში. ამჟამად ქართულ-ქართველურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩასართავად შემომაქვს პარიზში 1948 წელს დაბეჭდილი ლურსმულით ნაწერი აქადური ნაწერების ცნობები კოლხეთზე, რომლებიც ახლახან მოვიძიე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ცნობები აქამდე არ ასახულა ქართულენოვან ან საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებულ შრომებში ან ჩემთვის ხელმისაწვდომ საქართველოში არსებული არქივების მასალებში, რამდენადაც შევძელი დამედგინა დარგის სპეცი-

ალისტებთან – პროფესორ-მასწავლებლებთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო დარგის სტუდენტებთან გასაუბრებით.

კვლევის დაგეგმვისას შეძლებისამებრ სრულად მოვიძიე, ნავიკითხე, გავაანალიზე მთავარ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ ენაზე. შევარჩიე ყველაზე აუცილებელი ნაბეჭდი და საარქივო მასალა. თბილისში არ არსებული ზოგი ცნობა მოვიძიე უცხოელ მეკვლევართან ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებისა და მათგან ლურსმულით ნაწერი ტექსტების ფოტოასლების, განმარტებებისა და დაზუსტებების მიღების საფუძველზე. დარგის სპეციალისტებთან სილმისეული გამოკითხვა ჩავატარე. მიღებული ჩემი დასკვნები და ვარაუდები გავაცანი დარგის სპეციალისტების შეძლებისდაგვარად ფართო წრეს თბილისში. გავითვალისწინე მათი მოსაზრებები ამ თემის მომზადებისას.

მდინარე ევფრატს ძველად პურანუნუს უწოდებდნენ. მის შუა წელზე იყო ქალაქი, სახელად მარი. მისი მეფის, სახელად ზიმრი-ლიმის სასახლე მხოლოდ 1935 წელს გამომზეურდა პარიზელი არქეოლოგის – ანდრე პარროს ძალისხმევით. აღმოაჩინა ამ მეფის არქივი. მისი ნაწილი იკვლიეს, გადანერეს ლურსმული დამწერლობითვე ა. პარრომ და მისმა თანამშრომლებმა და გამოაქვეყნეს ტომებად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორობისას პროფესორ გრიგოლ/კუკური გიორგაძეს ჰქონია მესამე ტომი და თავის სხვა წიგნებთან ერთად უსახსოვრა ლურსმული დამწერლობის კვლევის კაბინეტს; მდებარეობს უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის პირველ სართულზე. ის წიგნი რამდენჯერმე გადავათვალიერე, მაგრამ ვერ ნავიკითხე, თუ რა ეწერა ლურსმული დამწერლობით ალბეჭდილ, დანომრილ თიხის ფირფიტებზე.

2007 წელს ნავიკითხე თბილისში მდებარე ე. წ. საჯარო ბიბლიოთეკაში გერმანიაში 1992 წელს გამოქვეყნებული ჟურნალი. ყურადღება მივაპყარი სიტყვა კულუხითუმ-ის მოხსენიებას ვოლფრამ ჰერბერტ ვან სოლდტის სტატიაში. წერილით ვთხოვე დამატებითი ცნობების მოწოდება. მაცნობა, რომ კულუხითუმ იხსენიება ქალაქ მარი-ში აღმოჩენილ ლურსმულით ნაწერ სამ ტექსტში და მათი ნომრები დამისახელა. იმ ნომრებით მივაკვლიე ტექსტების ფოტოებს სწორედ იმ ერთადერთ ტომში, რომელიც ჰქონია გ. გიორგაძეს უნივერსიტეტის ხსენებულ ოთახში. გავარკვიე, რომ სამივე ტექსტში ნამდვილად წე-

რია სიტყვა კულხითუმ და რომ ის არის ქვეყანა, ლურსმულით წერია სიტყვა ქი, სწორედ ქვეყანას ნიშნავდა იმ ძველ დროში და ახლაც ქვეყანას ნიშნავს ქართველურში, კერძოდ, მარგალურში/მეგრულში, ანუ შენარჩუნებულია მნიშვნელობა. საყოველთაოდ ცნობილია დარგის სპეციალისტების წრეში და სტუდენტებს ასწავლიან, რომ ლურსმული დამწერლობით ბგერა უ ითავსებდა როგორც ბგერა უ-ს, ისე ბგერა ო-ს თვისებას. ამდენად, მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ სიტყვა შეგვიძლია წავიკითხოთ *კოლხითუმ* სახით. წერია როგორც ამ სახით, ასევე კულხითიმ/კოლხითიმ სახითაც. შემდგომში ჩამოშორდა სიტყვებს ბოლო ბგერა მ და დარჩა კულხითი//კოლხითი. დარჩენილი სახით – კოლხითი – აშკარაა მსგავსება იმ სიტყვასთან, რომელიც ჩვენი ეთნოსის მიერ დაარსებული სამეფოს ერთ-ერთი სახელწოდებაა – კერძოდ, კოლხეთი. ვხედავთ, რომ ამჟამინდელ ჩვენს ყოფაში შევინარჩუნეთ ლურსმულით აღბეჭდილი ძველი სახელწოდება ძველი ფორმით – კოლხითი//კოლხეთი, მაგრამ მხოლოდ ძველი კოლხეთის ერთი მცირე ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც მდებარეობს კოლხეთის ზღვის (ასე იხსენიებდა მას სტრაბო//სტრაბონი პირველ საუკუნეში შედგენილ მსოფლიოს აღწერაში, რომელსაც გეოგრაფიკა უწოდა. კოლხეთის ზღვად// თალასსა კოლხიკედ ამჟამად ქალაქებთან: ნოვოროსსიისკი, სოჭი, ცხუმში// სოხუმი, ბათუმი, ტრაპიზონი, სინოპი – მიმდებარე ზღვის სივრცეს მოიაზრებდა. აღსადგენია ამ ნაწილის ეს სახელწოდება – კოლხეთის//აიაკოლხეთის ზღვა. მოსაწონი არ არის მისი მოხსენიება შავ ზღვად. ზოგადად შავი არ არის, არამედ, გამჭვირვალეა და მოლურჯოა. ქარიშხალისას კი ყოველი ზღვა შავია და არა მარტო ეს ზღვა. ძვ. წ.-ით 2000-იან წლებში ელლინები//ჰელენები არ არსებობდნენ და მათ ენაში ამიტომ ვერ აისახა ძველთაძველი სახელწოდება, სიტყვა კულხითუმ/კოლხითუმ ამ სახით.

ახლახან ხელახლა დავინტერესდი ამ თემით. ამჯერად მივწერე ლეიდენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს ჯეკ სასსოონს და კალიფორნიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს ჯორჯო ბუჩჩელატისს. შევატყობინე, რომ თბილისში მხოლოდ მესამე ტომია, ვთხოვე მარის არქივის მეექვსე ტომში დაბეჭდილი ტექსტის ასლის გადაღება და გამოგზავნა, რომელშიც სიტყვა კულხითიმ იხსენიება. შემპირდნენ. პროფ. ჯ. ბუჩჩელატტი დიდად დაინტერესდა. მომწერა, რომ აშშ-ის იმ ქალაქში, ბოსტონში, სადაც ცხოვრობს, არქივზ როიალზ დე მარი – სერიის მეექვსე ტომი არ იყო და თავის თანაშემწეს დაავალა გამოეწერა აშშ-ის სხვა ქალაქიდან. ივლისი იყო, უნივერსი-

ტეტებში საქმიანობა შენელებული იყო შვებულებების, არდადეგების გამო და ამიტომ თვენახევარი გავიდა, ვიდრე მეექვსე ტომს მიიღებდა სხვა ქალაქის ბიბლიოთეკიდან. გადაიღო ხსენებული თიხის ფირფიტის ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი ასლი და გამომიგზავნა ელ-წერილით. ჩემდა გასაკვირად, თვითონაც იმ დღეებში ჩამობრძანდა თბილისში მეუღლითურთ, რომელიც ამ დარგში გამოჩენილი, აღიარებული არქეოლოგია. ორიოდ დღე დაჰყვეს თბილისში. მოინახულეს ჩვენს რესპუბლიკაში მდებარე ქალაქ გორისა და ქალაქ კასპის შუა მდებარე არქეოლოგიური გათხრების ადგილი სახელწოდებით გრაკლიანი. იქ ორიოდ წლის წინათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა სტუდენტებთან ერთად გათხრები ჩაატარა. გამოავლინეს ძველი წელთაღრიცხვით მეთვრამეტე-მეთერთმეტე საუკუნის არქეოლოგიური ნივთები: თიხის რამდენიმე ქოთან, ლუმელი წმინდა პურის გამოსაცხოზად, საკურთხეველი. რაც მთავარია, საკურთხეველთან გამოჩნდა წარწერა. მისი ამოკითხვა სცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრის „აზროვნება, ლოგიკა, ენა“ ხელმძღვანელმა, ფაზისის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ბატონმა გია კვაშილავამ და ამ საკითხზე ნაშრომი გამოაქვეყნა. ზემოხსენებული ოთხი თიხაზე ნაკვეთი ტექსტის გარდა კიდევ ყოფილა თიხაზე აღბეჭდილი სხვა ტექსტები, რომლებშიც კოლხითი იხსენიება, რაც კიდევ სხვა მკვლევარების სხვა პუბლიკაციებით შევიტყვე ინტერნეტის სისტემის მოშველიებით. ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი ზემოხსენებული ტექსტები, რომლებშიც გეოგრაფიული სახელი კოლხეთი იხსენიება, ვრცელია. ითარგმნა ფრანგულ და ინგლისურ ენაზე. ფრანგულენოვანი თარგმანების წიგნი დასკანიებული სახით გამომიგზავნა როფესორმა ჯეკ სასსონმა., რადგან თბილისში ბიბლიოთეკებში ვერ მოვიძიე. ჩემი თხოვნით ნაწყვეტები აქადური ლურსმული ტექსტებიდან, სადაც იხსენიება სიტყვები კულხითუმ და კულხითიმ, ფრანგულად თარგმნილი შესაბამისი მასალიდან თარგმნა ფრანგული ენის კარგად მცოდნე პიროვნებამ ანა გვალიამ. მისი თარგმანი შევუდარე დედან ლურსმულით ნაწერ ტექსტებსა და მათს ლათინურენოვან ტრანსლიტერაციას უკვე გამოქვეყნებულს ათნლეულების წინათ სხვა მკვლევარების მიერ. ანა გვალიას მიერ ქართულ ენაზე ფრანგულიდან თარგმნილი მასალა ძალიან მომწონს და ამიტომ ამ სტატიაში ჩავრთე. ვაგრძელებ ამ თემაზე მუშაობას. ამ წერილს/სტატიას სხვა ცნობებითაც გავამდიდრებ

და შემდგომშიც უფრო ვრცელი სახით შემოგთავაზებთ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მე-ხუთე შენობის 120-ე ოთახში შემონახულმა ზემოხსენებულმა ერთმა პარიზში დაბეჭდილმა წიგნმა, კერძოდ, ქალაქ მარის მეფის არქივის მესამე ტომმა, რომელიც ჰქონია გ. გიორგაძეს უნივერსიტეტის ხსენებულ ოთახში, როგორც ვნახეთ, ძვირფასი ცნობები შემოგვინახა ქვეყანა კოლხეთის შესახებ. ამ ცნობების შესახებ თვითონ პროფ. გრიგოლ გიორგაძეს არაფერი გამოუქვეყნებია, რამდენადაც შევძელი დამედგინა მისი მაშინდელი სტუდენტების, მონაფეების, ამჟამად, უკვე პროფესორების, გამოკითხვით. აქვე ვიტყვი, რომ მდინარე პურანუნუს ნაწილის, ახლანდელი სახელით თუ ვიტყვით, მდინარე ხაბურის მარჯვენა ნაპირზე არსებობს საყურადღებო არქეოლოგიური ძველთაძველი კერა, რომელსაც ძველი სახელით იხსენიებენ კახათად, ახალი სახელით კი- თელ-ბრაქად. კახათი ყოფილა სამეფო ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულში, ისე როგორც კოლხეთი და ქარდუ//ქარდუნია// კარდუნია. მეორე ათასწლეულში არსებული აყვავებული ვრცელი სამეფოს, სახელად, კარდუ//კარდუნის შესახებ არქეოლოგიური მასალის გამოვლენის შედეგები ფრანგული და რუსულენოვანი სხვა მკვლევარების ნაშრომების საფუძველზე ქართველ მკვლევართაგან პირველად იკვლია ტფილისის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა მოსე გიორგის ძე ჯანაშვილმა. გამოაქვეყნა თავის წიგნში 1906 წელს ქართულ ენაზე. წიგნს უწოდა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან. ყდაზე მიაბეჭდა, რომ წიგნს ახლავს ოთხი რუკა. ამ წიგნის ერთ-ერთი ცალი, რომელიც პროფ. ივანე ჯავახიშვილს აჩუქა და ივანე ჯავახიშვილის არქივშია დაუნჯებული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თბილისში, მოსე ჯანაშვილის ხელით ფურცელზე არის დახატული რუკა, რომელზეც მდინარე პურანუნუს//ევფრატის მთელს აუზში ანუ მთელს მესოპოტამიაში აღბეჭდილია სამეფო, სახელად, კარდუნია//ქარდუნია ანუ კარდუ//ქართუ ანუ სა-ქართუ-ელო. მოსე ჯანაშვილის ეს საყურადღებო ცნობები მივიწყებულია, უყურადღებოდ არის მიტოვებული და არ არის ჩართული 1934 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილ საქართველოს წარსულის ამსახველ სხვა მკვლევართა ნაშრომებში. მოსე ჯანაშვილი თბილისში, მთანმინდაზე არსებულ, საზოგადო მოღვაწეთა განსასვენებელში//პანთეონში//სასაფლაოზე არის დაკრძალული ვაჟა ფშაველას//ლუკა რაზიკაშვილის უკან, იოსებ ჯულაშვილის//იოსებ სტალინის დედის, ეკატერინე გელაძე-ჯულაშვილისას მახლობლად.

ქვემოთ მკითხველებს ვთავაზობ სახელმწიფო მარის მეფის ზიმ-რილიმის სასახლის ბიბლიოთეკაში პროფესორ ანდრე პარრო-ს მიერ მოძიებული იმ თიხის ფირფიტების ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი ტექსტების ქართულ თარგმანს, რომლებშიც იხსენიება სიტყვა კულხითი/კოლხითი. ფრანგული ენიდან ჩემი თხზვნით თარგმნა ანა გვალიამ. ციფრებით აღნიშნულია უცხოელი მკვლევარის მიერ თიხის ფირფიტებისათვის მიკუთვნებული ნომერები: 83; 61; 63. კიდევ ორი ფირფიტის წარწერის, სადაც იხსენიება კულხითიმ ვთხოვე შემდგომში ანა გვალიას, მაგრამ არ მიპასუხა და არ თარგმნა. ქვემოთ მოყვანილი ტექსტების შესახებ ცნობები ჩაურთავთ მკვლევარებს ძალიან ცნობილ საინტერნეტო საძიებელ სისტემებში, სადაც მედიცინის ისტორიაზეა მასალა თავმოყრილი. კულხითის ამ თიხის ფირფიტებზე მოხსენიება აღნიშნეს კიდევ სხვა ამჟამინდელმა მკვლევარებმა თავიანთ ნიგნებში, რომელთაგან სანიმუშოდ მოვიტანე ყდები და ნაწყვეტების ფოტოები. ახლა კი იხილეთ კოლხეთიდან ოთხი ათასი წელის წინათ გაგზავნილი წერილების ნაწყვეტების ქართულენოვანი თარგმანი:

სამეფო არქივი

83

ჩემს ბატონს

ასრე თქმული:

ამგვარად (უბნობს) კიბრი-დაგან,

მსახური შენი.

კოლხებთან დაკავშირებული მითითებების შესახებ

ჩემი ბატონი (მომწერა მე)

როგორც ის აგრძელებს: “ []

(დაკარგულია რამდენიმე ხაზი)

[

ჩემთვის [

ახლა, მე თვითონ, [

ამ ქალაქს [

და მისი მითითებები [

მან მოიტანა (?) მათი მითითებები;

ისინი არ შეესაბამებიან [

გაგრძელებაში, სინამდვილეში

მათ არ შეუწყვიტავთ

(კუთვნილების გამომხატველი არტიკლი) ...

63

ჩემს ბატონს

ასრე თქმული:

ამგვარად (უზნობს) კიბრი-დაგან,

შენი [მსახური].

კულხითუმ

მე მივიღე მინიშნებები

მისი კარგად ყოფნისთვის;

მინიშნებები ხელსაყრელია.

დაე, ჩემი ბატონის გულმა

არაფერზე იღელვოს!

61

ჩემს ბატონს

ასრე თქმული:

ამგვარად (უზნობს) კიბრი-დაგან,

მსახური შენი.

დაგან და იკრუბ

კარგად არიან

ქალაქი თერქა

და მთელი მისი რაიონი კარგად არის.

ასევე გამცნობთ სხვა საქმეს: **კულხითიმში**

ღმერთი ანადგურებს

ხარებსაც და ადამიანებსაც;

დღეში ორი, სამი ადამიანი კვდება.

კვლევით წარმოჩინდა შემდეგი: ჩვენი ქვეყნის ყველაზე საპატიო სახელწოდება კოლხეთი წერილობით აღბეჭდილი ყოფილა გაცილებით ადრე, ვიდრე ეს ისწავლება ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში და ისტორიის თემებზე შექმნილ ნიგენტებში, სტატიებში, სატელევიზიო და ვიდეო გადაცემებში, სამოყვარულო დოკუმენტურ ფილმებში. საუკუნის წინათ მკვლევარები ამ წერილების მიმღები მეფე ზიმრილიმისა და მისი თანამედროვე მეგობარი მეფის ჰამუბარის ანუ ჰამურაბის ზეობის ხანად მიიჩნევდნენ ძველი წელთაღრიცხვით 2000 წელს. ოცი წლის წინათ ერთ-ერთმა მკვლევარმა მაიქლ რაუფმა 270 წელით უფრო გვიანდელ ხანაში გადმოიტანა ჰამურაბის ზეობის თარიღი იმ მიზნით, რომ ბიბლიაში მოხსენიებული მეფე ამრაფელის ზეობის დროს დამთხვეოდა. მე

ძველი დათარიღების მომხრედ ვრჩები და მიმაჩნია, რომ ზიმრილიმის მისი თანამედროვე ჰამუბარ//ჰამურაბის ზეობის წლები და ზემოხსენებული ლურსმული ნაწერებიც უნდა დათარიღდეს ძვ. წ.-ით 2000-იანი წლებით. იმ დროს დაიწერა ამ სტატიამო მოხმობილი ლურსმულით ნაწერი ტექსტები. მკვლევართა მეორე ჯგუფის თვალსაზრისით, რომლებიც მიიმხრო მაიქლ რაუფმა, ზიმრილიმი და ჰამურაბი მეფობდნენ 1760-იან წლებში. მკითხველებისათვის აუცილებლად მიმაჩნია ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ გია კვაშილავას ნაშრომის წაკითხვა თემაზე: აია, აიაია, კოლხეთი. ის წასაკითხად ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებითაც და გამოქვეყნდა 2015 წელს ილიას უნივერსიტეტში, ჟურნალ „ქართველოლოგიის“ მეოთხე ნომერში. აუცილებელია ამ ცნობების ჩართვა საინფორმაციო საშუალებებში მომუშავე პირთა მიერ შექმნილ ნაწარმოებებში, პირველ რიგში კი – სასკოლო სახელმძღვანელოებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Archives Royales De Mari, Volume III, tablets No. 61, 66 and 83. Paris. Edited by Cooper F. G., 1948.
2. Wolfram Herbert Van Soldt. On old Babylonian *lu ittum*. Zeitschrift fur Assyriology und Vortasianische Archaeology, 1992, Vol. 82, No. 1, 60-87.
3. Wolfram Herbert Van Soldt. Information on which tablets in Archives Royales de Mari, Paris, 1948, Volume III the name of the country called Kulhitim//Kulhiti is mentioned. Personal communication. E-mail dated June 3, 2017. From Vienna to Tbilisi.
4. Giorgio Buccelatti. Personal communication concerning Archives Royales de Mari. Volume VI. Text where Kulhiti in cuneiform text is mentioned. E-mail dated July 12, 2017, from Boston to Tbilisi.
5. Neli Zigler and Anne-Babale Langlois. Les toponyms paleo-babyloniennes de la Haute-Mesopotamie. Paris. 1996.

Natela Phophkhadze

Specific importance of the cuneiform texts made in 2000 BCE mentioning the area called Kolkheti

Summary


The famous great river Euphrates was called Puranunu in ancient times. At the middle of this great river was a great city called Mari. The ruins were

covered with earth and dust and Prof. Andree Parrot was an archaeologist from Paris that excavated the site in 1940, revealed the cuneiform texts of documents kept in the palace of the local king Zimri-Lim that ruled in 2000-ies BCE. My attention was aroused to those tablets after I read in 2007 a paper of Prof. Wolfram Herbert Van Soldt mentioning the name of one of the countries/ kingdoms known in those ancient days as Kulhitum/Kulhitim on clay tablets – in a journal published in Germany in 1992. Prof. W. H. van Soldt, Prof. Jack Sassoon and Prof. Georgio Buccelatti have been helpful to me in supplying precise information on where the texts where the name of the country Kulhitum//Kulhiti /Kolkheti might be found to be read in the cuneiform script. There is only one volume of the series Archives Royales de Mari in Tbilisi and happily it is volume III where Kulhitim is mentioned on three tablets. This volume was the property of Prof. Grigol/Kukuri Giorgadze. He taught Sumerian language and literature to students at the Tbilisi State University established in 1918. Ana Gvalia translated three texts of cuneiform texts translated into French by other scholars decades ago, into modern Kartdu//Kartu//Kartuli language – after I addressed her to translate these texts to be published in my scholarly review. Afterwards I asked her to translate two more small texts from other letters to the same king Zimri Lym, but she did not answer my e-mail. Hence we have now five tablets mentioning Kuluhitum or Kuluhitim in 2000 BCE. There may be much more and I go on research on this theme. These are preliminary data for my future investigation and publication that will follow after I analyze publications of several modern other scholars, those that have mentioned Kulhitim in tablets made in II millennium BCE in their publications. The kingdom called Kardunias//Kardu is mentioned in cuneiform texts a couple of centuries later and that is why I promote the idea of reviving our land's ancient name Aiakolkheti in modern days, instead of Georgia, Gruzia, Sakartvelo//Kartu, Gurjistan or la Gorgie. Hammurabi's Law Codex was translated into our modern language Kartuli in 1918 by Professor Mose Giorgievich Janashvili in Tbilisi. He died in 1934 and is buried at the Mtatsminda Holy Hill Pantheon for the eminent public persons/figures. In the year when he died Hammurabi's Law Codex in Kartuli language translated by Elene Rusia and Alexandre Rusia was published in Tbilisi. The editor was Alexandre Tseretheli that was exiled to Siberia for several years and the books edited or written by him were prohibited to be mentioned. Therefore Isidore Dolidze translated Hammurabi's Law Codex later into Kartuli language and published it in 1961 in Tbilisi. Zurab kikhnadze translated again Hammurabi's Law Codex from cuneiform texts in to Kartuli language in 1988. Professor Mose Janashvili's translation made in 1918, but unpublished kept in his archive at


Giorgi Leonidze Museum of Literature in Tbilisi is a good translation and new translations were not needed in Tbilisi. Professor Mose Janashvili wrote an excellent text ‘Chrdiloet Sakartuelo – Khersovneti//Sakartuelo’s Northern Part – Kherson Region in the Crimea’. He published in his ‘Sakartuelos Istoria Udzvelesi Droidan’ in 1906, where he stressed that Kolkheti//Aiakolkheti was the ancient name of our kingdom and later Kardunias in Mesopotamia was mentioned in documents in the cuneiform Sumerian and Akkadian texts. All these data are true and ought to be included into modern schoolbooks, documentary films and videos.

Key words:; Aia – a kingdom and its capital, Kolkheti, Archive of Zimrilim in Mesopotamia; Kardunia; Sa- kartu-elo, Mose Janashvili.


ფოტოილუსტრაცია



სურათი 1. კოლხეთიდან მარის მეფე ზიმრილიმისადმი მისი ჯამუშის მიერ გაგზავნილი წერილი. თიხის ფირფიტის აქადური ტექსტი # 61. არქივზ როიალ დე მარი სერიის მესამე ტომი.



სურათი 2. აქადური ტექსტის ლათინური ასოებით გადმოღებული ნიმუში არქივზ როიალ დე მარი სერიის ტომი 6, წარწერა # 76. სიტყვები კულხითიმ ქი //კულხითი ქეცეანა გამუქებულია.



სურათი 3. კულხითუმ ძველი ჩრდილო-მესოპოტამიის ტოპონიმის სურ. 4 ძველი ჩრდ. მესოპოტამიის ტოპონიმის კრებულში კრებულის ყდა. სი-აშია „კოლხითუმ“



სურ. 5.ძვ. მესოპოტამია (შედგ. ნიკოლას პოსტგეიტის მიერ 1963 წ.). ქან-დუნია სამეფოშიმდებარეობდა ქ. ბაბილონი. იქვე იწყებოდა კოლხეთი. რუკა დაცულის თსუ-ს მე-5 კორპუსში, 120-ე აუდიტორიაში



სურათი 6-7. კოლხეთის მეფის აიაეტის ასულის, სამკურნალო საშუალებების კვლევაში განსაკუთრებული წვლილის შემომტანი მკვლევარი მეცნიერის, მედიკოს ძველი ბათუმისა თავისუფლების მოედანზე (არქიტექტორი ირაკლი ხმალაძე. საზეიმოდ გახსნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხე-

ილ სააკაშვილმა 2007 წლის 6 აგვისტოს) და ბიჭვინთაში თალასსა კოლხი-
კეს (სტრაბონი) სანაპიროზე (არქიტექტორი მერაბ ბერძენიშვილი. დაიდ-
გა 1978 წელს)



სუ. 8. ოქროს სანმისის ორდენი, რომლითაცაიეტის სურ. 9. აიეტის ძეგლი
ქობულეთში (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი
2010 წ. დაჯილდოვდა რეჯებ თაიფ ერდოღანი

**რომაული სამყაროს შესწავლა XX ს-ის ქართულ
ისტორიოგრაფიაში**

მსოფლიო მეცნიერებაში ძველი რომის ისტორიის, წყაროთ-
მცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხების კვლევას 15 საუ-
კუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე საისტორიო
მეცნიერებამ შინაგანი ევოლუცია და რიგი სტადიები გაიარა.

დღეისათვის ძველი რომის ისტორიის რიგი საკითხების შესა-
ხებ გვაქვს დეტალური ინფორმაცია. საისტორიო აზროვნების
განვითარების 15 საუკუნეზე მეტი ტრადიციის ფონზე ჩამოყა-
ლიბდა სხვადასხვა სკოლები (იტალიური, ფრანგული, გერმანული,
ინგლისური და რუსული) რომლებიც დღესაც წარმართავენ კვლე-
ვის მსოფლიო კარდინალურ ხაზს. მართალია ისინი ვითარდებოდ-
ნენ ცალ-ცალკე, მაგრამ მათ აერთიანებდათ მთავარი მიზანი –
ძველი რომის ისტორიის შესწავლა.

ძველი რომის ისტორიის შესახებ მიძღვნილ სხვა ლიტერატუ-
რაში მოკრძალებული ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფი-
ასაც, ჩვენ განვიხილავთ 20 საუკუნეში, ეროვნული მეცნიერების
მიღწევებს რომის ისტორიის შესწავლის საკითხში.

ქართულ ენაზე რომის ისტორიის შესახებ ზოგადი კურსის
პირველი ფუნდამენტური ნაშრომი
ეკუთვნის დიმიტრი უზნაძეს.



დიმიტრი უზნაძე

დიმიტრი უზნაძე (1886 -1950
წწ.) გამორჩეული ფიგურა გახლდათ
ქართულ მეცნიერებაში. იგი შედი-
ოდა იმათ რიცხვში ვინც მონაწილე-
ობა მიიღო თბილისის უნივერსიტე-
ტის დაარსებაში. სპეციალობით
დ.უზნაძე იყო ფსიქოლოგი და მსო-
ფლიო სახელი მას მოუპოვა მისმა
განწყობის თეორიამ. და ასეთ ფო-
ნზე, რაოდენ უცნაურიც არ იყო
მკითხველისათვის, რომ დ.უზნაძის
ჰოზი გახლდათ ძველი რომის ისტო-
რიის შესწავლა. სხვათა შორის, რო-

მის ისტორიის კურსის შესწავლა მან ბერლინის უნივერსიტეტში

გაიარა თ.მომზენის ზედამხედველობის ქვეშ. ამიტომაც გასაკვირიც არც უნდა ყოფილიყო, როდესაც დ.უზნაძე თავის მეორე პროფესიად მიიჩნევდა ძველი რომის ისტორიას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხარდაჭერით, 1918-1919 წლებში, ქუთაისში სამ ნაწილად გამოიცა დ.უზნაძის „მსოფლიო ისტორია“. შესაბამისად, თითო ნაკვეთი დაეთმო ძველი აღმოსავლეთის, **ე**ლადის და რომის ისტორიებს. ჩვენ შორს წაგვიყვანდა რომთან (ნ. 3, 1919, გვ. 115) მიმართებაში უზნაძისეული ნაშრომის საფუძვლიანი მიმოხილვა, დავსძენთ მხოლოდ, რომ სახელების მხრივ მცირეოდენი უზუსტობის და ისტორიის შემჭიდროებული ფორმით თხრობის მიუხედავად, მთლიანობაში, ეპოქის შესაბამისად რომთან მიმართებაში იგი მკითხველს საკმარის ცოდნას აძლევდა.

შემდგომ იყო ე.წ. საბჭოთა პერიოდი, რომლის დროსაც პროვინციებში ოფიციალურად იკრძალებოდა ზოგადი ხასიათის განმაზოგადებელი ნაშრომების წერა და ისინი მხოლოდ მოსკოველი მეცნიერების პრეროგატივა იყო. შესაბამისად, ისტორიოგრაფიაში ყოველგვარი არსებული ხარვეზის შევსება რუსული ენიდან ნათარგმნი წიგნებით ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ვ.სერგეევის „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. I-II, 1940-1941 წწ.). ეპოქის შესაბამისად იგი კარგი ნაშრომი იყო, რომელში ნაჩვენებები იყო მეფეთა ხანის, რესპუბლიკის და იმპერიის პერიოდის საკვანძო საკითხების სისტემური ისტორია.

ვ.სერგეევის წიგნს მოჰყვა ცნობილი რუსი მეცნიერის ნ.მაშკინის „რომის ისტორიის“ (თბ., 1951) თარგმნა-გამოცემა. იგი გახლდათ მცირე ზომის მეთოდოლოგიური ტიპის სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილი იყო დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისთვის. 1947 წელს იურიდიული ინსტიტუტების სტუდენტებისთვის ითარგმნა ი.პეტერსკის „სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია. აღნიშნული სახელმძღვანელოს მეორე ნაკვეთი დაეთმო რომაულ პერიოდს.

ასეთ ფონზე, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნათელი ფიგურა გახლდათ ალქსანდრე წერეთელი (1889-1967 წწ.). იგი იყო ძველი მსოფლიო ისტორიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელი. მას ეკუთვნის „მსოფლიო ისტორიის“ დაწყებითი კურსის შექმნა, რომლის პირველი ნაწილი – „ძველ საუკუნეთა ისტორია“ (ტფ., 1919, გვ. 144) მოიცავდა უძველესს ცივილიზაციებს. ალ.წერეთელს ეკუთვნის რიგი ფუნდამე-

ნტური ნაშრომები ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიაში.

ა.წერეთელმა რთული ცხოვრების გზა გაიარა. საისტორიო მე-



ალექსანდრე წერეთელი

ცნიერებას იგი დაეუფლა ხარკოვის უნივერსიტეტში მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის ვ.ბუ-ზესკულის (1858-1931 წწ.) ხელ-ძღვანელობით. შემდეგ იწყება საქართველოში მისი პოლიტიკუ-რი და სამეცნიერო მოღვაწეობა. იყო ეროვნული საბჭოს წევრი და იმათ შორის ვინაც ხელი მოაწე-რა 1918 წლის 26 მაისის დამო-უკიდებლობის აქტს. 20-იან წლე-ბში ალ.წერეთელი სხვადასხვა თანამდებობაზეა. ასრულებდა ცენტრალური არქივის დირე-ქტორის მოვალეობას, განათლე-

ბის სახალხო კომისრის კოლეგიის წევრობას, ხოლო 1927-1935 წლებში გახლდათ თსუ-ს ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. მონოგრაფიისთვის „ლუკიანე სამოსატელი“, 1927 წელს, მას მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1935-1955 წლები ალ.წერეთლის ცხოვრებაში არის გადასა-ხლების, რეაბილიტაციის და კვლავ მეცნიერებაში ჩაბმის პერი-ოდი. 1962 წელს გამოვიდა ამაღგარი მეცნიერის „რომის ისტო-რია“ (ნ. I-II, 1957-1961, წწ.). ეეს იყო რეპრესიების შემდგომ სა-მშობლოში დაბრუნებული ქართველი მეცნიერის ისტორიოგრაფი-აში თამამი განაცხადი. წიგნი მაშინ დადებითად მიიღო ქართვე-ლმა საზოგადოებამ.

რომის ისტორიის თემატიკას მიეძღვნა ალ.წერეთლის ბიოგრა-ფიული ხასიათის ნაშრომი¹ – „მარკუს ციცერონი“ (1959 წ., 195გვ.). მასში რომის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვითარე-ბის ფონზე ნაჩვენებია იყო დიდ ორატორის ცხოვრება და მისი პო-ლიტიკური საქმიანობის კარდინალური საკითხები. პუბლიკაციით ავტორმა ქართულ მეცნიერებაში ციცერონიანას თემატიკაზე შე-ავსო არსებული ხარვეზი.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში მოსკოვიდან არსებული შეზღუდვა-ცენზურის გამო სამეცნიერო კვლევების ორი მიმართულება გამოიკვეთა. პირველი, სახელმ-ძღვანელოების წერის აკრძალვის გამო ქართველი ისტორიკოსები

ცდილობდნენ შეესწავლათ და წამოეწიათ იმ საკითხების კვლევა, რომლებიც ზოგადად რუსულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად იყო ცნობილი. ამის მაგალითია ალექსანდრე წერეთლის და სხვა მეცნიერების შემოქმედება. რაც შეეხება მეორე სფეროს, იგი გამოიხატა მთარგმნელობითი საქმიანობაში. ამ მხრივ ქართულ მეცნიერებას ყოველთვის შესანიშნავი კადრები ჰყავდათ. მთარგმნელობითი სფერო ძირითადად რომაულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი წყაროების ანდა პოპულარული რომაელ ისტორიკოსთა თხზულებების თარგმნით გამოიხატებოდა.

ქართულ ანტიკურ მეცნიერებაში წყაროების თარგმნის სფეროში ვგამორჩეული იყო აკაკი ურუშაძე (1918-1911 წწ.). იგი საინტერესო ფიგურა გახლდათ, რამდენადაც ერთდროულად იყო ლიტერატორი, წყაროთმცოდნე და პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნოდა მეთოდური ხასიათის ნაშრომი – ‘ანტიკური ლიტერატურის ისტორია’ (1988 წ.), სხვადასხვა პუბლიკაციები საქართველო-რომის ურთიერთობებზე: ‘ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში’ (1993 წ.), ‘ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით’ (1987 წ.), ‘ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები’ (1980 წ.), ჰორაციუსის ‘პოეტური ხელოვნებისათვის’ (1981 წ.), ‘ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი’ (1985 წ.) და ა.შ.

ფართო აუდიტორიისთვის განსაკუთრებული პოპულარული დარჩა აკ. ურუშაძისეული პლუტარქეს რჩეული ბიოგრაფიების თარგმანი (ტ. I-II, 1975-1987). ბერძენი ისტორიკოსის თხზულების თარგმნით, ურუშაძემ, მკითხველს მიაწოდა ანტიკურ პერსონაჟთა სახეების მთელი გალერეა. ზემონახსენებ პუბლიკაციების გარდა, ურუშაძეს ანტიკურ პერიოდზე მიძღვნილი ჰქონდა არაერთი სტატიები. მაგ., ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა ციცერონის ცხოვრების და შემოქმედების საკითხებს (1962 წ.). ა. ურუშაძემ გამოსცა ორატორის რამოდენიმე წერილიც.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იდეოლოგიური მომენტებიდან გამომდინარე წინა პლანზე იყო წამოწეული მონობის საკითხების კვლევა. აღნიშნულ პრობლემებს არაერთი ნაშრომები მიუძღვნა მათე ალექსიშვილმა (1910-1970 წწ.). იგი 1946-1970 წლებში იყო თსუ-ს ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. ძირითადად, მ. ალექსიშვილის სამეცნიერო-კვლევითი დაინტერესების სფერო იყო ანტიკური ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური საკითხები. მონობის თემატიკას მიეძღვნა ავტორის ნაშრომები: ‘მონობა ანტიკურ ქვეყნებში’ (1971 წ.), ‘მონობა და მონათმფლობე-

ლური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში“ (1974 წ.) და ა.შ. პირველი ნაშრომი მიჰყვებოდა ჰენრი ვალონის ცნობილი პუბლიკაციის სტრუქტურას. მასში გაშუქებული იყო მონობის სხვადასხვა ასპექტები (წყაროები, რაოდენობა, ფასი და ა.შ.). რაც შეეხება ავტორის მეორე ნაშრომს, მასში შესანიშნავად იყო განმარტებული არისტოტელეს „მარადიული მონობის“ თეორიის არსი და სხვა საკითხები. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნული ნაშრომები ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოური პერიოდის ანტიკურ ისტორიოგრაფიაში.

მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში~ (1974 წ.) და ა.შ. პირველი ნაშრომი მიჰყვებოდა ჰენრი ვალონის ცნობილი პუბლიკაციის სტრუქტურას. მასში გაშუქებული იყო მონობის სხვადასხვა ასპექტები (წყაროები, რაოდენობა, ფასი და ა.შ.). რაც შეეხება ავტორის მეორე ნაშრომს, მასში შესანიშნავად იყო განმარტებული არისტოტელეს „მარადიული მონობის“ თეორიის არსი და სხვა საკითხები. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნული ნაშრომები ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოური პერიოდის ანტიკურ ისტორიოგრაფიაში.

ვაჭრობის აყვავებამ და დაპყრობილი ტერიტორიების პირდაპირმა ძარცვამ რომში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება გამოიწვია.

სასაქონლო ფულადმა ურთიერთობებმა და მონათა სიმრავლემ მრავალი რამ შეცვალა რომაელი გლეხის ცხოვრებაში.

მონები, რომლებიც ამ დროს განსაკუთრებულ კლასად გადაიქცნენ, არ იყვნენ არაერთგვაროვანნი. მათი რიცხვი არაჩვეულებრივად გაიზარდა იმ პერიოდთან შედარებით, როცა მონები მხოლოდ ოჯახებში ჰყავდათ. მარტო კუნძულ დელოსზე, მონათვაჭრობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში დღეში ზოგჯერ 10 მონა იყიდებოდა. მათი რაღაც ნაწილი იქცეოდა სახელმწიფო მონებად, მაგრამ ძირითადი ნაწილი გადადიოდა კერძო მფლობელების ხელში, სადაც ასევე ორი ჯგუფი იქმნებოდა-სოფლის მონები და ქალაქის. როგორც იმდროინდელი რომაელი მწერალი მარკუს გარონი შენიშნავდა, მონა იყო „მოლაპარაკე შრომის იარაღი“.

მათე ალექსიძე თავის ნაშრომში „მონობა ანტიკურ ქვეყნებში“ წერს: „ანტიკური გაგებით მონა ცხოველი იყო, რომელიც სხვა ცხოველებისგან განსხვავდებოდა მეტყველებით, აგრეთვე იმით, რომ მას ჰქონდა აზროვნებისა და სათნოების მკრთალად მოცემული უნარი, რაც სხვა ცხოველებს არ გააჩნდათ. ამიტომ მაშინდელი გაგებით, მონას არ ჰყოფნიდა ადამიანური თვისებები ადამი-

ანთა შორის თანაბარი ადგილის დასაკავებლად. სამაგიეროდ მას შეეძლო პირველი ადგილი ჰქონოდა ცხოველებში, როგორც გონიერ (*sapiens*) ცხოველს და სამუშაო იარაღებში, როგორც მეტყველების მქონე იარაღს (*instrumentum volate*). ამის გამო მაშინდელი შეხედულებითაც და ოფიციალური კანონმდებლობითაც მონები შეყვანილი იყვნენ ცხოველთა კატეგორიაში და სამუშაო იარაღის თანრიგში.

საზოგადოებრივი აზრის უყურადღებობამ მონების მიმართ და ძველადვე დანერგილი სპეციალური ნაშრომების უქონლობა ანტიკური ეპოქის მონობაზე, იმას არ ნიშნავს, თითქოს თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას სრულიად არ გააჩნდეს წყაროები და იგი უძლური იყოს შეისწავლოს ანტიკური მონობა. ნამდვილად მონობის საკითხისათვის თვალის ახვევის ტენდენციის სრული განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა, ვინაიდან მონობა ფაქტი იყო და ისიც ღრმად შეჭრილი ცხოვრების ყველა დარგში. ამიტომ ბუნებრივად დგებოდა საკითხი. რა იყო ეს მოვლენა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროების გამო მონობამ ფილოსოფოსთა (პლატონი, არისტოტელე, სენეკა, ეპიქტეტი და ა.შ.) ყურადღება მიიპყრო. მონათა ყოფა-ცხოვრებამ, მათი ქცევის მანერამ, აგრეთვე მათმა რომაულმა თავგადასავლებმა და სხვა მათთან დაკავშირებულმა საკითხებმა მწერლების ყურადღება მიიპყრო. პირადი ანგარიშების გასწორებისათვის თავისუფალთა მიერ მინების ერთმანეთის წინააღმდეგ გამოყენებამ და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნისთვის მონა-მონმეების დახმარების საჭიროებამ და ა.შ. მონების საკითხი რიტორიკაში შეიტანა და მაშინდელი ორატორების (ციცერონი, დემოსთენე და სხვა) სასამართლოში წარმოთქმული სიტყვების საგნად გადააქცია. მონებზე, როგორც მუშა-საქონელზე და სამუშაო იარაღებზე, საკუთრების საკითხის სადავოდ გადაქცევამ ან მისი მონესრიგებისა და გამოყენების საჭიროებამ მონობის შესახებ საკითხი იმდროინდელ კანონმდებლობაში შეიტანა.


ამგვარად, ფაქტიური მასალის მიხედვით ანტიკური ეპოქის მონობის შესწავლის შესაძლებლობა მაინც არ არის უშედეგო მდგომარეობაში სწორედ ამის გამო, რომ აქ ისტორიული მეცნიერების ხარვეზს, ასე თუ ისე ავსებენ ზემოთ აღნიშნული სხვა სახის წყაროები“ (თ. ალექსიშვილი „მონობა“ ანტიკურ ქვეყნებში“, თბილისი 1971 წ.).

რომაული სამყაროს განოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებიდან მათე ალექსიშვილს ეკუთვნოდა მონოგრაფია ცეზარის შესახებ

(1961 წ.).

მონობის თემატიკაზე არსებულ სხვა პუბლიკაციებიდან გვიანდა გამოვჰყოთ რუსუდან გოგოლაშვილის საინტერესო ნაშრომი – განთავისუფლებული მონები (ლიბერტინები) ძველ რომში (1981 წ.). ნაშრომში ავტორი იკვლევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მონების განთავისუფლების სოც-ეკონომიკური ფაქტორები, განთავისუფლების ფორმები, ლიბერტინთა უფლებრივი კატეგორიები და ა.შ.

XX ს-ის მიწურულს ქართულ მეცნიერთა მახასიათებელი იყო მუშაობა ანტიკური რომის და თანმხვედრ საქართველოს ისტორიის თემატიკაზე. ამ მხრივ გვინდა გამოვყოთ პროფ. ლევან სანიკიძე (1925-2001 წწ.). იგი გახლდათ ძველი მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე მომუშავე პროდუქტული მკვლევარი. 1975-2001 წლებში ლ.სანიკიძე გახლდათ თსუ-ში ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. მას ეკუთვნის იმპერიის პერიოდის რომის ისტორიის შესახებ დამხმარე სახელმძღვანელოს (ნ. 1-2, 1969-1972 წწ.) ავტორობა. დღეს მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ე.წ. კომუნისტურ ეპოქაში ეს იყო ქართველი ავტორობით მკითხველთან სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომის მიწოდების პირველი ცდა, რაც თბილად მიიღო მაშინ საზოგადოებამ. მოგვიანებით, ავტორმა ისინი გაერთიანა და ამ სახით მიაწოდა მკითხველს (1982 წ.).



ლევან სანიკიძე

„დომინატი არის მეორე და უკანასკნელი საფეხური რომის მონათმფლობელური იმპერიისა. ტერმინი წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „Dominus“, რაც ქართულად „ბატონს“ ან „მბრძანებელს“ ნიშნავს.

ჯერ კიდევ იმპერატორი ავრელიანე უწოდებს და თავის თავს dominus et deus („ბატონი და ღმერთი“). მაგრამ დომინატის ოფიციალურად აღიარება მაინც დიოკლეტიანეს დროიდან იწყება.

ფორმალური თვალსაზრისით „დომინატი“ უპირისპირდება „პრინციპიატს“, რომელიც საიმპერიო მონარქიულ ხელისუფლებას აქამდე ძველ-რომაული „რესპუბლიკის“ სამოსელში წარმოგვიდგენდა. ბოლოს და ბოლოს უხეშმა და გაურანდავმა ჯარისკაცთა იმპერა-

ტორმა უკვე დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებულ მონარქიას ეს შილიფი, ძომნადაქცეული საბურველიც ჩამოჰგლიჯეს და ძველ-აღმოსავლური დესპოციის მსგავს ერთპიროვნულ მბრძანებლობას მისი ნამდვილი სახელი დაარქვეს.

სოციალური, კლასობრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით დომინანტი გულისხმობდა კატასტროფულ კრიზისში ჩავარდნილი მონათმფლობელური სისტემის გადარჩენას და საცალო „ახალი ფორმით აღორძინებას“.

დომინანტის დროინდელი იმპერატორულ-დესპოტური ხელისუფლება საბოლოოდ აცამტკერებს სენატის, როგორც ძველი „რესპუბლიკის ტვინის“ სახელმწიფო მმართველობის ფორმალურ ფუნქციებსაც. ამიერიდან სენატორები, ძველი „მამანი სამშობლოსა“, იმპერატორის მორჩილ სახელმწიფო მოხელეებად იქცევიან (ლევან სანიკიძე – „რომის იმპერია – დომინანტი“).

მონობის ძირითადი წყარო მონათმფლობელურ სახელმწიფოთა აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგი იყო, მონათმფლობელობა, როგორც სისტემა თავისი აყვავების კულმინაციას აღწევს რესპუბლიკის უკანასკნელ საიკუნეშებში (II-I ძვ.წ.) სწორედ მაშინ, როცა რომმა მრავალი დიდი ძლევამოსილი ომების წყალობით მილიონობით მონათა კონტინგენტებით აავსო იტალიის მეურნეობა. მონა-მუშახელის მეტისმეტი გაუფასურება ძველ რომაელ ფალისტერს საფუძველს აძლევდა ეთქვა, რომ მონა ადამიანი არ არის, იგი მხოლოდ სამუშაო იარაღის კატეგორიაა იმ განსხვავებით, რომ მას მეტყველება აქვს (*insrumentum volate*). მაშინ (რესპუბლიკის უკანასკნელ საუკუნეებში) სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში იაფფასიანი მონური შრომის დამკვიდრებამ, რაც მონათმფლობელის კულმინაციურ აყვავებას (ანუ სისტემად გადაქცევას) ნიშნავს – გამოიწვია რომაული რესპუბლიკური სისტემის ყოველმხრივი (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი) კრიზისი (ლევან სანიკიძე „რომის იმპერია“).


რომის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთის გაშუქებას მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მანვე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა შეისწავლა და მკითხველს მიაწოდა ნაშრომები მითრიდატულ ომებზე (1956 წ.), პუნიკური ომებზე (1963 წ.), რომის აღმოსავლური პოლიტიკაზე (1970 წ.). წიგნები გამოჩენილ რომაელებზე – „მარიუსი და სულა“ (1970 წ.), „კეისარიადა“ (1989 წ.) და სხვ.

ლ.სანიკიძეს ასევე ეკუთვნოდა პიესები ანტიკური ისტორიიდან. მათგან უმუშალოდ რომაულ თემატიკაზე დაწერილი იყო: „გაიუს გრაქუსი“ (1957 წ.), „სპარტაკი“ და ა.შ., რომლებიც წარმა-

ტებით იდგმებოდა თეატრის სცენებზე.

XX-XXI ს-ბის მიჯნაზე ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში რომის თემატიკაზე მომუშავე წონადი ფიგურა იყო ნოდარ ლომოური (1926-2016 წწ.). მისი მეცნიერად ფორმირებაზე განსაკუთხებული კვალი დააჩინა ქართული ბიზანტიოლოგიის სკოლის ფუძემდებელმა ს.ყაუხჩიშვილმა (1895-1981 წწ.). იგი ფართო ჰორიზონტის მეცნიერი იყო. ძველი და ახალი ენების ცოდნამ, ბრწყინვალე ერუდიციამ, ნ.ლომოურს შესაძლებლობა მისცა გარკვეულიყო ბიზანტიოლოგიის, ანტიკური და საქართველოს ისტორიის საკითხებში.

1969-1971 წლებში ნ.ლომოური იყო თსუ-ში ძველი მსოფლიო



ნოდარ ლომოური

ისტორიის კათედრის გამგე. იგი თანაბრად უხამებდა ერთმანეთს სამეცნიერო და პედაგოგიუს საქმიანობას. მისი საკანდიდატო ნაშრომი გახლდათ „პტოლემეაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“ (1952 წ.). მასვე მას ეკუთვნის დიონ კასიუსის (1966 წ.) და სხვა ანტიკურ ავტორთა ცნობების თარგმანი, წიგნი სპარტაკის აჯანყების შესახებ (1963 წ.), სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ფარსმან ქველის რომში ვოიაჟის შესახებ (2001 წ.) და ა.შ.

ლ.სანიკიძის „პონტოს სამეფოს~, ლევან გოთუას (1905-1973 წწ.) „მითრიდატე~ (1971 წ.) და გ.გოზალიშვილის (1900-1988 წწ.) „მითრიდატე პონტოელის~ (1965 წ.) წყალობით ქართულ ისტორიოგრაფიაში მითრიდატეული ომების თემატიკა პოპულარული იყო. ნოდარ ლომოურმა (1926-2016) შეაჯამა ისტორიოგრაფიაში რომი-პონტოს სამეფოს და ქართული სამყაროს ურთიერთობების საკითხების თაობაზე არსებულ სხვადასხვა კონცეფციები და მკითხველს მიაწოდა ნაშრომი – „პონტოს სამეფოს ისტორიისთვის~ (ნაწ. I, 1979 წ., რუს. ენაზე).

წიგნში ლომოურმა დამაჯერებლად დაასაბუთა პონტოს სამეფოს დამაარსებლის სახელი და მისი გენეზისის თარიღი – ძვ.წ. 302 წელი. ისტორიკოსი შეეხო მითრიდატე VI-ს ეთნიკური წარმომავლობის საკითხსაც. თუ გ.გოზალიშვილის კონცეფციით სახელოვანი პონტოს მეფე წარმოშობით იყო მცირე აზიის ქართველური ტომიდან, ანტიკურ წყაროების და საისტორიო გეოგრაფიაზე

დაყრდნობით, ნ.ლომოურმა დაასაბუთა მითრიდატეს სპარსული წარმომავლობა. ნაშრომის ბოლო თავი ეხებოდა პონტოს სამეფოს და ქართველური სამყაროს ურთიერთობების საკითხებს.

„ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს შესახებ ცნობები ახალი წელთაღრიცხვით საუკუნეების ერთობ მცირეა. ლაზეთის სამეფო გადაჭიმული იყო რიონის ორივე ნაპირზე აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან, ვიდრე დაახლოებით მდინარე ხობამდე.

არიანეს ცნობებიდან ჩანს, რომ ეგრისის სამეფო, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკური ერთეულები, რომის ვასალურ სამეფოს წარმოადგენდა. ლაზთა მეფე ტახტს იღებს რომის იმპერატორისგან და ზღვისპირა პუნქტებში დგას რომაული გარნიზონი. რომის ხელისუფლება სათანადოდ ზრუნავდა მის გაძლიერებაზე და სამხედრო აღჭურვაზე. გარკვეულ ინტერესს იწვევს არიანეს სიტყვები, თითქოს სიმაგრე ისე არის მოწყობილი, რომ „ვერავინ მიუახლოვდება ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ“.

ყურადღებას იქცევს ის ადგილიც, სადაც რომელიმე მოხელე ლაპარაკობს ფაზისის სიმაგრის გარშემო „სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირების“ დასახლების შესახებ.

ე.წ. ვეტერანთა მიწაზე დასმა, გარკვეულ ადგილებში მათი დასახლება, ჩვეულებრივი ამბავი იყო რომში. მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვეტერანები ამ შემთხვევაში საკუთრივ რომის იმპერიის ტერიტორიაზე კი არ არიან დასახლებული, არამედ სხვა, თუნდაც ვასალური სამეფოს მიწაზე. ავგუსტუსის შემდეგ ვეტერანებს, როგორც წესი იტალიაში აღარ ასახლებდნენ და მათ მიწებს ჩვეულებრივ პროვინციებში, უფრო ხშირად საზღვრისპირა პროვინციებში მიუჩენდნენ ხოლმე. ამ ღონისძიებით რომაელები საზღვრისპირა რაიონებში ქმნიდნენ მოსახლეობის თავისებურ ფენას, რომელიც რომის სახელმწიფოს ერთგული იყო: საჭიროების შემთხვევაში გაწრთვნილი და ნაცადი ვეტერანები საზღვრების დასაცავად შეეძლოთ გამოეყენებინათ.

„ქალაქი რომი ელოდება საპატიო სტუმარს. მაინც ვინაა ეს სტუმარი, ვისაც ასე საზეიმოდ ხვდება რომი და უგუნებოდ ელოდებიან რომელიმე სენატორები? არის ევქსინის პონტოს იქეთ ლეგენდებით მოსილი კავკასიონის თოვლიანი ქედების ძირში ერთი პატარა ქვეყანა, რომელიც ფართობით იმპერიის ბევრ პროვინციასაც ვერ გაუტოლდება. მას იბერია ეწოდება. მოსაზღვრე კოლხიდისა და არმენიისა, პატარა ბარბაროსული სამეფო. რომაელთა უმეტესეობას არც კი გაუგია სახელი ამ სამეფოსი. მაგრამ სენა-

ტორებმა და ძლიერთა ამა ქვეყნისა კარგად იცოდნენ ვის და რატომ ხვდებოდნენ ასეთი ზარზემით და სწორედ ეს უვსებდათ ბოლმით გულს.

ტახტზე ასვლისთანავე კეისარმა ანტონინე პიუსმა გაცხოველებული ურთიერთობა გააბა ფარსმანთან: ლეგატებს ლეგატებზე გზავნიდა იბერიაში და იქედანაც მეფის ელჩებს ლებულობდა. თანდათან ყველაფერი დათმო იმპერატორმა: ევქსინის პონტოს სანაპიროზე ძიდრიტთა ტომის მინა-წყალიც მისეულად ცნო და ალბანთა მეფისგან წართმეული კამბისენიც დაუმტკიცა. არმენულთაგან გოგარენეს სამხრეთი ოლქების წაგლეჯის დასტურის მისცა და იმაზედაც კი დათანხმდა, რომ იბერიის მეფეს ამიერიდან იმპერატორისაგან დამტკიცება აღარ ესაჭიროებოდა; ეს არსებითად იმას ნიშნავდა, რომ იმპერატორი უარს ამბობდა საუკუნოვან უფლებაზე, იბერიის მეფეები ტახტზე ასვლისას ეკუთხებინა, რაც მოასწავებდა იბერიის განთავისუფლებას რომის ქვეშემდგომობისაგან.

პალატინის სასახლესთან თვით იმპერატორი ანტონინე პიუსი დახვდა იბერიელებს ფარსმან მეფის მეთაურობით და გულითადად მიიღო და ხელგაშლით უმასპინძლა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის აქტუალური იყო საქართველო-რომის ურთიერთობების სხვადასხვა საკითხების კვლევა. აღნიშნულ თემატიკას ნ.ლომოურმა მიუძღვნა ფუნდამენტალური ნაშრომი – „საქართველო-რომის ურთიერთობების ისტორიიდან“ (ნაწ. I, 1982 წ., რუს. ენაზე). ნაშრომმა ავტორს საკავშირო აღიარება მოუტანა. წიგნში გამოყენებული იყო იმ დროისთვის საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგებში (არქეოლოგია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა...) არსებული სიახლეები. ყოველივემ, ავტორს, შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა საქართველო-რომის ურთიერთობების ტრადიციული საკითხების ახლებური შეფასებები. ნაშრომში დეტალურად არის გაშუქებული ძვ.წ. I ს-ის შუა წლების და ახ.წ. VIV ს-ბის ურთიერთობების ყველა სპექტრი.

2016 წელს მკითხველ აუდიტორიას მიეწოდა პროფ. გრანი ქავთარიას (დ. 1936 წ.) ზოგადი ხასიათის ნაშრომი „რომის ისტორია“ (ტ. I). U გრანი ქავთარია არის ძველი რომის და თანმხვედრი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხების წონადი მკვლევარი. 2001-2004 წლებში იგი იყო თბილისის უნივერსიტეტში ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე და მიყავდა აღნიშნული სასწავლო კურსის საუნივერსიტეტო სწავლება.

მეცნიერის სადოქტორო დისერტაცია გახლდათ ანტიკური

ეპოქის უდიდესი რეფორმატორების ტიბერიუს და გაიუს გრაკუსების ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა. შემდგომში იგი ავტორმა წიგნად გამოსცა (1990 წ.), რომელიც თბილად მიიღო საზოგადოებამ. არადა, იმ მომენტისთვის თვით რუსულ ისტორიოგრაფიაშიც არ მოიპოვებოდა მსგავსი ხასიათის მონოგრაფია, რომელშიც ასე სრულად იქნებოდა ნაჩვენები რომაელი რეფორმატორების ღვაწლი.

„რომში ბერძნული კულტურის განმტკიცებას დიდად შეუქყო ხელი კორნელიუს სტიპიონ ემილიანუსის გარშემო შემოკრებილმა განათლებულმა არისტოკრატთა წრემ. განატლებული არისტოკრატების დასკვნით, რომის მომავალი განვითარება არსებითი გარდაქმნების ჩატარებას მოითხოვდა. წრე გრძნობდა, რომის მსოფლიო სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ მრავალი სასიცოცხლო პრობლემა დააყენა. წრის წევრების აზრით კრიზისიდან ამოსვლა რეფორმების გატარებით შეიძლებოდა.

ტიბერიუს გრაკუსის აგრარული რეფორმა ქრონოლოგიურად სტიპიონის რეფორმატული წრის პირდაპირი გაგრძელება იყო და ახალ სიტყვას წარმოადგენდა რომის რეფორმატორულ მოძრაობასი. ტიბერიუსმა ეპოქის მოტხოვნილებას სულ სხვა სული შთაბერა და რეფორმატორული იდეოლოგია მეოცნებე არისტოკრატთა პარალელური ფანტაზიებიდან რეალურ სინამდვილედ აქცია.

კრეახუსების რეფორმატული მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებთან.

ანტიკური ტრადიცია კრახუსების სახელს უკავშირებს სამოქალაქო ომის დაწყებას. „რესპუბლიკამ დაასრულა არსებობა. დამთავრდა სამოქალაქო ომები, რომლებიც ანტიკური ავტორების პირდაპირი მიტიტებით ტიბერიუს გრაკუსმა დაიწყო. ბრძოლა, რომელსაც სათავე დაუდო ტიბერიუსმა, დააგვირგვინა ოქტავიანე ავგუსტუსმა.“

აბსოლიტური მონარქია – დიდი უბედურებაა ხალხისთვის, მაგრამ აბსოლიტური ოლიგარქია – უარესი ბოროტებაა. ისტორიას არ შეუძლია გაამართლოს ადამიანი, რომელიც დიდი ბოროტებას ცვლის მცირეთი, განსაკუთრებით ადამიანი, ისეთი ღრმად სერიოზული ხასიათით შემკული, როგორც გრაკუსი, შორს მდგომი ყოველგვარი განზრახვისაგან. გაიუსის ნაკლად მომზენს მიაჩნია პროლეტარიატთან მისი სიახლოვე. იგი მკვეთრად გამოხატავს თავის პოზიციას. გაიუსი პოლიტიკურ დამნაშავეთა შორის უდიდესი, ამავე დროს, თავისი ქვეყნის აღმდგენელიც იყო, რომაულ მონარქიაში თუკი რაიმე დადებითი არსებობს, ყველას სათავე გა-

იუსიდან იწყება. მისგან იღებს სათავეს დემაგოგებისა და ტირანების ტაქტიკა. დაამხონ მმართველი არისტოკრატიის ძალაუფლება „გაიუს გრახკუსიდან იწყებს რომის განაპირა პროვინციებთან გარდაუვლად დაკავშირებული მონარქიის დამყარებასთან“ (თ. მომზენი (გ. ქანთარია „ძმები გრახკუსები“). ედ. მაიერი თ. მომზენის იდეას ავითარებს.



გრანი ქავთარია

გ.ქავთარიამ დასაბამი დაუდო ჟურნალ `ძველი მსოფლიო`-ს გამოცემას (ტ. I-VI, 1911-2111 წწ.). ქართულ სივრცეში ჟურნალს სხვა ანალოგი არ ჰქონდა და სამნუხაროა, რომ მიზეზ-გარემოებების გამო მისი გამოცემა შეწყდა. უშუალოდ რომაულ თემატიკაზე მეცნიერის ნაშრომებია: `ჰანიბალი` (1979 წ.), `სერტორიუსი` (2003 წ.), `ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები` (1998 წ.) და სხვა მრავალი სტატიები.

`რომის ისტორია` სახელმძღვანელოს პრინციპებზე აგებული ნაშრომია. მასში რომაული ისტორიის თხრობა იწყება ძველი

რომის ისტორიის ამსახველი წყაროების და ისტორიოგრაფიული ნაწილის მიმოხილვით, რომელსაც მოჰყვება მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის ყველა ძირითადი საკითხი (იტალიის დაპყრობა, პუნიკური ომები...). ტომში თხრობა მისულია ძვ.წ. I ს-ის 60-იანი წლების პოლიტიკურ ბატონობამდე. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული პუბლიკაციით გრანი ქავთარიამ ერთგვარად შეავსო ისტორიოგრაფიაში ზოგადი ნაშრომის ნაკლებობის ხარვეზი.

ქართული ანტიკური ისტორიოგრაფიაზე საუბრისას ჩვენ ვერ მიმოვიხილავთ რომაულ თემატიკაზე არსებულ ყველა ნაშრომს, უბრალოდ მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ პუბლიკაციებზე: ეტრუსკოლოგიის საკითხები იყო თსუ პროფესორების რისმაგ გორდეზიანის (1980 წ.) და ეკა ავალიანის (2005 წ.)



რისმაგ გორდეზიანი



კახაბერ ჯიფია

კვლევის არეალში. მასვე ეკუთვნის ნაშრომი მედიტერანული კულტურის თაობაზე. ახ.წ. I-III ს-ბის რომი და აღმოსავლური რელიგიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხები შეისწავლა პროფ. მარიკა მშვილდაძემ (2005 წ., 333 გვ.).

საქართველო-რომის ურთიერთობების სამხედრო-პოლიტიკური თუ იურიდიული მხარეების შესახებ პუბლიკაციები მიუძღვნეს: ლევან ალექსიძემ (1957 წ.); მერი ინაძემ (1955 წ.); გელა გამყრელიძემ და თემურ თოდუამ ერთობლივი ნაშრომით (2006 წ.). აქვე გვინდა გამოვყოთ კახაბერ ჯიფიას ნაშრომები – „ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა“ (2005 წ.), „რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი“ (2006 წ.) და „რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული სამეფოების წარმოქმნა კოლხეთში (ახ.წ. II ს.)“. ნაშრომებში ანტიკურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობი შესწავლილია იმპ. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკის თავისებურებები საქარ-

თველოსთან მიმართებაში. ასევე რომის საერთო აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში, შესწავლილია II-III ს-ბში დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების წარმოქმნის საკითხი. განმარტებულია ამ პროცესში რომის საგარეო პოლიტიკის როლი.

ძვ.წ. I ს-ის რომის ისტორიის საკითხებს რამოდენიმე ნაშრომები მიუძღვნა გუბაზ სანიკიძემ (დ. 1967 წ.). Еესენია: ტრიუმფირატი (1998 წ.), „მოკავშირეთა ომი“ და მისი შედეგები (1997 წ.), `კრიზისი და დაცემა კომიციისა~ (1998 წ.), `რომი „კატილინარული კონიურაციოს“ შემდეგ~ (1998 წ.), `პოლის-ცივიტას-რესპუბლიკა~ (1997 წ.), `მარიუსელები და სულანელები~ (1997 წ.) და `კლოდიუსის ტრიბუნატი~ (1998 წ.).

აღნიშნული პუბლიკაციებით გ.სანიკიძე შეეცადა ძვ.წ. I ს-ში რომში მიმდინარე რესპუბლიკური წყობის კრიზისი, რაც გამოიხატა სამოქალაქო ომებში და პრინციპატის დამყარების საკითხით, წარმოეჩინა ახლებური ინტერპრეტაციით. მანვე პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში წამოწია არმიის როლი ძველი რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რომი – ძველი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, მოწოდებული მთელს მსოფლიოში მშვიდობის, წესრიგისა და სამართლიანობის დასამყარებლად, სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიო ბატონობის სწრაფვისას ამოძრავებდა არა მხოლოდ ეკონომიკური მოტივები, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა რომის უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი პრესტიჟის ფაქტორს ენიჭებოდა. შესაბამისად მიზანი იყო უპირატესობის ჩვენება და არა ანექსია.

რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხების კვლევაში თავისი ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფიასაც.

რომი-ბიზანტიის ისტორიის ცოდნა ქართველებისათვის პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი იყო, ყოველთვის აქტუალური იყო საქართველო-რომის ურთიერთობის საკითხების კვლევა. „ქართლის ცხოვრება“-ში რომის ისტორიის შესახებ ცნობები მწირია და იგი არ იძლევა ქვეყნის ისტორიის შესახებ სისტემური ცოდნის შექმნის შესაძლებლობას. ნახსენებია რომის ისტორიის ცალკეული პასაჟები და პიროვნებები ნახსენები ქართველ მეფეებთან შედარების მომენტი ან რაიმე ფაქტთან დაკავშირებით.

დღეისათვის ანტიკური რომის ისტორიის საკითხების შესახებ გვაქვს დეტალური ინფორმაცია, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძველი რომის ისტორიას უკვე კომპლექსურ ფორმატში შეისწავლეს XIX-XX-XXI საუკუნეებში ქართველმა ისტორიკოსებმა, რომლებსაც რომის ისტორიის შესახებ მიძღვნილ ზღვა ლიტერატურაში თავისი ადგილი უჭირავთ.

ქართულ-ანტიკურ ისტორიოგრაფიაზე საუბრისას ჩვენ მიმოვიხილეთ რომაულ ტემატიკაზე არსებული რიგი ნაშრომებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

- კ.სურგულაძე, *ძველი რომი, ტ. 1, 2019 (ხელნაწერი);*
- გ. ქავთარია, *ძველი რომი, თბ., 2016;*
- ა. წერეთელი, *ძველი რომის ისტორია, ტ. I, თბ., 1957;*
- ა. წერეთელი, *ძველი რომის ისტორია, თსუ., 1992;*
- ედ.მაიერი, *ძველი ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, თბ., 1927;*
- ნ.მაჟკინი, *რომის იმპერიის ისტორია (მეთოდური სახელმძღვანელო), თბ., 1951;*
- ტ.რუხაძე, *ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თსუ., 1960;*
- თ.ყაუხჩიშვილი, *ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (თამარის ისტორიკოსები), მაცნე, 1974, '3, გვ. 102-113;*
- გ.შარაძე, *თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. 2, თბ., 1974;*
- გ.ქავთარია, *ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, თბ., 1998;*

გოგა დათუნაიშვილი

ღიმიტრი ბაქრაძე ხინოს ხეობის შესახებ

რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის პერიოდში 1874 წელს დ. ბაქრაძის არქეოლოგიური მოგზაურობა მიზნად მრავალ ამოცანას ისახავდა. მეცნიერის ღვაწლი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია. დ. ბაქრაძემ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ხინოს ხეობის ბუნებრივ-გეოგრაფიულ დახასიათებას, მან სულ რაღაც სამი დღის განმავლობაში შეძლო ჩვენთვის შემოენახა მაშინდელი ყოფისა და კულტურის მეტად საინტერესო სურათი ქობულეთის რაიონის (იმდროინდელი ჩურუქ-სუ, თურქულად „დამპალი წყალი“) შესახებ.

დ. ბაქრაძე თავის ნაშრომში ხინოს ხეობას ორ ნაწილად ყოფს: ზემო და ქვემო ხინოდ და ახდენს ხეობის ლოკალიზაციას სოფელ ჭახათიდან ზემო ხინოს ჩათვლით. გარდა ამისა, დასახელებული აქვს რამოდენიმე სოფელი: კობალაური (ბაქრაძე, 85), ცხემლოვანი – დღევანდელი ცხემვანი (ბაქრაძე, 86), სოდომური (ბაქრაძე, 86).

დ. ბაქრაძე საგანგებოდ ეხება მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას და აღნიშნავს, რომ აქ „ვერ შეხვდებით თურქს“-ო (ბაქრაძე, 73)

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების შემონახულობის საკითხს, რის შესახებ დასკვნას მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების არაერთი საკითხის შესწავლის საფუძველზე აკეთებს.

აღწერიდან ჩანს, რომ განათლების დონე საკმაოდ დაბალი ყოფილა. მოლამ იცოდა ქართული წერა, თუმცა იგი სკოლაში თურქულად ასწავლიდა. მას ინტერესი გამოუჩენია დ. ბაქრაძესთან, რაზეც ავტორი წერს „... ქართული წერა აინტერესებდა სხვანაირი-ცო“.

მოსახლეობის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პირობებს ავტორი საკმაოდ მოკლედ აღწერს, თუმცა ჩანს, რომ უმიწობის გამო ტყეებს ჭრიდნენ და საყანედ იყენებდნენ. ავტორის მიერ შედგენილი ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ სამინათმოქმედო ყოფაში ფართოდ გამოიყენებოდა ისეთი შრომის იარაღები, როგორიცაა: გუთანა, კავი, კვერი და სხვა. ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ შრომითი ურთიერთდახმარების ცალკეული

ფორმის, კერძოდ ნადის ტრადიციებზე. გარდა ამისა, მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, კერძოდ ნახევრად-ტყეურ ფორმას, რასაც ავტორის მიერ ტყეში ნანახი წიფლის ხეებზე შემოდგმული როგოებიც ადასტურებს (ბაქრაძე, 83). ასევე ჩანს შინახელოსნობის ცალკეული დარგის განვითარებულობაც.

ცალკეული აღწერიდან იკვეთება, რომ ხინოს ხეობაში ძირითადად კარმიდამოს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლურ-ქართული ტიპი ყოფილა განვითარებული, რაც კარმიდამოს გარეთ არსებული გარეყანების მიხედვით დასტურდება.

მკვლევარი არაერთგან ეხება მოსახლეობაში ნოდებრიობის არსებობის საკითხს, რომელიც აჭარაში არსებული წესის მიხედვით ვრცელდებოდა ხინოს ხეობაშიც. ბეგები თურქეთის საქართველოში არიან სანჯაყ-ბეგები და უშუალოდ ბეგები, პირველნი ჩვენს თავადებს შეესაბამებიან, მეორენი აზნაურებს (ბაქრაძე, 62)

ხეობაში არსებული საოჯახო ურთიერთობები, ისევე როგორც სხვა საკითხები, შეიძლება გავიაზროთ იმგვარად, როგორიც იყო ზოგადად აჭარაში, რადგან ცალკეულ ადგილას გამოვლენილი თავისებურების შემთხვევაში ავტორი ყოველთვის აკეთებს შესაბამის კომენტარს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მამინდელი ოჯახი იყო მონოგამიური, რომელშიც უფროსად მამაკაცი გვევლინება.

ავტორი ცაკლე ეხება სტუმართმოყვარეობის საკითხს და ხაზს უსვამს აჭარაში მის შემონახვას.

რაც შეეხება ჩაცმულობას, მას ავტორი არ აკონკრეტებს და ზოგადად ასკვნის, რომ „ისეა ქობულეთელი ჩაცმული, როგორც ლაზი და აჭარელი“ (ბაქრაძე, 24). დ. ბაქრაძეს გამორჩეულად აინტერესებს ქართული ეროვნული ცნობიერების საკითხი. ავტორი ხაზგასმით წერს, რომ მართალია „ჩურუქ-სუ ერთიან გამუსულმანებულა, თუმცა ქრისტიანობის კვალი ჯერ კიდევ შემორჩენილია“-ო (ბაქრაძე, 19). იქვე დასძენს, რომ ქობულეთი არც ისე დიდხანია მოექცა მუსულმანობაზეო (ბაქრაძე, 20). ამ ცნობას აზუსტებს 80 წლის ქათამაძის ნათქვამიც, რომ „მაჰმადიანობა ხინოში მამაჩემის დროს შემოვიდა, ჩემს ბიჭობაშიო“ (ბაქრაძე, 84).

ზემო თქმულის დასასაბუთებლად ავტორი არაერთი ტაძრის ნაშთების შემონახვაზე საუბრობს. კერძოდ, ზემო ხინოში, ვარჯანაულში და სხვაგან (თუმცა არ აკონკრეტებს) და ამბობს, რომ ეკლესიას ყველგან ქილისეს ეძახიან (ბაქრაძე, 19).

საგულისხმოა, რომ ამ ადგილებს მოსახლეობა დღემდე „ნაქართლს“ უწოდებს. დიმიტრი ბაქრაძემ, როგორც პროფესიონალმა ისტორიკოსმა, ყურადღებით შეისწავლა ხინოს ხეობაში არსებული საეკლესიო ნაგებობანი. მან მოგვცა ზემო ხინოში შემორჩენილი ხინოს ეკლესიის აღწერა. აი რას ამბობს ამის შესახებ პატივცემული მკვლევარი:

„ხინონმინდის ეკლესიის შენობა ძალზე სანწყლად გამოიყურებოდა: იგი გალავანთან ერთად დანგრეულია, ეტყობა, განგებ და, როგორც ამბობენ, 8-9 წლის წინათ. ვახუშტი ბატონიშვილი ამტკიცებს, თითქოს ეს ეკლესია გუმბათოვანი ყოფილიყო, მაგრამ გურიის აჭის მღვდელი სალუქვაძე, რომელმაც ეს ეკლესია 1853 წელს ნახა, როცა იგი ჯერ კიდევ მთელი იყო, მარწმუნებდა, უგუმბათოდ იყო ნაშენი და თავისი კონსტრუქციით ახლანდელ აჭის ეკლესიას მოგაგონებდაო. მასში მთელი მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი სალაროთი და ეკვდერით იყო, სადაც ახალი ცვილის სანთლები ვნახე, რაც მოწმობს, რომ ამ მიყრუებულ სოფელში ჯერ კიდევ სავსებით არ გამქრალა ხსოვნა ოდესღაც გაბატონებული ქრისტიანული რელიგიისა. ეკლესიის მოცულობა დიდი არ არის 22 ნაბიჯი სიგრძით და 12 სიგანით. არც გალავნის შიგნით და არც გარეთ აღარ ჩანს აღარც სამრეკლოსა და არც ეკლესიის მსახურთა შენობების კვალი: ეჭვი არ არის ხისგან იყო ნაშენი“. (ბაქრაძე, 84)

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის დიდი ღვაწლი, რომელიც დ. ბაქრაძემ გასწია ზემო ხინოს ეკლესიისა და ხინონმინდელთა ვინაობის დადგენის შესახებ. ავტორი ასახელებს შემდეგ ხინონმინდელებს: დავით წერეთელსა (ბაქრაძე, 84) და კარისმესტუმრე ხინონმინდელ მაქსიმეს (ბაქრაძე, 176), ასევე ხინონმინდელ იოანეს (ბაქრაძე, 84). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, ხინოში იჯდა „ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთის ჭოროხამდე“. ხინოს ეპისკოპოსნი ხინონმინდელებად იწოდებოდნენ. იოანე ხინონმინდელის სიგელი 1780 წლით თარიღდება (სოლომინ II დროისაა), საიდანაც ჩანს, რომ ისლამის მომძლავრების გამო ეპისკოპოსის რეზიდენცია გამხდარა გურია-იმერეთის საზღვარზე არსებული გამოჩინებულის ეკლესია მეფის – სოლომინ II-ის წყალობით. რაც შეეხება ეპისკოპოს მაქსიმეს, იგი XVII საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდა (ბაქრაძე, 84). შემდეგ ასახელებს ექვთიმე ართუმელაძეს (1714-1726 წლებს შორის). იოანე (XVIII საუკუნის დასასრულს), დავით წერეთელი, რომელიც XIX საუკუნის დამლევს ხინონმინდელად

ინოდებოდა, თუმცა ეტყობა ხინო არ უნახავსო. იგი ბოლოს ყოფილა ქუთაისის მიტროპოლიტი (ბაქრაძე, 84).

ამასთან დაკავშირებით დამატებით გვამცნობს მოწყობილის შესახებაც. ესენია გაბრიელი და იობა, რომლებიც იოანე ეპისკოპოსს შეუწირავს გამოჩინებულის ეკლესიისათვის (ბაქრაძე, 84).

მკლევარი აღფრთოვანებას ვერ მალავს თაღვანი ხიდების გამო (ბაქრაძე, 85). მდინარე კინტრიშზე რამდენიმე ხიდი უნახავს. ამათგან ორს – ხინოსა და ცხემლოვანის ხიდებს ბაქრაძე გაცემაში მოუყვანია. დ. ბაქრაძემ უამინდობის გამო ვერ შეძლო ენახა ციხე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი „ხინოს ციხის“ სახელით მოიხსენებს.

პატივცემული მკლევარი ციხის სახელწოდებას აზუსტებს და ვფიქრობთ, მას სამართლიანად უწოდებს „ელიას ციხეს“ (ბაქრაძე, 20), სხვა შემთხვევაში კი „ჭახათის ციხის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებს (ბაქრაძე, 121), რადგან ციხე სოფელ ჭახათში მდებარეობს.

გარდა ამისა დ. ბაქრაძე ასახელებს უკანასკნელ მღვდელს ხინოში – ქათამაძეს (ბაქრაძე, 84).

დ. ბაქრაძემ ხინოს ხეობაში ყოფნის დროს უამინდობის გამო მეტად ღირებული შედარებითი ლექსიკონი შეადგინა. მასში 300-ზე მეტი ქობულეთში გავრცელებული სიტყვა შეადარა საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ სიტყვებს, კერძოდ, ქართლში, კახეთში, გურიაში, იმერეთსა... ავტორს მხოლოდ ერთი სიტყვა დარჩა აუხსნელი – „მნზნის“ (ბაქრაძე, 121), რაც აჭარაში გავრცელებული სიტყვის „დამნა//დაზნა“ ანალოგიური უნდა იყოს.

აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით შეიძლება მსჯელობა რამდენიმე საკითხზე, მათ შორის ხინოს ხეობაში გავრცელებული კალენდრის შესახებაც. აშკარაა, რომ კვირის დღეების აღსანიშნავად ზოგადქართული სიტყვები გამოიყენებოდა. დამოწმდა ზოგადად ერთი კვირის აღმნიშვნელი სიტყვაც, ესაა „ერთი სწორი“ (ბაქრაძე, 162). იგივე შეიძლება ითქვას თვეების სახელწოდებათა შესახებაც (ბაქრაძე, 161). რაც შეეხება ახალ წელს, მის დასაწყისად მიჩნეული იყო 1 მარტი.

უნდა ითქვას, რომ მეცნიერს მხოლოდ ეს ლექსიკონი, რომ გაეკეთებინა, ისიც საკმარისი იქნებოდა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომელიც მას ყველაზე ძალიან აინტერესებდა: რომ იქ ყოველივე ქართული იქნა შემონახული.

მინდა დავასრულო 1874 წლის 18 ივლისით დათარიღებულ ნაშრომში დიმიტრი ბაქრაძის მიერ აჭარის შესახებ გაკეთებული შემდეგი დასკვნით: „ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ აჭარლებს მთლად არ დაუკარგავთ ის, რაც მათი ისტორიის უკეთეს ეპოქებში განუვითარდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათზე დამლუპველად იმოქმედა გვიანდელ საუკუნეთა ქართული მმართველობის ყოვლისჩამხშობმა სისტემამ და ისეთი მანკი შესძინა მათ, როგორიცაა სისხლის აღება, ქურდობა და ტყვის გაყიდვა“ (ბაქრაძე, 74).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „საბჭოთა აჭარა“, 1987.
2. ბატონიშვილი ვ., „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941
3. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D>

***ENTREPRENEURSHIP OF THE MODERN IMPERIAL
CITY: IN SEARCH OF ONESELF***

